ლიტერატურული გაზეთი

№98 7 - 20 ივნისი 2013 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 50 თეთრი

ზურაბ სამადაშვილი

სოციალური საკითხები

ვიგრძენი, მოთმინების ფიალას მორიგი, პატარა წვეთი როგორ შეემატა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, ეს წვეთი თუ ერთ-ერთი უკანასკნელთაგანი აღმოჩნდებოდა. ჩვეულებრივი, ნორმალური დღე გათენდა — თბილისური ამინდით, უხალისო განწყობილებით, ნასმურევზე გამოსვლის სურვილით და დილა არც ეთქმოდა, ასე ათი საათისკენ დამიმესიჯა ნუცამ, არსად დაგვეკარგო, მე და მაცაცო მოვალთ შენს სანახავადო. იცის ჩემი ამბავი: ვეტყოდი, მე რა სანახავი ვარ, ბავშვი ზოოპარკში წაიყვანე-მეთქი, ამიტომაც არ დარეკა. ბევრი ფიქრი არც იმის გააზრებას სჭირდებოდა, რომ დედა-შვილის ამ იშვიათი ვიზიტისგან თავს ვერანაირად დავიძვრენდი და დახმარებისთვის ნიკოს მივმართე. ნიკო ახალგაზრდობაში ერთი ცნობილი რეჟისორის გოგოზე შეყვარებული მოუსვენარი ყმაწვილკაცი იყო. სულ ერთად დაიარებოდნენ: ფუნიკულიორზე, ვაკის პარკში, რუსთაველზე... ხან ნიკო მიიჩქაროდა წინ, ამრეზილი სახით და გოგო მიჰვებოდა ცუხცუხითა და თავის მართლებით, ხან — პირიქით, გაბუტულ და გაალმასებულ გოგოს ნიკო ეფიცებოდა სამუდამო ერთგულებას. ასე იყო თუ ისე, მათი ურთიერთობის შემსწრენი, რატომღაც, დარწმუნებულები ვიყავით, ამ უცნაურ წყვილს ვერაფერი დააშორებდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ცნობილმა რეჟისორმა საფრანგეთში დარჩენა გადაწყვიტა. გადაწყვიტა და დარჩა კიდეც. რამდენიმე თვეში ცოლ-შვილიც თავისთან გადაიყვანა საცხოვრებლად და ასე უჩუმრად, ექსცესების გარეშე დასრულდა ნიკოს რომანტიკული თავგადასავალი. სიყვარულში ხელმოცარულმა სასწრაფოდ შეირთო ცოლი, ზედიზედ ორი ვაჟიშვილი გააკეთა და წონაშიც მამაპაპურად მოიმატა, თუმცა ახლა უკვე კარგად მოძველებულ ამ უწყინარ ისტორიას მთლად უკვალოდაც არ ჩაუვლია: ნიკომ რეჟისორის ქალიშვილის ნაცვლად არყის ჭიქა შეიყვარა და მას შემდეგ ხსენებული ჭიქა ხელიდან აღარ გაუგდია.

მისი ნომერი ავკრიფე, შევიცადე, სანამ ჩვეულებისამებრ ჩაიღრენდა — „გისმენთო“ — და პირდაპირ საქმეზე გადავედი:

— ნიკოლოზ, — ოფიციალურად მივმართე, — მაქვს ზეთი, კარტოფილი, კომბოსტოს მწნილი და რვა ლარი. არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, ფხიზელი თვალით როგორ ვუყურო ნუცას მანჭვა-გრეხვას, თანაც ბავშვთან ერთად აპირებს მოსვლას. რა ვქნა, კომბოსტოს მწნილითა და ცარიელი კარტოფილით დავხვდე ბავშვს? შიმშილობა თავიანთ სახლში არ ეყოფათ?

— ეჰ, ძმაო, ძნელია, — მიპასუხა ნიკომ, — მაგრამ რაღაცა მოხერხდება. მაგ ნაბოზრებს როგორ არ ვაგინო, აი, იმას და იმას, და იმასაც (აქ ის ძმაბიჭები ჩამოთვალა, რომლებიც, ბედისწერის წყალობით, ქვეყანაში მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ), შენისთანა კაცი უმუშევრად რო დატოვეს, ჩემზე არაფერს ვამბობ, მე, ავად თუ კარგად, ცოლი მაინც მინახავს, შენ კი ასი წლის დედაშენის შესანახი ხარ.

ადვილად მივხვდი, საკუთარი პრობლემები ალაპარაკებდა — ოჯახში, ცოლის გარდა, ყველანი უმუშევრობდნენ. დავუყვავე, შევახსენე, რომ დედაჩემს ას წლამდე, ჯერ კიდევ მთელი მეოთხედი საუკუნე ეკლდა, იმ საგინებელ ხალხს კი ბევრს ვერაფერს მოსთხოვდი, კერძო სტრუქტურებიცა და საბიუჯეტო ორგანიზაციებიც, კარგა ხანია, მათი ნათესავებითა და პოლიტიკური ხელისბიჭებით იყო გადატენილი. მაინც იბობოქრა ერთი-ორი წუთი, გინებით გული იჯერა და ბოლოს ისევ ჩემს საკითხს დაუბრუნდა.

— შენ ნუ იდარდებ, ბავშვს დახვედრას მოვუწყობთ, საშვილიშვილოდ დაამახსოვრდება, — დამაიმედა შეუვალი ტონით, — ბავშვს რა უნდა? — დასვა კითხვა და თვითონვე უპასუხა, — ბევრი მოფერება, ცოტა ტკბილეული, ან ცოტა მოფერება და ბევრი ტკბილეული. გასაგებად ვლაპარაკობ?

— კი-მეთქი, დავეთანხმე. პრინციპში, საკამათო რა იყო?..

როგორც შემდგომი საუბრიდან გაირკვა, ცოლისთვის მელქიორის დანა-ჩანგალი მოუპარავს, ჩაუბარებია და ამ ოპერაციიდან 5 ლარი შემორჩენია. თუ ფინანსებს გავაერთიანებდით, ერთი ლიტრი ჭაჭაც მოგვდიოდა, ქათმის ბარკლებიც და ნაყინიც ბავშვისთვის.

— მანდ კიდევ ერთი პრობლემაა, — წამოვიწყე მორიდებით.

— კერძოდ?

— ნუცა ჭაჭას არ დალევს, ლუდს წრუპავს ხოლმე, ბავშვს კი წვენი ან ლიმონათი უნდა დავახვედროთ.

— აჰა! — ჩაფიქრდა ნიკო, — ლუდი ძვირი სიამოვნებაა. რამდენი ბოთლი გავითვალისწინო?

— რა რამდენი? — გამეცინა, — დიდი-დიდი ერთი ბოთლი, ვარჯიშობს ყოველ დილით, შეიძლება ეგეც არ დალიოს.

— უჰ, ღმერთმა დაგლოცოს, გულზე მომეშვა, — ამოისუნთქა ნიკომ, — ჩათვალე, რო ეგ პრობლემაც გადავჭერით, მაგისთანები მომიგვარებია?

მომავალი დროსტარებით გახალისებული დიდი, ლამაზი თეფშიდან გემრიელად მომზირალ მსხალს დავწვდი: შოკოლადისფერს, დათაფლულს, ცვრიანს... ამ ჯიშის მსხალს ჭია იშვიათად უჩნდება, ამიტომ პატარა, კანგადაკრულ ღრმულს ყურადღება არ მივაქციე (ალბათ სეტყვა მოხვდა ოდესღაც) და სიამოვნებით დავიგემოვნე მართლაც თაფლივით ტკბილი... უცებ, სიტკბოს შეგრძნებისთანავე, გავიგონე ძვლის ტკაცანი და მკვეთრმა, გამჭოლმა ტკივილმა ფეხზე წამომაგდო.

— ფუ, შენი! — შევიკურთხე უნებურად.

კბილის ნატეხი მაგიდაზე დავდე, ავიღე სარკე და ყბა შევითვალიერე. ოდნავ გაბზარული ეშვი თავის ადგილზე დამხვდა, დანარჩენ კბილებსაც არაფერი უჭირდათ. გამოვიტანე სათვალე, ლუპა და ახლა ნატეხის გამოკვლევას შევუდექი. ვატრიალე აქედან, იქიდან: ნატეხი ნატეხს არ ჰგავდა, აშკარად კბილი იყო — პატარა, სხვა ფერის და რაც მთავარია — მთელი. შევვარდი სააბაზანოში, ავტეხე დიდძალი რეცხვა და ხეხვა... არაფერმა მიშველა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბავშვი შემეჭამოს... ძალიან უცნაურად მომეჩვენა, რომ ვიღაცა ლაწირაკმა ცხრა მთას იქით კბილი მოიცვალა, შეარჭო მსხალში, მერე მსხალმა შეისისხლხორცა ეს ოხერი კბილი, როგორც რაღაცა პარაზიტი და რამოდენიმე თვის შემდეგ ჩემი ჯანსაღი და საღსალამათი ეშვი იმსხვერპლა. წარმოუდგენლად მამაძაღლია ის ბავშვი!..

X-XI

ჯარჯი ფხოველი

„უდაბნოს წიგნიდან“...

თამარმეფობა

ვცადოთ:
გულში აღვადგინოთ თამარმეფობა!

იესო ქრისტეს დავემგზავროთ
ისტორიის ძველ უდაბნოში!

ახალგაზრდობის დილასავით რომ გვაკლია,
ის იმედი დავიბრუნოთ:
ჩვენი ძველი ფეხმოსაკიდი!
აღვადგინოთ ოთხი დღის მკვდარი
მამული ჩვენი:
დიდი დარდი, თავზარდამცემი!..

მოდი, გულში აღვადგინოთ თამარმეფობა,
წმინდა დედის დღე გავათენოთ:
და აღვაგოთ ქალაქები,
არხები გავჭრათ
და ავმართოთ ტაძრები და ციხეკოშკები!

ხელი გავუწვადოთ ადამიანებს:
უფლის სახელით რომ ითხოვენ თავგამეტებით!
ვინახულოთ დიდი შოთა რუსთაველი,
თავს დავადგათ უკვდავების ოქროს გვირგვინი!..
ვაღიაროთ: პირველმამა ის არის ჩვენი:
კაცი: ნახევრადპოეტი და ნახევრადღმერთი...

აღვადგინოთ თამარმეფობა:
შევაბიჯოთ უკვდავ ხანაში...
დავიჩოქოთ წმინდა დედის
დავიწყებულ სამარის კართან!

ჩვენს შხამნასვამ ველ-მინდვრებზე
და ხეობებში
მგელმა და კრავმა ერთად მოძოვონ!

თამარის დროში გამოვიღვიძოთ:
სხვა მიწაზე, დიდმეფეთა საბრძანებელში...
იქ ხომ წმინდა დედა თამარს
თმებს უშლიდა კოჯრის ნიავი:
ამ ნიავს ხომ მისი ოქროსიტყვებიც ახსოვს...

წავაწეროთ ისტორიის გზისნაპირებზე,
რომ ვინც ზურგი შეაქცია ამქვეყნიურ ამაოებას,
ის უდაბნოში იმყოფება უფალთან ერთად!

წმინდა დედის ნატერფალებზე
აღვადგინოთ ოთხი დღის მკვდარი
მამული ჩვენი: დიდი დარდი, თავზარდამცემი...

გადავიხადოთ ჩვენ ის ომები
და გულები და მკლავები
სისხლისღვრაში გამოვატაროთ...

ჩვენს გულისცემას ელოდება
შამქორი და ბასიანი, ცეცხლდალეული...
წინ მიგვიძღვის დიდი შალვა ახალციხელი!

ნაჭარმაგევის ბილიკები გავკვალოთ ისევ...
მოდით,
გულებში აღვადგინოთ თამარმეფობა!..

XIII

ირაკლი ქასრაშვილი

შექსპირი – ჩვეულებრივი ადამიანი

ჯორჯ სანტაიანა

ამერიკელი ფილოსოფოსი ჯორჯ სანტაიანა ერთ-ერთ სტატიაში ამბობს — ადამიანური ცივილიზაციის მიერ შექმნილი ძეგლებიდან მხოლოდ ერთის შერჩევა რომ გახდეს საჭირო მომავალი საუკუნეებისთვის გადასაცემად, ეს შექსპირის ნაწარმოებები იქნებოდაო. ამ სიტყვების დაწერის შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ვფიქრობ, ისინი მაინც ჭეშმარიტებად რჩება. უილიამ შექსპირის ერთი პიესა წაკითხული თუ არა, სცენაზე ან კინოში ნანახი მაინც, მგონი, დედამიწაზე მცხოვრებ თითქმის ყველა ზრდასრულ ადამიანს აქვს. თვითონ არცთუ შორეულ წარსულში, მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა ინგლისში, თუმცა მის ცხოვრებაზე ბევრი არაფერია ცნობილი. მრავლადაა ხალხი, რომელსაც არ სჯერა, რომ ლონდონის ერთ-ერთი თეატრის საშუალო დონის მსახიობმა „ჰამლეტი“, „რომეო და ჯულიეტა“, „მეფე ლირი“, „გრიგალი“ და კიდევ ოცდაათზე მეტი პიესა შექმნა, რომელთაგან უმეტესობა შედევრადაა აღიარებული. რალფ ემერსონიც კი, რომელიც შექსპირს კაცობრიობის საუკეთესო პოეტად მიიჩნევს, სინანულს გამოთქვამს მისი უფერული ცხოვრების გამო და ჩივის, რომ მაშინდელმა ბრიტანეთმა ვერ შეძლო, სათანადოდ დაეფასებინა ეპოქის ყველაზე ნათელი გონება.

შექსპირი მეთექვსმეტე საუკუნეში დაიბადა, რომელზეც ერთმა ფრანგმა ისტორიკოსმა ზუსტად თქვა, რომ „მეთექვსმეტე საუკუნე – ეს გმირია“. გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა უეცრად გააფართოვეს სამყაროს საზღვრები. დედამიწა იმაზე გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე აქამდე წარმოედგინათ, ხოლო ახალ მიწებზე არა მარტო მოგზაურობა, არამედ მათზე დასახლება და ათვისებაც შეიძლებოდა. ევროპამ წამყვანი მდგომარეობა მოიპოვა სამყაროში, ის მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაიკარგა სისხლისმღვრელი მსოფლიო ომების შედეგად, რომლებმაც მისი ადამიანური და დამპყრობლური რესურსები დაშრიტეს. შექსპირის ახალგაზრდობა ელისაბედ პირველის მმართველობას დაემთხვა, როდესაც ბრიტანეთმა მაშინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს – ესპანეთის თავდასხმა მოიგერია და საკუთარ იმპერიას ჩაუყარა საფუძველი, იმპერიას, რომელშიც „მზე არასდროს ჩადიოდა“. ეს კაპიტალიზმის ჩამოყალიბების, რეფორმაციისა და რელიგიური ომების ჟამია, როცა მელანქოლიური, აპოკალიფსის მომლოდინე გვიანი შუასაუკუნეების შემდეგ რენესანსმა და ჰუმანიზმმა ახალი შესაძლებლობების კარი გაუღო ევროპის მოსახლეობას. შორეულ კონტინენტებთან ერთად მათ საკუთარი თავი, საკუთარი წარსული აღმოაჩინეს და დაიბრუნეს ანტიკური ეპოქა, რომელიც ყოველდღიური კულტურული ცხოვრების ნაწილი გახდა. აღორძინების ეპოქის მოწინავე ადამიანს უამრავი რამ მოეთხოვებოდა და მრავალი რამ იცოდა. ის ერკვეოდა როგორც პოეზიაში, ასევე ფილოსოფიასა და მათემატიკაში, სამხედრო საქმეში, ასტრონომიაში, კარტოგრაფიასა და გემის მართვაში. ის ერთდროულად მეომარიც იყო და მეცნიერიც. მამაცი ზღვაოსნები დიდი იალქნიანი ხომალდებით, მოძველებული რუკებით, მხოლოდ ქარის ძალის, კომპასისა და ვარსკვლავების დახმარებით ისე, რომ ღორის შაშხისა და თბილი წყლის მეტი არაფერი ჰქონდათ საკვებად, უკიდეგანო ოკეანეებს სერავდნენ — ოკეანეებს, რომლებიც გადაულახავი წინააღმდეგობების ნაცვლად უეცრად უცხო ქვეყნებთან დამაკავშირებელ გზებად იქცნენ. საერთოდ, იმდროინდელი მამაკაცები ძალიან ბევრს მოგზაურობდნენ – ფეხით, ცხენითა თუ გემით. მათთვის ეს იყო საშუალება, გასულიყვნენ ყოველდღიურობის ჩარჩოებიდან და თან რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე მოეხვეჭათ, მეტი მიწები დაეპყროთ, საკუთარი ცნობისწადილი დაეკმაყოფილებინათ, მრავალი რამ ენახათ, შორს გაევრცელებინათ საკუთარი სარწმუნოება და თუ საჭირო იყო, გაქცეოდნენ მათ, ვინც ამ სარწმუნოების გამო დევნიდა.

ამდენი გამოჩენილი ადამიანი, შესაძლოა, არც ერთ ეპოქას არ ჰყავდა. მარტო ინგლისში ერთდროულად ორმოცამდე ცნობილი პოეტი და დრამატურგი ცხოვრობდა. მაშინდელმა ევროპამ პერიკლეს დროინდელ საბერძნეთსაც კი გადაჭარბა ბრწყინვალე შემოქმედთა და უშიშარი გმირების რაოდენობით. ეს ადამიანები ყოველდღიურად ცვლიდნენ სამყაროსაც და მასზე წარმოდგენასაც. ისტორია მხოლოდ ერთეულებს წარმოაჩენს, მაგრამ მათ მიღმა ათასები, მილიონები დგანან, რომლებიც უბრალოდ აკეთებენ იმას, რაც ადმირალმა ნელსონმა ბრძანა ტრაფალგარის ბრძოლის წინ: „დაე, ყველამ საკუთარი მოვალეობა შეასრულოს“. კოლუმბის, ვასკო და გამას, მაგელანის, დრეიკის და რალეის გვერდით უამრავი, ათასობით ჩვეულებრივი ადამიანი იღვწოდა, შრომობდა, მხარში ედგა მამაც მეთაურებს ან უბრალოდ, კარგად აკეთებდა საკუთარ საქმეს. ისტორიკოსი თეოდორ მომზენი წერდა, რომ რომის რესპუბლიკის ისტორიაში არ ყოფილა ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე-მეოთხე საუკუნეებზე უფრო დიდი აღმშენებლობის პერიოდი, მაგრამ იმ დროიდან თითქმის არავის სახელი არ შემოგვრჩა, რადგან მოქალაქეები საკუთარ განდიდებას ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვას ამჯობინებდნენო. გენერალი მაკარტური ამბობდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იაპონიაზე: „არასდროს არცერთი ქვეყანა არ ყოფილა ასე განადგურებული და არასდროს არცერთი ქვეყანა ასე სწრაფად არ აღმდგარა ფერფლიდანო“. წარმატებულ რეფორმებთან ერთად ეს უბრალო იაპონელების დამსახურებაც იყო, რომლებიც დღესა და ღამეს ასწორებდნენ შრომაში და არ ესწრაფოდნენ იმას, რომ მათი პორტრეტი მაინცდამაინც გაზეთში ყოფილიყო გამოქიმული. ასეთივე ადამიანები მეთექვსმეტე საუკუნეში მეზღვაურებად და ოფიცრებად მსახურობდნენ გემებზე, ვაჭრობდნენ და თვითონვე დაატარებდნენ საქონელს ერთი ქალაქიდან მეორეში, ამზადებდნენ იარაღს მტრის მოსაგერიებლად, აწყობდნენ და ბეჭდავდნენ წიგნებს, კვებავდნენ ჯარს და მშვიდობიან მოქალაქეებს, ართობდნენ მათ თეატრალური წარმოდგენებითა და ლექსების დეკლამაციით. ეს ჩვეულებრივი, შეუმჩნეველი ხალხია, კანონმორჩილი, საკუთარი ქვეყნის, პატარა ქალაქის, მეგობრებისა და ოჯახის მოყვარული. შექსპირს ყოველ პიესაში გამოჰყავს ისინი. ასეთია ერთგული ჰორაციო — ჰამლეტის მეგობარი, კეთილშობილი გონზალო — მეფის მოხუცი მრჩეველი „გრიგალიდან“, პიზელი აზნაურის შვილი ლუჩენციო — „ჭირვეულის მორჯულებაში“ და კიდევ მრავალი სხვა. რატომღაც მგონია, რომ მსახიობი უილიამ შექსპირი საკუთარ პიესებში სწორედ მათ როლებს ასრულებდა — იმიტომ, რომ სულიერ სიახლოვეს გრძნობდა ასეთ პერსონაჟებთან. ამ ადამიანებს გონივრული, რაციონალური საწყისი შემოაქვთ დაუოკებელი ვნებებით გაჯერებულ აუხსნელ სამყაროში. საკუთარი სიკეთით, ჭკუით, თავდადებით იცავენ ქვეყნიერებას ქაოსისაგან, უკავიათ იგი, როგორც ატლანტს ეჭირა ცის თაღი, რათა არ ჩამოვარდნილიყო და არ გაესრისა უგუნური კაცობრიობა. ბორხესი წერდა — ინდოელებს სჯერათ, რომ ამქვეყნად ყოველ თაობაში არსებობს ოთხი კეთილსინდისიერი ადამიანი მაინც, რომლებზეც დგას სამყარო და რომლებიც ამართლებენ მის არსებობას უფლის თვალში. „ძველ აღთქმაში“ ღმერთი მზად იყო, დაენდო ცოდვილი ქალაქი, თუკი მასში ათი მართალი კაცი მაინც აღმოჩნდებოდა. თანამედროვე სამყაროში წესიერი, ნორმალური ხალხის რაოდენობა გაცილებით მეტია — გამოდით ქუჩაში და ყოველი ფეხის ნაბიჯზე გადააწყდებით მათ. რას არ უწოდებენ ამგვარ ადამიანებს რევოლუციის აპოლოგეტები, არისტოკრატიული ფილოსოფიისა თუ უბრალოდ, ბოჰემური ცხოვრების მიმდევრები – ბიურგერებს, ობივატელებს, ბურჟუებს და კიდევ ათას სხვა რამეს. ისინი თითქოს მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ დიდი ადამიანების ფონად გამოდგნენ, ტაში დაუკრან ნარცისიზმით დაავადებული რომელიმე ეგოისტის ექსცენტრულ გამოხდომებს, საზარბაზნე ხორცად იქნენ გამოყენებული გავლენის სფეროების გადანაწილებისას, ქიმერული იმპერიების შექმნისთვის წარმოებულ ბრძოლებში ან საწვავად — მსოფლიო რევოლუციის ხანძრისათვის. არადა, ისინი ბრბო კი არა, საშუალო ფენის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობენ — დილით სამუშაოზე მიდიან და საღამოს შინ ბრუნდებიან, შეხვედრისას ესალმებიან ერთმანეთს, ცდილობენ, კარგად მოაწყონ საკუთარი სახლი და ეზო, ინარჩუნებენ ხალხურ ტრადიციებს, ქმნიან ფოლკლორს, ზრდიან შვილებს, უყვართ სიცოცხლე, ღვთისმოშიშები არიან და როდესაც ძალა შესწევთ, მზად არიან მოყვასის დასახმარებლად. ჩვეულებრივი ადამიანები იდეალურები არ არიან (ამქვეყნად იდეალური არც არაფერია), მათ ბევრი ნაკლი აქვთ, ჩვეულებრივი ადამიანის ნაკლი, რომელმაც შეიძლება, მეზობელს უჩივლოს სასამართლოში დაუბრუნებელი ვალის გამო ან უნებართვოდ ინადიროს სხვის მამულში, ისინი დროდადრო ზედმეტს სვამენ, როცა მეგობრები ეწვევიან და სატრფიალო ლექსებსაც უძღვნიან „შავგვრემან ქალბატონს“, მაგრამ მრავალი „გამოჩენილი ისტორიული პიროვნებისგან“ განსხვავებით ათასობით ადამიანს არ სწირავენ სასიკვდილოდ მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნების, პატივმოყვარეობისა თუ ფანატიზმის გამო. ისინი უფრთხიან სხვისი ბედით თამაშს, რადგან გრძნობენ, რომ ამის გამო ოდესმე თვითონაც შეიძლება იქცნენ სათამაშოდ ბედისწერის ხელში.

ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორედ ასეთი, ჩვეულებრივი ადამიანი იყო უილიამ შექსპირი – კარგი მსახიობი, საიმედო მეგობარი, პატიოსანი მოქალაქე, პრაქტიკული კაცი, რომელმაც საკუთარი შრომით მოახერხა ადგილ-მამულის შეძენა მშობლიურ ქალაქში და აზნაურის წოდების მიღება. ნათესავები, მეზობლები, მეგობრები, კოლეგები ენდობოდნენ და შემწეობასაც თხოვდნენ. ისიც ხელს უმართავდა ლონდონში ჩასულ გასაჭირში ჩავარდნილ თანამოქალაქეს, აგვარებდა მდიდარ სტრატფორდელ მემამულესა და ადგილობრივ თემს შორის წარმოშობილ გაუგებრობას, ეხმარებოდა ნათესავს შვილის დაქორწინებაში. მართალია, აურაცხელი თავგადასავლის ეპოქაში ბრიტანეთს არ გასცილებია, მაგრამ განა ამის გამო უარესად წერდა? სოკრატემაც სულ სამჯერ დატოვა ათენი, მაგრამ მის გონიერებას ამით არაფერი დაკლებია. შექსპირი რომ ისევე შეპყრობილი ყოფილიყო საკუთარი თავის განდიდებით, როგორც მისი მეგობარი ბენ ჯონსონი, საიდუმლო სახელმწიფო დავალებები შეესრულებინა და გაურკვეველ ვითარებაში, ჩხუბში მოეკლათ, როგორც კრისტოფერ მარლო, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გამხდარიყო, როგორც თომას კიდი, მრავალი წელი ემსახურა დედოფლის კარზე ჯონ ლილის მსგავსად ან საკუთარი ცოდვების საჯაროდ მომნანიებელი, მიუსაფარი გარდაცვლილიყო რობერტ გრინივით, იქნებ თანამედროვე ჟამთააღმწერელთა მეტი ყურადღება მიეპყრო მის ცხოვრებას ან თუნდაც სიკვდილს, მაგრამ ის სანიმუშო მოქალაქე იყო და არაფრით გამორჩეული – არც ძალიან მდიდარი, არც ღარიბი, არც დიდებული წარმომავლობის, არც უბირი, არც სამეფო კართან დაახლოებული, არც მიყრუებულ პროვინციაში ჩაკარგული, არც წამყვანი როლების შემსრულებელი, არც უნიჭო, უცნობი მსახიობი. მაშინ, როცა ძვირფასი ქვებით მორთულ ტანისამოსში გამოწყობილი დიდებულები მრავალრიცხოვანი მსახურების თანხლებით ამაყად დააბიჯებდნენ ქალაქის ქუჩებში საკუთარი განსაკუთრებულობის სადემონსტრაციოდ, ხოლო ხელოსნების ყოველ ამქარს საკუთარი ღერბითა და ფორმით მოჰქონდა თავი, ამ ადამიანს საერთოდ არ ჰქონდა თავის გამოჩენის, საკუთარი ყოფის სააშკარაოზე გამოტანის სურვილი და რომ არა მეგობრების მიერ გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ გამოცემული თხზულებათა სრული კრებული, მისი პიესების უმრავლესობა შეიძლება, სამუდამოდ დაკარგულიყო.

შექსპირი, რომელიც გეორგ ბრანდესის თქმით, „ცხოვრობდა და მოკვდა, როგორც ერთი მრავალთაგანი“, მხოლოდ იმით განსხვავდებოდა ასიათასობით თავისი თანამემამულისა და მილიონობით ევროპელისაგან, რომ გენიოსი იყო, ერთ-ერთი უდიდესი კაცთა შორის. არავის ისე სრულყოფილად არ გამოუხატავს ადამიანის მრავალფეროვნება, მისი ბუნება, მისწრაფებები, შიშები და სურვილები, არ დაუნახავს ყოფიერების სიღრმე და უბრალოება, როგორც ამ სტრატფორდელმა მოქალაქემ მოახერხა. ის დროს არ ხარჯავდა სიუჟეტების მოფიქრებაზე, თითქოს ენანებოდა საკუთარი ტალანტი „შავი სამუშაოს“ შესრულებაზე გაეფლანგა. ის მზა ისტორიებს იღებდა ძველი ქრონიკებიდან ან უკვე არსებული პიესებიდან, გადააკეთებდა მათ და შედევრიც მზად ჰქონდა. ამ მხრივ, პირველი პოსტ-მოდერნისტი მწერალიც კი შეიძლება ვუწოდოთ. ლეგენდარული მეფე მიდასივით, რასაც შეეხებოდა, ოქროდ ანუ ნამდვილ ხელოვნებად აქცევდა. ამავე დროს, შექსპირი ჩვეულებრივი ადამიანია და სწორედ ამიტომ კარგად ესმის არა მარტო მეფეებისა და დიდებულების, ამპარტავანი რომაელი მხედართმთავრებისა და მაცდუნებელი ეგვიპტელი დედოფლის, არამედ ტრაბახა რაინდების, მსახურების, მასხარებისა და სასტუმროს დიასახლისებისაც. ის კაცობრიობას წარმოადგენს და ამიტომ კაცობრიობის ყოველი წარმომადგენელი მისთვის ახლობელია. იმისთვის, რომ უკვდავი პიესები წეროს, არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც საყოველთაო თაყვანისცემით იყოს გარემოცული და გამვლელები პატივისცემის ნიშნად თავს ხრიდნენ მის დანახვაზე. ეს, პირიქით, ხელსაც შეუშლიდა, რადგან თავდახრილი ადამიანის სახის გარჩევა ძნელია.

რთულია, დანამდვილებით თქმა, შექსპირი, უპირველესად, დრამატურგია თუ პოეტი. რენე გენონი ერთ-ერთ სტატიაში ამტკიცებს, რომ სამოთხეში მყოფი ადამი განსაკუთრებული, გარითმული ენით საუბრობდა. ეს ყველა თანამედროვე ენის წინაპარი უძველესი პროტო-ენა ძალიან წააგავს იმ პოეტურ მეტყველებას, რომლითაც შექსპირის გმირები მიმართავენ ერთმანეთს მის საუკეთესო პიესებში. გოეთე წერდა, ინგლისელი დრამატურგის ყველა ნაწარმოები რომელიღაც უხილავი წერტილის გარშემო ტრიალებსო. თვითონაც დიდი პოეტი იყო და კარგად იცოდა, რომ ფილოსოფოსები და მეცნიერები, მწერლები და თეოლოგები, სახელმწიფო მოღვაწეები და მხედართმთავრები შესაძლოა, ეძებენ ჭეშმარიტებას, მაგრამ მასთან ყველაზე მეტად მიახლოებას სწორედ პოეტები ახერხებენ, რომ პოეზია სინამდვილეში ჯადოსნობის ერთ-ერთი სახეობაა. სწორედ ამ მოუხელთებელ, ზოგჯერ ასე

დასასრული მე-6 გვერდზე

მარტო მიაბიჯებდა ღამისგან ჩაშავებულ ქვიშაზე, სამოსი ჯვალოდ ქცეოდა და გრძელ, დაფლეთილ ნაკუწებად ეკიდა ჩამომდნარ, ჩირივით დამშრალ ტანზე. გაუხეშებული ჭაღარა თმით დავერცხლილი წვერი მკერდამდე სწვდებოდა და მისი ღერები ნემსებივით ერჭობოდა მაღალი ხელჯოხის წვერში ჩავლებულ, დამტვრეულ ფრჩხილებიან თითებში, წინ კი ისევ უდაბნო, სიცარიელე, სიჩუმე იყო. მოწმენდილ ცაზე თეთრად კიაფობდნენ წვრილი ვარსკვლავები და დიდი მთვარე და მათი შუქისგან განათებული ქვიშიანი ბორცვები ჩაშავებული ზღვის ტალღებივით მოედინებოდა მისკენ, შორს კი, ამ უკაცური ნახატის ბოლოში, მიწისა და ცის შეერთების ზოლზე მუქი მთების გრეხილი იძირებოდა ლურჯ ნისლში.

წელში მოხრილიყო, მხარზე დიაგონალად, თეძოსკენ, ძროხის ტყავისგან შეკერილი, ერთ დროს ყავისფერი, ახლა კი უფერული და მთვარის შუქზე ალაპლაპებული ჩანთა გადაეკიდა და ნელა, მაგრამ მტკიცედ მიაპობდა ქვიშას, შიშველი, ქუსლებდახეთქილი, ბინძური ფეხებით. თავს ნაჭრის კაპიუშონში მალავდა, რომელიც საბანივით გადაფარებოდა, გაუხეშებულ, ჭუჭყისგან ნაცრისფრად ქცეულ გრძელ, ჭაღარა, ხუჭუჭა თმას.

ირგვლივ სიჩუმე იდგა, ბორცვებზე აქაიქ თეთრად ელვარებდნენ ცხოველების ძვლები, მხოლოდ ხანდახან, შორიდან დაბერილი ქარი თუ ააგლეჯდა გორაკებს ქვიშის ღრუბელს, მაშინ მგზავრი დაბლა ხრიდა თავს, კაპიუშონში მალავდა დანაოჭებულ, ნაოჭებში ქვიშის შავ ზოლებ ჩამჯდარ სახეს და ჯიუტად აგრძელებდა გზას.

მერე მისგან ხელმარცხნივ ქვიშის ტალღამ ზრდა დაიწყო, მაღლა წავიდა, კატასავით აიწოწა, აეკრა კრიალა ცას, დიდ მთად იქცა და მისი გრძელი, შავი ჩრდილი დამრეცად გაწვა მინაზე.

უცნობი შორიდანვე შეამჩნია, მთის ძირში რომ იჯდა მარტო დიდ ქვაზე, მუხლები მოეკეცა, ზედ ბანჯგვლიანი ხელები შემოეხვია და მიწას დაჰყურებდა. ეცვა უბრალოდ — ტყავის სანდლები შიშველ ფეხებზე, უფერული ჯვალო, თავზე დაგლეჯილი გრძელი კაპიუშონი და რომ არა მუხლებზე შემოჭდობილი თითები, რომლებსაც ერთმანეთში ათამაშებდა, მთვარის შუქისგან განათებული ქვის წვეტი ან ქანდაკება გეგონებოდა.

— გამარჯობა, — ოდნავ დაუკრა თავი მგზავრმა.

— წყალი გაქვს? — თავაუწევლად ჰკითხა ქვაზე მჯდომმა, ხმა ჰქონდა ბოხი და ძლიერი.

— მაქვს, — მიუგო მგზავრმა, ჩანთაში ჩააცურა ხმელი ხელი, ტყავის მათარა ამოიღო და უცნობს გაუწოდა.

მუხლებზე შემოჭდობილი თითები გაიხსნა, გრძელმა, ბანჯგვლიანმა მარჯვენა ხელმა მათარა გამოართვა, თავი მოხსნა, კაპიუშონის ბნელ სიღრმეში შეაცურა, გაისმა ყორყის ხარბი ხმა და უფერულ ჯვალოზე შავ წერტილებად დაეშვა, წყლის წვრილი წვეთები.

— ახჰჰჰჰჰჰჰ! — მარცხენა ხელი შემალა უცნობმა კაპიუშონში, ეტყობა ტუჩები მოიწმინდა, ხელმეორედ მოიყუდა მათარა, თავი დაახურა, მგზავრს დაუბრუნა:

— მადლობ! — უთხრა თავაუწევლად და ისევ მუხლებზე შემოიჭდო ხელები.

მგზავრმა მათარა შეაჯანჯღარა. მთლიანად დაეცალა უცნობს. ჩანთაში ჩაიდო და თავი დაუკრა. ცოტა ხანი ჩუმად იყვნენ, მთვარის ვერცხლისფერ შუქში მოქცეულები, ბოლოს მგზავრმა წასვლა დააპირა.

— გააქვს კიდევ წყალი? — მოესმა უკნიდან.

მოიხედა, უცნობი ისევ ისე, თავდახრილი და მუხლებზე ხელებშემოჭდილი იჯდა ქვაზე.

— არა, — თავი გააქნია მგზავრმა.

— მაშინ რატომ არ მითხარი არაფერი, როცა წყალი მთლიანად დაგილიე? — თითები გაატკაცუნა უცნობმა.

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა მგზავრმა.

— რატომ არ გაბრაზდი, არ მეჩხუბე? არ გამომგლიჯე ხელიდან?

— მე არა მაქვს იმის უფლება, რომ ვინმეზე გავბრაზდე!

უცნობმა თავი აწია და კაპიუშონის სიღრმეში დიდმა თვალმა თეთრად აირეკლა მთვარის შუქი.

— საით მიდიხარ? — ჰკითხა, ოდნავ უკან გადაიწია და ხელებით დაეყრდნო ქვას.

— იქით, — კაშკაშა ვარსკვლავისკენ ანიშნა მგზავრმა და მკლავამდე გამოუჩნდა გამხდარი ხელი.

— ეძებ ვინმეს?

— კი.

— ვის?

— ზუსტად არ ვიცი, მხოლოდ მსმენია იმ კაცზე.

— ა�ა, შენც ერთ-ერთი იმათგანი ხარ და დურგლის შვილს ეძებ, არა? — თქვა უცნობმა და გადაიხარხარა, მისი უსიამოვნო სიცილი სწრაფად გაიშალა შავ უდაბნოში.

— ვეძებ, — ღიმილით უპასუხა მგზავრმა, — შენ იცი, ვინ არის? გსმენია?

— მინახავს, — მოუჭრა უცნობმა.

— როგორია? — ქვიშაზე დაჯდა მგზავრი.

— ჩვეულებრივი, როგორი უნდა იყოს?

— ამბობენ, რომ ღმერთის შვილია!

— ხო, ამბობენ.

— და ჩვეულებრივია? — გაუკვირდა მგზავრს.

უცნობი ისევ ახარხარდა.

— როგორ გავხართ ყველანი ერთმანეთს, რაღაც რო დაიჯეროთ, აუცილებლად სასწაული გჭირდებათ. მოიცა, გამოვიცნო, გითხრეს ღმერთის შვილიაო და დაკუნთული, ლამაზი უძლეველი მეომარი წარმოგიდგა არა თვალწინ? მახვილით ან შუბით ხელში და მბზინავი ფარით, ჰერაკლე! ა, ჰა! ჰა! ჰა! ჰა!

— არა, უბრალოდ გამორჩეული, არ ვიცი, როგორ და რითი, მაგრამ გამორჩეული.

— ეეე, რო გეუბნები ჩვეულებრივი, ესე იგი ჩვეულებრივია, გამხდარი, ბანჯგვლიანი, მაგრამ ერთი რამ მართალი თქვი, თრაკიელო ჯარისკაცო, გამორჩეული მართლაც არის...

— საიდან იცი, ვინ ვარ? — ფეხზე წამოვარდა მგზავრი და ხელჯოხს ჩასჭიდა თითები.

— დაწყნარდი, მოხუცო, — სიცილით უთხრა უცნობმა, — ვარსკვლავისკენ რომ გაიშვირე ხელი, მკლავზე ამოტვიფრული ნიშანი გამოგიჩნდა, ჯარისკაცის ნიშანი, კილო თრაკიული გაქვს, ეგ არი და ეგ.

მაგრამ მგზავრი აღარ დამჯდარა, იდგა და ქვაზე სანახევროდ გადაწოლილ უცნობს შეჰყურებდა.

— სახე დამანახე! — უთხრა ბოლოს.

— რად გინდა? — დაახვედრა იმან.

— მინდა ვიცოდე, ვის ველაპარაკები!

— სულ ეს დამტკიცებები, — ჩაიბურდღუნმა უცნობმა, გასწორდა, ხელები ქვას მოაშორა, კაპიუშონი გადაიწია, მთვარის შუქმა წამში ჩამოაშორა სიბნელე და მგზავრმაც დაინახა: მარცხენა თვალის შავი, უსიცოცხლო ბუდე, გრძელი, შავი თმა და დამახინჯებული, ღრმა იარებში ჩამჯდარი სახე ხაზებად რომ გასდევდნენ ფართე შუბლს, ცხვირს, ყვრიმალებს, შემდეგ დაბლა მიდიოდნენ და ხშირ, შავ წვერში იკარგებოდნენ.

— ვინ გიქნა ეს? — წამოცდა გაოგნებულ მგზავრს.

— ჩემმა ძმებმა, — წყენის ერთი ბგერა არ გაპარვია ხმაში, ისე უპასუხა უცნობმა.

— კი, მაგრამ რატომ? მემკვიდრეობის გამო? — ჰკითხა მგზავრმა.

— ა, ჰა! ჰა! ჰა! ჰა! — ახარხარდა უცნობი და მთვარის შუქზე ლამაზ ხაზად აელვარდა დიდი, თეთრი, მეჩხერი კბილები, — დაახლოებით. რას გეუბნებოდი? ა, ჰო, გამორჩეული მართლაც არის-მეთქი, და იცი, რითი? სიტყვით.

— და რას ამბობს ეგეთს?

— რომ ეს სამეფო წარმავალია, რომ მოახლოვდა ზეციური სამეფო, რომ ის სწორედ ამ მარადიული სამეფოს ხელმწიფის შვილია და რომ ვინც ირწმუნებს და გაჰყვება მამამისის, მეფის სიტყვას, მხოლოდ ის გადარჩება.

მგზავრს უსიამოვნება დაეტყო სახეზე.

— რა იყო? არ გჯერა მეფის სიტყვის?

ქარმა შავი ქვიშის ფარდა წამოშალა მიწიდან.

— ყოფილხარ რომელიმე მეფის ქვეშევრდომი? — ჩაეკითხა უცნობი.

— კი, — ცას გახედა მგზავრმა.

— როგორი იყო?

— ვინ?

— შენი მეფე!

მეფე მოხუცივით ეჭვიანი და ბავშვივით დაუნდობელი იყო და მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება ერთგულად ემსახურებოდა, მხოლოდ ორჯერ ჰყავდა ნანახი. პირველად ბავშვობაში, როდესაც მამის მხრებზე შემოსკუპულმა დაინახა — მეწამულ ლაბადაში გახვეული, თხელი, ფერმკრთალი, შავთმიანი, როგორ გამოვიდა სასახლის ყველაზე მაღალი კოშკის ქონგურზე, იქ, სადაც ვერც ერთი შუბი, ქვა ან ისარი, შეძახილიც კი ვერ მისწვდებოდა და წვიმასავით გადმოყარა მოედანზე შეყრილ ბრბოს ოქროს მონეტები; და მეორედ, როდესაც უკვე მეოთხე ათწლეულს გადაცილებულმა და მისი სისხლიანი ბრძანებების შესრულებით დამძიმებულმა, შეაბიჯა სასახლის კედლებში და ნახა ის, რამაც ასე გააოცა და შეზარა.

მეფემ ტახტი ღალატით, ვერაგობით ჩაიგდო ხელში, ერთ უმთვარო ღამეს ვერცხლით ნაყიდი მკვლელებით შეესია სასახლეს და მთელი თავისი ოჯახი ამოხოცა — დედა, მამა, ძმა, ძმისშვილები, მხოლოდ და დაინდო, მასავით შავთმიანი, ფერმკრთალი, გალეული. ცოლად დაისვა, თუმცა ვერც მას მიეჩვია, ბოროტებით და სისხლით მოსულს მუდამ ბოროტება, შეთქმულება ელანდებოდა ყოველ კუნჭულში ჩასაფრებული რომ ელოდა მის ჩაძინებას, ორ თვეში მშიერ აფთრებს მიუგდო, ისევ მტრებს მიუბრუნდა და მზისგან დახეთქილ, დამშრალ მიწაზე ნელა გახოხდნენ სისხლის წითელი გველები.

და რაც უფრო ფართოვდებოდა, იზრდებოდა ქვეყნის საზღვრები, მით უფრო და უფრო ღრმად იმალებოდა მეფე საკუთარი სასახლეში, მით უფრო და უფრო აცარიელებდა მის ოთახებს, მით უფრო და უფრო ეჭვიანი და სასტიკი ხდებოდა, მსახურების მოჭრილ თავებს ჰკიდებდა მთავარ მოედანზე აღმართულ მაღალ შუბებზე, შანთით აშანთვინებდა, ხელ-ფეხს, სახეს უმახინჯებდა მტრებს, ოჯახებიანად წყვეტდა ვეზირებსა და ერთ დროს მის კარზე საქმიანად მოფუსფუსე მრჩეველებს იქამდე, სანამ მისმა გამზრდელმა, მოხუცმა, ცბიერმა ტორჩილმაც არ აიკრიფა გუდა-ნაბადი და მარტო არ დატოვა ამოდენა სანახევროდ ჩაბნელებულ სასახლეში.

მეფემ დაცვა შემოარტყა სასახლეს, უცხო ტომის მეომრების ცოცხალი ოთხკუთხედი, აბჯარში და იარაღში ჩამჯდარი ჯაჭვი, რომელიც ღამით ვერცხლისფრად, დღისით კი ოქროსფრად ბრწყინავდა რუხი კედლების ფონზე, როგორც სამაჯური მოხუცის მაჯაზე, საერთოდ გაწყვიტა კავშირი გარე სამყაროსთან და ერთადერთი, რითაც ხალხი იგებდა მისი არსებობის შესახებ, იყო დაბზარული, ხავსმოდებული, მიტოვებული სასახლიდან გამოსული მორიგი გიჟური სისხლიანი, უაზრო ბრძანება და ახალი უცხო ტომის მეომართაგან გაჩენილი სარტყელი, ზედა ფენად რომ ედებოდა პირველს და ასე დაუსრულებლად.

მეორედ რომ იხილა მეფე, სასახლეს უზარმაზარი მახრჩობელას რკალებივით შემოჰხვეოდა ექვსი შორეული უცხო მხარიდან მოსული დაქირავებულ მეომრების რაზმი, ექვსი სხვადასხვა ტომი, სხვადასხვა ენა უნდა გაგევლო იმ მუხის ძველი, მტვრიანი ალაყაფის შესაღებად, რომლის იქითაც, როგორც ამბობდნენ, ცხოვრობდა მეფე, ექვსი დეგუსტატორის პირში უნდა გაღეჭილიყო საჭმელი და ასე ლორწოვან ფაფად ქცეული უნდა გაუჩინარებულიყო დაბზარულ კედლებს მიღმა, რომ მას მეფის პირი შეჰხებოდა, იმასაც ამბობდნენ, რომ მეფე დიდი ხნის მკვდარი იყო, ჩონჩხად ქცეული იდო რომელიღაც ბნელ ოთახში და მისი სახელით ქვეყანას სასახლეს შემორტყმული პირველი უცხო ტომელთა რკალის მეთაური მართავდა, რომელიც ყველაზე ახლოს იყო მუხის კართან.

მაგრამ მერე მეფემ ის იხმო, უფრო სწორად, უთხრეს, რომ გიხმობსო და მანაც სხვებისგან შეუმჩნეველი, მხოლოდ გულის სიღრმეში აკანკალებული ნაბიჯით გაიარა ექვსივე რკალი, თვალებში შეხედა ექვსივე უცხოტომელ რაზმს, ჯარისკაცებს, ეჭვიანი, დაუნდობელი, მხეცური გამოხედვით რომ ხრავდნენ როგორც მშიერი ძაღლი ძვალს, ხელით შეეხო სწორედ იმ მუხის კარის მძიმე ზედაპირს, მიაწვა, ღრჭიალით შეაღო, სასახლის ბნელ ხვეულებში შეაბიჯა, ორი დღე-ღამე ეძება მეფე უკაცურ, ბინძურ კორიდორებში, ცივ, ობობის ქსელებით დაფარულ ტალანებში, ოდესღაც მდიდრულ, მიტოვებულ ოთახებში, რომლის ჭრელა-ჭრელა ფერები მთლიანად ჩაეყლაპა წლების განმავლობაში დადებულ ნაცრისფერ მტვერს და ბოლოს როგორც იქნა იპოვა, ერთ-ერთ ქვის სენაკში შეკუჭული, თბილ პლედმოგდებული, ჭრაქის შუქით განათებულ მაგიდაზე დახრილი, გადაშლილ რუკას რომ ჩაჰკირკიტებდა გაფაციცებული, ულმობელი, ხარბი, შეშინებული მოთეთრო-მოცისფრო, ავადმყოფურად ფერმკრთალი სახით, გადათეთრებული წარბებით, გალეული ხელებით, რომლებზეც კატორღელის ბორკილებივით ეკიდა ძვირფასი, ამ სიფრიფანა კანისა და თოკივით წვრილი მაჯის ფონზე უზარმაზარად ქცეული სამაჯურები და მოჭუტული, მუდამ ბნელში ყოფნისგან თხუნელასავით დაწვრილებული ავი თვალებით.

მეფემ ბრძანება გადასცა, ის კი იდგა. უყურებდა ამ ვეებერთელა ბნელ ლაბირინთში გამომწყვდეულ, ჩაკარგულ, აჩრდილად ქცეულ სიფრიფანა მოხუცს, მხოლოდ ძველი ნესტიანი რუკით, ავი მოჭუტული თვალებით, ულმობელი თითებით და წვრილი, ქალივით მკივანა ხმით, მზეზე გაუსვლელად რომ მართავდა ამოდენა ქვეყანას და გრძნობდა მთელ იმ საშინელ, ყოვლისმომცველ მარტოობას, შიშს, უბედურებას, რომლითაც გაჟღენთილიყო იქაურობა და ვერ იჯერებდა...

— კიდევ, დურგლის შვილი ამბობს, გიყვარდეთ ერთმანეთიო, გიყვარდეთ არა მარტო მოყვასი, არამედ მტერი თქვენიო! უცნაურია, არა? — გამოარკვია ფიქრებიდან უცნობის სიტყვებმა.

— არა, — მიუგო მგზავრმა.

— რა, არა? გყვარებია ოდესმე მტერი?

— კი... უფრო სწორად, იმას ვყვარებივარ მგონი, — ჩუმად, თითქოს თავისთვის

დასასრული მე-6 გვერდზე

დოდო ჭუმბურიძე

ციკლიდან — „სინათლე ბალახის თესლიდან“

***

ჭვინტა — ფრინველია მინდვრის,
თავზე მაცნესავით დამფრენს,
მერე ჭალებისკენ მიჰქრის,
მწვანე აბზინდებში ჩათვლემს.
ფიქრი მორევივით მითრევს,
ვიდრე ოცნებით ვშლი აფრებს...
ჭვინტა — ფრინველია მინდვრის,
ისიც ოცნებებში დაფრენს.

ზეცა საგურამოდან

ხან წვიმს, ხან მზეა, ხანაც ქარი ტყეებში ბრაზობს,
მაისის ღამე მოსირმულა ახალი მთვარით,
ნისლო, ქულებად დაწყობილო ქათქათა ცაზე —
ნუ მეფარები, დამანახე უფალი თვალით...

***

ჟამი მიცურავს, ვით მდინარე,
იგრძენ, გახედე,
ათას საოცარ რამეს მისი დენა გვახვედრებს,
არ დაიჯერო, ყველა ტყუის, ყველა პირფერობს,
უფრო იქებენ საკუთარ თავს, ჩვენ რომ გვაქებენ...

***

გმირი არა ვარ, არც წმინდანი, არც მოღალატე,
ადამიანი ვარ უბრალო, სანთლად ვანათებ,
ქალი ვარ, ვისაც შეუძლია მიწად იქცეს და
ზედ ატარებდეს, არ ითხოვდეს სხვისგან არაფერს...

***

ცხოვრება ჩემი — არის ქალის გამოცდილება,
ვინც გაიარა სიყვარულიც, ტანჯვაც, ცვლილებაც,
მოდი და ჩუმად წაიკითხე, მშვიდო ასულო,
შენს მომავალზე უფრო მეტი გეცოდინება...

***

თითქოს დღეს იყოს ის დღე, ქართლ-კახეთს
შაჰ-აბასი რომ შემოესია,
გული მიცემს და სულში ბგერები
ჩუმად ჩადიან და იქ კვნესიან,
— ო, იბერიავ, გასაბრწყინებლად ნუთუ ამაოდ
ელი მესიას...
მოხუცი კაცი მოვა და მეტყვის: —
ვინ მოერევა ამ ეკლესიას!...

***

აგერ, ნიბლია ბუდეს აშენებს,
ძელქვის ფოთლებში თივით ფართხუნობს,
სწრაფად დარბიან ნაკადულებიც,
მთებიც ფიქრობენ — გაიზაფხულონ,
თავბრუდამხვევად ფრენენ პეპლები, —
ამ მინდვრების და ტყეთა ერთგულნი,
ისე გაბრწყინდა მთელი ქვეყანა, —
ანგელოზებს სურთ დაისადგურონ...

***

მდინარეები ჰგვანან ქვეყანას, და უფრო მეტიც,
ადამიანებს,
სადაც ჩნდებიან, სადაც მიდიან,
იმ მიწის ბედი ადარდიანებთ,
ვინ ვგავართ რიონს, ვინ ენგურს, არაგვს,
ქსანს, იორს, ალგეთს, ანდა ალაზანს,
ვინ პატარა რუს, უხმოდ მიმავალს,
მდინარეში რომ კვდება ლამაზად.

***

მღერის ჩიტი, ბარდებში მაყვალია მწიფე,
მღერის ჩიტი მარტივად, კვნესის, კი არ მღერის,
ყინვის ფერი ერევა ჩამავალ მზეს, წითელს
და ხმას ზარი ეპარვის უიმედო ღელვის.
მოდი ჩემთან, ჩიორა, ნუ ჩამალავ ნისკარტს,
გაყინულ ფრთებს გაგითბობ, საბრალოდ რომ იქნევ,
წუთისოფლის წესია: იმარჯვებს, ვინც რისკავს,
სადაც არის სიცოცხლე, სიკვდილია იქვე...

***

წყალი დის აქვე, ტაძრის ეზოში,
ბებერი მუხა კლდეში ფესვებს შლის,
ელვების შემდეგ ცა გაკრიალდა,
ჩანს როგორც სარკე...
დაგაგვიანდა...

შენ არკვევ — შუქი რატომ ქრებაო,
საღამო რატომ დადარდიანდა.
ხიდი ჩამტყდარი გახსოვს ფაზისთან,
ვცდილობდი შენთვის რაღაც ნაზის თქმას,
ნიმფები ფრენდნენ, ჭალა არესის
ქალკიოპეს და ფრიქსეს ალერსით
სავსე იყო და თრთოდა სიამით,
და ორიონის ციდან ციალით
ფრთა გაეშალათ გზებსა და აზრებს,
ღვთისმშობლის შობის ტაძართან ნაძვებს
ტკბილად ეძინათ, იყო გვიანი
როს ნეტარება ბედმა მარგუნა:
უფლის სიტყვის და ნების ზიარმა —
ყარიბმა კარზე მომიკაკუნა...

***

ო, ვერც ვგრძნობთ, უფალი ჩვენს სულში რასაც დებს,
ლოცვანი სულიერ სიმტკიცეს გაგვიჩენს,
შვილები ვუყვარვართ, გვარიდებს განსაცდელს
და დიდ სამსჯავროზეც იესო აგვირჩევს...

ზედაზენის სალოცავში

შავი კაბით შემოსილი ზედაზენის სალოცავში,
ყოფა გამსუბუქებულა, შვიდი ბერი გალობს ცაში.
აქვე მათთან უფალია,
ანგელოსებს უხარიათ
უტკბილესი გალობანი.
გზა ხსნილია და ნათელი, ბრწყინავს ბერის კაბაც,
ხორციც,
სხვა არ არის არაფერი, გარდა შვიდი ბერის ლოცვის.
ითხოვე და არ მგონია, არ მოგეცეს, რასაც ითხოვ,
არის სრული ჰარმონია — ცაში კიბე ადის თითქოს,
ამკობს ნამყოს, კვებავს მერმისს
აღტყინება უტყვი მესის,
ზედაზენში შვიდი ბერის
ჩუმი ლოცვა უტკბილესი...

ქალთა მონასტრის კელიაში

ძველი კელიიდან სუნი დის თაფლის და საკმევლის,
სულიწმინდა აქ არის, ვიგრძენი, ღიაა სარკმელი.
ლოცვის შემდეგ კვერსა ჭამს პურისას
დედაო გამხდარი,
მაღალ კიპარისთა ტოტებში
ირწევა ამაღლების საყდარი.
მთვარე არც ამოდის,
ისე გააგულისა ზამთარმა,
სინათლე კელაპტრის ამოდ დის,
თაფლის სუნით ტყეები დამთვრალან.
მერე, ტკბილი იესოც ჩამოვა —
ქარი რომ გაავრცელებს ოცნებებს,
შუქად მოგვეხვევა,
ცივ კერას აუნთებს
მონაზვნის კელიებში მლოცველებს...

***

თებერვლის რუხი დღე იდგა,
თოვდა, თოვდა და თოვდა,
უცებ, ღობესთან დავლანდე:
ია ჩემსავით თრთოდა.
მეთოვლიებს და ჟივჟავებს
ერთი ამბავი ჰქონდათ,
ფიჭვები ქარებს ჭალებზე
გადაეშალათ ქოლგად.
იას ვუთხარი ტურფასა:
ღირსვარმცა შენდა ხილვად?
მიენდე ჩვენსას უფალსა,
არ შეუშინდე ყინვას.
ნუგეში ყალბი გამოდგა,
ხმა გაბზარული მქონდა,
მარტოსული და საბრალო
იაც ჩემსავით თრთოდა...

***

დაპირებული ხელთათმანები
შერიგებისთვის კი არ გესროლე, —
სული მოვითქვი და ბედს დავნებდი
და მინდა ჩემი მეტი გესმოდეს.
გზაზე მტვერია, ვარდებს ვინ დაყრის,
ვერცკი გავივლი, თუ არ გავრისკე,
მარცხნივ კლდე არის, წავალ პირდაპირ,
წავალ პირდაპირ, ან მდინარისკენ...

***

ჩიტები ესევიან გადამკილ ნაპურალს,
ცაზე ნისლს თითქოსდა გაშლილი თმები აქვს,
წვიმაა, ჭალებში გადარბის შხაპუნა
და ქარებს ჩაკრულნი ვაშლები თბებიან.
მინდვრის უცვეთელა თავს ქარის მსხვერპლად თვლის,
ცოხნის ხარ-კამეჩი სათიბში მოცლილად
და ბლებს, რომ იქნევენ წვეროებს ხმლებივით,
ხშირი ტოტებიდან შაქარი მოცვივათ.

***

კოლხეთი საოცრად ჭრელდება,
ქალღმერთი რეა რომ არწევდა—
ახლა ნიმფები ნისლის თმებს ვარცხნიან,
ჰეფესტომ — ხალიბმა მჭედელმა —
ხარები აიეტის დაჭედა
და ცეცხლისმფრქვევლებად აქცია.

***

ჩვენი სახლი, ძველი სახლი, სუროს ნებას დაჰყვა,
შენი სახე აღარ მოჩანს სარკეების მურში,
დაუვლია ვენახის და ყანის პირი მაყვალს,
ჭინკებიც კი გაქცეულან, გომბეშო წევს ჭურში.
არც ყიყინებს, არც ხმას იღებს, ჭრიჭინაც დუმს უკვე,
მკვდარი არე ბინდებს მიაქვს, აკაციით ნაყარს,
ოთახებში სანთლებს ვანთებ და საკმეველს ვუკმევ
და დრო ასე სევდიანი ოცნებებში გამყავს.

***

„ჩემი დღეები გადახრილი ჩრდილივითაა“...
ფს.101-12

შემოდგა ეს ღამე მაღლობზე — სიცოცხლის ძეგლად,
შეეხო მთოვარე ვერხვების რბილ ფოთლებს ვნებით,
მომწყინდა მარტო და სიყვარულს დავუწყე ძებნა,
მომწყინდა წუხილი და ჩუმად მოვძებნე მტრები.
იქნება მათ მითხრან: რა არის, რაც უნდა მქონდეს,
რომ ლაღად ვიცხოვრო და ბედნიერება ვიმკო,
გოდების კედელთან კვლავ იერემია გოდებს
და უსამართლო ჟამს თანამემამულე მიყოფს.
ჩრდილებს გადააწვენს, კიპარისებისას, მზე გრძლად,
ჩემი დღეებია — მტვერში ჩაცვენილი თვლები,

იდგება კვლავ ღამე მაღლობზე სიცოცხლის ძეგლად
და მთვარე ჩაიკრავს ხეების რბილ ფოთლებს ვნებით.

***

მოლოდინი სიყვარულის
გზის დასასრულამდე ივლის,
დამღლელიც და მშვენიერიც, წამიერიც, სამუდამოც,
ასე ბალახებში გთესოს — შეუძლია მხოლოდ ივლისს,
ვარსკვლავებთან გასაუბროს და სიზმრებთან გამუდაროს.
ორი ჩიტი, ორი სევდა თავზე ისე დამფარფატებს —
ახალ ამბებს ველოდები, ვუსმენ ეზოებში ციცრებს,
იმედები ძველისძველი, თითქოს გაჰყვა ნისლის ფარდებს,
არაფერი ხდება,
მოდის შემოდგომის სინაცრისფრე.
მთელი ყოფა ოცნებები, სურვილები, მოლოდინი,
ობლის კვერი უნდა დაცხვეს, უნდა ახდეს, — დამაჯერებ,
თან იცინი და მიმტკიცებ, რომ ვიქნები ბოლო გმირი,
ვინც დროს, ფლიდს და მატყუარას, ჩემს ყოფაში
გავაჩერებ...

***

ეს ღამეც ისე მიედინება,
როგორც მტკვრისაკენ ქსანი,
ეს ღამეც ისე უდაბურია,
ჩქამიც არ ისმის, ჩქამიც.
ეს ღამეც ისე გამოგვეცლება,
როგორც ფეხთაქვეშ მიწა,
ვით ქვიშას, მასაც ისე წაგვართმევს
წყალი, ჟამივით ჩქარი.

***

რაღაც ხდება, მიწას გააქვს გუგუნი,
ალვას ტყდება, გადარეულს, ტოტი,
მე რა ვიცი, რატომ კვნესის ბულბული,
ან რას მოთქვამს ბნელ ღამეში ჭოტი.
ვიცი ერთი, — ჟამი მკაცრი რომ არს,

სულის სალბუნს ვერ იპოვებს მარტვილი,
მარტი ვეღარ ააკვნესებს რომანსს —
თუ ტირიფი მდინარისპირ არ ტირის.
კატაბარდა მწვანე ღობეს კოცნის,
საჯინიბოს აღარ ადევს ურდული,
სახლში, როგორც ძველ სენაკში, — ლოცვას
მივეცემი... და იკვნესებს ბულბული.

***

რა არის, საით მიიჩქარი, ვის ან რას ეძებ,
ცაში მბრწყინავი მტვრის მარცვლები მიგაცილებენ,
მტრედები წყნარად მიირთმევენ თივის თესლს მზეზე
და გაზონები ვერც ამჩნევენ დროის ცვლილებებს.
შენც გინდა რამე არ იცოდე გულგრილი დროის,
არც თავგანწირვის, არც სიმხდალის, კრულვის, ზეიმის,
ვაკის პარკის წინ დგახარ, მოჩანს კარიბჭე ტროის,
დელფოს სამისნო, რომის გზა და კოლიზეუმი...

ალექსანდრე ორბელიანს

უნდა ვიდარდოთ სიბნელეში ჩაკეტილებმა:
ვერ გამოგვზარდეს ისტორიის გაკვეთილებმა.
იხსენებ დიდი პაპის ცრემლს და აგეტირება,
რა მძიმე არის ყაჩაღის ჯაჭვი!...
მოდიან უფრო თამამები, უფრო ცეტები,
არად რომ უღირთ ჯინჯილები, ეპოლეტები,
იმპერატორის ქებით დაშვრნენ ცრუ პოეტები,
დითირამბებით ცხოვრება არ ჭირს!..
შენ ასჯერ კვდები, სალაფავს რომ ღორებს უყრიან,
როცა იცვლება იმათ შორის მშვიდად როლები,
ეს მიწა ჩვენი კი არ არის, უფალს უპყრია,
ვერ დააკლებენ ამ ქვეყანას რამეს ღორები.
აქ უფლის ნებით ნათელს აკმევს ნათლისმცემელი,
ლეონიძეა, სოლომონი, მისი მრჩეველი,
აქ დოდაშვილის და ილიას აჩრდილი დადის,
და კიდევ, შენი ტკივილები, მოურჩენელი...

დეგიუტი

მამუკა გოგოლიძე

ნასესხები

დროგამოშვებით მზე
ბჟუტავს ძლივსძლივს,
(თვეა აპრილის)
მოელიან კარგ ამინდს
ტირძნისს.
მოედინება ღელეები
თავპირისმტვრევით,
ნაკადულები იჩქარიან
ჩუხჩუხით ხვნეშით,
ორპირი ქარიც არ იშურებს
ძალას და ღონეს,
მოკლედ, ამ წვიმამ
ხომ შეგვიკლა სუყველა ხელში.
მიმოდის ხალხი კანტიკუნტად,
ბორგავს ლელეხი,
იოტისხელაც აღარაა იმედი ხვალის,
მიწა წყალია, ხოლო
ზეცა არის ქვემეხი,
ჩამოშვავდება სადაცაა
ერთბაშად ხვამლი.
ცოტაც და ლამის დაგვემხობა
თავზე ცარგვალი,
კარგახანია არ მოსულა
თქეში ამგვარი.
თავიანთ ფიქრებს მისცემიან
ახლა მესხები,
რა უსაშველოდ გაიწელა
ეს ნასესხები!

ასეა საქმე

ასეა საქმე, აღარაა
სუნთქვის ხალისი,
მიეცეს რა ცეცხლს
უყოყმანოდ, კაცმა
არ იცის.
არ ჩანს ჯერ კიდევ
ნაპერწკალი, სადაც
ანთია,
არც ღამესა აქვს
მნიშვნელობა,
აღარც განთიადს.
გულშემოყრილი
ანგარიშობს მუხა
დანაკლისს,
ისეა ქართლი,
არ გაუხსნის ალბათ
დანა კბილს.

ქვითინებენ მთები

ქვითინებენ სიბნელეში მთები,
ალბათ თოფიც გავარდება ველად,
გაისუსა ადრინდელი ხმები,
მიდამოს რომ აყრუებდა ძველად.
არ მინახავს მზე ჯერ ამისთანა,
დაიწრიტა ღელე ალაგ-ალაგ,
მეტისმეტად იგრიხება წკნელი,
ნეკერჩხალი ატკაცუნდა ხმელი.
ყვავილები შესევიან მინდვრებს,
გაფუყულა სიბერისგან მუხა,
ამ წელინადს გაატანოს იქნებ...
ხეობებში ჩანჩქერები წუხან.

მოელვარე სახე

მოელვარე სახე,
გაღვიძება მაკრთობს,
უკვე მერამდენედ
შევადარო მნათობს.
შევისრუტო თითქოს
გალეული სუსტი,
სახელიც არ ვიცი
მე სულელმა ზუსტი.
მოდიოდა დინჯად
ქაშუეთთან გუშინ,
სახე იყო მისი,
თუ ყვავილი ნუშის.
კაფანდარა ტანი,
სურნელი კი ატმის,
სიკისკასე მგონი
გადაფარა ამ თვის.
ველოდები იმ წუთს,
ველოდები იმ წამს,
დილას ომახიანს,
დილას თუნდაც სისხამს.
გავბედავ და ვეტყვი,
რა ჯანდაბას მიზამს?!
შენი ცქერით რეტი
რომ დამესხა, ის ვარ!

დასასრული

ახლო და ზოგჯერ ასე შორეულ ყოფიერების ღერძს უტრიალებს შექსპირი. იგი ცდილობს, უპასუხოს უმთავრეს კითხვას: რას ნიშნავს, იყო ადამიანი? ცხოვრება სინამდვილეში არც შეშლილის მიერ მოთხრობილი ამბავია და არც სამყაროა მხოლოდ თეატრი. აქ ყველაფერი მეტისმეტად რეალურია და სწორედ ასე აღიქვამენ მას პიესების გმირები. ტყუილად ხომ არ გაჩნდა ცნობილი გამოთქმა: „შექსპირული ვნებები“. ის მუდამ შეახსენებს თითოეულ მაყურებელს, რასაც ზოგჯერ ისედაც ვგრძნობთ, მაგრამ ხშირად გვავიწყდება: ჩვენ არა ვართ მხოლოდ მიწის, ყოველდღიურობის ნაწილი, ჩვენ რაღაც უფრო მნიშვნელოვანის, კოსმოსური წესრიგის ნაწილი ვართ. ძალიან ბევრ უბრალო ადამიანს სურს, მაგრამ ვერ ახერხებს ამის გამოხატვას. და აი, გამოჩნდა მათივე მსგავსი, მათი ძმა, უბრალო კაცი, ობივატელის შესახედაობის პროვინციელი მიწათმფლობელი, რომელსაც ღმერთმა უნარი მიანიჭა, ყველა მათგანის ნაცვლად ილაპარაკოს. იმ ეპოქაში, როცა მოსახლეობის სამი მეოთხედი უწიგნურია, ადამიანებთან სასაუბროდ მან ყველაზე ხელმისაწვდომი, ყველაზე დემოკრატიული გზა – თეატრი აირჩია. მას შეუძლია, მოძველებული, უვარგისი პიესები გადააკეთოს და სიცოცხლე შთაბეროს მათ – ტახტწართმეული პრინცის შურისძიების სისხლიანი დრამა „ყოფნა, არ ყოფნის“ ფილოსოფიურ ტრაგედიამდე აიყვანოს და გაუგებრობით გამოწვეული შეყვარებულთა შემთხვევითი თვითმკვლელობიდან სამყაროს ყველაზე სამწუხარო ამბავი შექმნას. ამ კაცს არავითარი მოკრძალება არ აქვს, მაგალითად, იულიუს კეისარის მიმართ, რომელიც ბრძოლით მოპოვებული ამქვეყნიური დიდების სიმბოლო იყო საუკუნეების განმავლობაში და მისი მკვლელი – ტირანიის გულწრფელად მოძულე ბრუტოსი უფრო აინტერესებს. მას შეიძლება არ აქვს ჩამოყალიბებული მწყობრი ცხოვრებისეული ფილოსოფია, რომელიც ყველაფერს ახსნიდა, ამქვეყნად ყველა მოვლენას საკუთარ ადგილს მიუჩენდა. ან კი შესაძლებელია ასეთი ყოვლისმომცველი მოძღვრება ჰქონდეს ვინმეს ეჭვით, მედიდურობით, ცნობისმოყვარეობით, სიყვარულითა და იმედგაცრუებით შეპყრობილ მოკვდავთა შორის? შექსპირი ცდილობს, გაიაზროს ყოფიერების ფრაგმენტულობა და ერთიანობა, ცხოვრების ყველა კუნჭულში შეიხედოს, ათასგვარ მდგომარეობაში გვიჩვენოს ადამიანი, გახსნას მისი ხასიათი და ბედისწერა. მის გმირებს შორისაა ჰამლეტი, ეს „საკუთარი თავის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი კაცობრიობის ღაღადი“, ჰენრი მეხუთე — იდეალური ხელმწიფე და რაინდი, გარყვნილი და ვერაგი დედოფალი ტამორა და ჭკვიანი და დიდსულოვანი ქალბატონი პორცია. შექსპირმა იცის, რომ სამყარო ირაციონალურია და ცდილობს, სხვადასხვა ცხოვრებისეული შემთხვევების მეშვეობით გასაღები მოარგოს მას, ის მცირეოდენი მაინც გაიგოს, რისი აღქმის უნარიც ადამიანს აქვს. „ბევრი რამ ჰხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ“. ის გვეუბნება, რომ სამყაროსა და ადამიანის ბოლომდე შეცნობა შეუძლებელია, მაგრამ უნდა ეცადო, საკუთარი თავი იპოვო ამქვეყნად. სწორედ ეს იდეა აერთიანებს მის ტრაგედიებსა და კომედიებს.

შექსპირი ქრისტიანია და კარგად იცის, რომ უფალი ამქვეყნად არა მეფეებსა და ბრძენკაცებს, მწიგნობრებსა და ფარისევლებს ეწვია, არამედ უბრალო მეთევზეები და მწყემსები აირჩია მოციქულებად. იმიტომ, რომ ამ ადამიანების გულები სუფთა იყო, მათ საკუთარი თავის კი არა, ღვთის განდიდება სურდათ. ამ ჩვეულებრივ ადამიანებს ყოველგვარი ამპარტავნების, მბრძანებლური თუ მენტორული კილოს გარეშე შეეძლოთ, ესაუბრათ თანამოძმეებთან და ისინიც უსმენდნენ და სჯეროდათ მათი. ასეთივე გასაგები ენით გვესაუბრება უილიამ შექსპირიც, ეს რენესანსის ეპოქის დიადი წინასწარმეტყველი, დედამიწის ყველაზე რთული და ყველაზე მარტივი პოეტი. მისი ნაწარმოებები ერთნაირად საინტერესოა სოფლის კლუბშიც და ბროდვეის სცენაზეც. შეუსაბამობებიც კი, რომლებიც პიესებში გვხვდება, მაგალითად, ბერმუდის კუნძულების ხმელთაშუა ზღვაში მოთავსება ან დანიური ფულის ერთეულად ფუნტის მოხსენიება, უბრალო ადამიანური შეცდომებია და დროდადრო გვახსენებს, რომ ავტორი მხოლოდ მელექსეა და არა ფილოსოფიის დოქტორი. იგი მილიონობით არაფრით გამორჩეული მოკვდავის ხმაა, თაობებისა, რომლებიც უტყვად და შეუმჩნევლად ჩაწვნენ მიწაში და ადგილი დაუთმეს სხვა, მათსავით უცნობ, მაგრამ ქვეყნიერებისათვის ასევე მნიშვნელოვან ადამიანებს, რომლებზეც დგას ეს სამყარო. შექსპირი სამარადჟამოდ მათი სახელით ელაპარაკება საზოგადოებას, ანუ საკუთარ თავსაც და ამიტომ არის ასე კარგად გასაგები მისი ნათქვამი. ნამდვილად არის უზენაესი სამართლიანობის გამოვლინება, რომ სწორედ ეს ერთი ჩვეულებრივი ადამიანი გახდა დედამიწის უდიდესი შემოქმედი, „კაცობრიობის მონარქი“, როგორც ერთმა თანამემამულე პოეტმა უწოდა.

ირაკლი ქასრაშვილი

შექსპირი – ჩვეულებრივი ადამიანი



ლადო კილასონია

უცნობი უდაბნოში

დასასრული

ჩაილაპარაკა მგზავრმა და ყურში ისევ ჩაესმა ვინ იცის, რამდენი წლის წინანდელი, მაგრამ მაინც ვერ დავიწყებული ფლოქვების თქარუნი, უდაბნოც თითქოს ორად გაიყო, ტალღებად გადაჰყარა აქეთ-იქით მუქი ქვიშის ნაკადი, ქვის ფილებზე რკინის ნალები აწკაპუნდა და ბნელი ღამიდან მაშხალებმომარჯვებული ცხენოსანთა რაზმი გამოვიდა.

მონითალო-მოყვითალო ენები ლამაზად ირხევიან აბჯარზე და მუზარადებზე, რკინის ჟღარუნს და ცხენების ფრუტუნს მგლების შორეული ყმუილი უერთდება, უკან კაშკაშად ელვარებენ ალმოდებული პურის ყანები და ამ ცეცხლოვანი ტბიდან ღამის უკიდეგანო სივრცეში უზარმაზარ შავ ხვეულებად იკარგება თავთავებიდან ავარდნილი ბოლი. ბორცვი მოფენილია დახოცილებით, ხელკაპიანი გლეხებით, შუბებით და კომბლებით შეიარაღებული ჯარისკაცებით და იმ უსუსური, შიშველი, შავი მონებით, რომლებმაც ბოლოს გადაუკეტეს გზა და იქამდე ეომნენ ქვებით და ნიჩბებით თუ წერაქვებით შეიარაღებულები, სანამ ყველანი არ ჩაიხოცნენ.

— რას გმირობდნენ? მაგათ ხო არ ვერჩოდით, ბავშვები გვინდოდა, — ჟღალ წვერში ეცინება ლიფნაილს, მის მარჯვენა ხელს, მონების ბელადის, ორმეტრიანი, დაკუნთული ზანგის მოჭრილ თავს მაღლა სწევს და ყურადღებით აკვირდება, გადატრიალებულ, წითელ თვალებში.

— აქ არ არიან, ეტყობა გადამალეს, — პასუხობს ეს, ხელით ანიშნებს მიმართულებას და რაზმი კლდის ძირისკენ მიაქროლებს ცხენებს.

იქ ცეცხლი ანთია, მისი ყვითელი ალი ფარდასავით აკვრია მაღლა, ბნელი ცისკენ მიმავალ, ციცაბო კლდეს და ამ მოძრავ ნახატში ოდნავ შესამჩნევად ირხევიან პატარა ჩრდილები.

ფლოქვების თქარუნი ნელ-ნელა წყდება, ნელ-ნელა გადადიან ცხენები ნაბიჯზე და ცეცხლიდან სულ უფრო და უფრო მკვეთრად ისმის უცნაური, მათთვის აქამდე უცნობი სიმღერის ხმა.

ქალის ხმაა — ლამაზი, მაღალი, მჟღერი, უცხო ენაზე მღერის, უცხო, უცნაური სიტყვებით, რატომღაც ასე რომ უხდებიან ამ ვეება კლდეებს, ტყეს, ცეცხლს პირველყოფილ, შიშველ ბუნებას. ქალი პირველია, წაიმღერებს ერთ წინადადებას და ბავშვების ხმა გუნდად უერთდება, იმეორებს მის სიტყვებს, მხედრები უახლოვდებიან, სიმღერა სულ უფრო და უფრო მკაფიოდ, ხმამაღლა ისმის, აი, კოცონიც. პატარა გალეული, ნახევრად შიშველი, ნეკნებ ამოყრილი შავი ბავშვები წრედ შემორტყმიან მოგიზგიზე ცეცხლს, მიწაზე დამსხდარან, შუაში კი ჯანიანი, ლამაზი შავი ქალი ჩამდგარა და მღერის. მხედრები ცხენებიდან ჩამოდიან და კოცონს უახლოვდებიან, შეშინებული ბავშვები მათკენ აბრუნებენ გალეულ კისრებზე ქოთნებივით შემოდგმულ დიდ თავებს, ამას ქალიც ხედავს, ამიტომ სიმღერას აჩქარებს, ტაშის დაკვრას იწყებს, ისევ იქცევს პატარების ყურადღებას, უცინის თავისი მარგალიტებივით კრიალა თეთრი კბილებით და სიმღერაც ძალას იკრებს, იზრდება, როგორც წვიმა გადაედინება წვეთების წკაპუნიდან თქეშში, გაშეშებული ჯარისკაცები კი დგანან და უყურებენ.

— მეფის ბრძანებაა! არავინ! — ქაჩავს სახელოზე ლიფნაილი.

ხმალს იღებს ქარქაშიდან, ლითონის პირი ხარბად ისრუტავს წითელ კოცონს, იპოხება, ძღება სისხლით და მზის სხივივით კაშკაშებს, ჰაერში სწევს ხელს და ამ დროს ქალი თვალს თვალში უყრის, წამის განმავლობაში შეჰყურებს, წამისა, რომელიც საუკუნედ ეჩვენება, შავ უძირო თვალებში ლამაზად იკლაკნებიან ცეცხლის ენები, მღერის, ტაშს უკრავს, მას შეჰყურებს, აკვირდება, შემდეგ შემართულ და გაქვავებულ მახვილს ხედავს, შავი, ლამაზი სახე ეხსნება, ყვავილივით ეფურჩქნება ოფლიანი ლოყები, ოდნავ გვერდზე გადაგდებს თავს და უცინის, უცინის თავისი დიდი, თეთრი კბილებით და ამ ღიმილში ყველაფერია — თანაგრძნობა, სინანული, სევდა, ყველაფერი ზიზღისა და ბოღმის გარდა, თითქოს ქალმა წინასწარ იცის მისი ბედი, იცის, რომ ამ ღამის მერე ვეღარასოდეს იქნება ბედნიერი, ვეღარასოდეს ჰპოვებს სიმშვიდეს და სიკვდილის ბოლომდე ფეხშიშველი, ერთი ჯვალოს ამარა, მარტოდ მარტო იხეტიალებს აქ, ამ ვეებერთელა, სისხლით გაჟღენთილ მიწაზე იმ სიმღერის, იმ უცნაური უცხო ენის ძიებაში, ძიებაში იმისა, რაც დაკარგა და ვერ იპოვნის.

და ისე ხელს სწევს, ერთი მოქნევით სწევს დაბლა, ხმალამოღებული ჯარისკაცები კოცონს უახლოვდებიან და ყვითელ კედელზე შავ, გრძელ ჩრდილებად იხატება საზარელი სურათები, ქალი კი მღერის, მაშინაც კი, როდესაც ორი ჯარისკაცი მუხლებზე აყენებს, პირველი თმებში ავლებს ხელს, წინ უწევს კისერს და მეორე მოკლე ცეცხლისფერი მახვილის ერთი მოქნევით აჭრის თავს.

— ესე იგი? — კითხვაზე წყვეტს უცნობი ფრაზას.

— მისი მკვლელი ვარ.

— როგორ? შენ ხომ ის არ მოგიკლავს.

— ააქვს ამას მნიშვნელობა? მაშინ ის პატარა ბავშვი იყო და სხვა არავინ, მაშინ ასობით მისნაირი მოვკალი...

— რატომ ეძებ?

— მინდა პატიება და სასჯელი ვთხოვო.

— მაშინ აუცილებლად იპოვნი.

— სად არის? — უცნობს ახედა მგზავრმა.

— ახლა სახლშია, კარგადაა, ჯვარს აცვეს, — მშვიდად უპასუხა იმან.

— როგორ თუ ჯვარს აცვეს?

— რომაელებმა აცვეს, მთაზე, ერთერთმა მოწაფემ გაყიდა!

— მოღალატემ? — ხელჯოხს მოუჭირა ჭუჭყიანი თითები მგზავრმა.

— არა, — თქვა სევდიანად უცნობმა, — ის უბრალოდ უბედური კაცია.

— ანუ დურგლის შვილი ცოცხალი აღარ არის? — მგზავრმა იგრძნო, როგორ გამოეცალა მუხლებში ძალა.

— ხომ გითხარი, ის კარგადაა, ის სახლშია, — უპასუხა უცნობმა, ბოხი, ძლიერი, მაგრამ საოცრად ტკბილი ხმით, შემდეგ გახუნებულ ჰორიზონტს გახედა, — წავედი, — თქვა და ქვიდან ჩამოხტა.

გაკვირვებულმა მგზავრმა უცნობს შეხედა — მახინჯი, ნაიარევი სახე, შავი თმები, ის ერთადერთი საღი თვალი, რომელშიც თეთრად ეკიდა მთვარე, შემდეგ ბანჯგვლიან მკლავებს ჩააყოლა მზერა, შავ მტევნებს მრგვალ წერტილად აჩნდა ნაიარევი.

— ნუთუ?! — თქვა მგზავრმა და მუხლებზე დაეშვა.

უცნობი მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა, თვალებში ჩახედა და უთხრა:

— შენი გზა დამთავრებულია. შენ უკვე ძალიან დიდი ხნის წინ მიპოვე! ახლა კი ადექი და იარე, პატიებისა და სასჯელის სიტყვა ატარე ქვეყანაზე.

— მეე? არა, — თავი გააქნია მგზავრმა და დამშრალ, დანაოჭებულ სახეზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— შენ, — ხმას აუწია უცნობმა, — დაამარცხე, მოკალი ურჩხული შენში, რის გამოც გებოძა მეორე სიცოცხლე, რადგან არაფერია მოუნანიებელი და სწორედ ასეთად დაგიმახსოვრებს სამყარო. გიბრძანებ, წაულო ჩემი სიტყვა ხალხს, საკუთარი მაგალითით გაამხნევო, მხარში ამოუდგე და სახელი შენი იქნება გიორგი! გზის ბოლოს კი ხელმეორედ მნახავ და გამომყვები.

— სად?

— ააქვს ამას მნიშვნელობა? — გაეღიმა უცნობს, — სად და იქ, სადაც ყველაზე მოწმენდილი ცისფერი ცაა, ყველაზე კამკამა მუქი მწვანე მდინარე მოედინება, სადაც ყველაზე ხმამაღლა შრიალებენ ხეები, ყველაზე საამურად ჟღურტულებენ ჩიტები, ყველაზე ლამაზად დგება ჟანგისფერი შემოდგომა, წამომყევი და მე შენ წაგიყვან იქ, სადაც ყველაზე მაღალი დათოვლილი მწვერვალები დაჰყურებენ მიწას, სადაც ყველაზე გემრიელი სუნი ადის საჭმელს, წამომყევი და მე წაგიყვან იქ, რის გარეშეც ვერ არსებობს ვერც ერთი ადამიანი, ვერ ფასობს ვერც ერთი გმირობა, რის გარეშეც არ არის არც სიყვარული, არც სიძულვილი, არც იმედი და რწმენა.

— შენს სახლში? — ჰკითხა მგზავრმა.

— არა, შენსაში, შენი ბავშვობის სახლში, — უპასუხა უცნობმა და მხარზე დააოდო ხელი...

დასაწყისი №97

2. ბატონი

თებერვლის იმ დღეს მე ცხვარი ვიპოვე... ეს ის დღეა, როცა ქაქუცამ ნაგაზი მოკლა. ცოდვების მოსანანიებელი ერთადერთი დღე წელიწადში... თურმე, რამდენი რამ შეიძლება მოხდეს ერთ დღეში?

დილაა...

ერთადერთი გასროლა ყრუდ იკარგება თოვაში. ქაქუცა მარტო ბრუნდება. ორნი წავიდნენ და მხოლოდ ქაქუცა მობრუნდა ვინჩესტერით ხელში. ძაღლი უზარმაზარი და ძალიან სულელი იყო. ვეებერთელა რომ გამოეყვანათ, იმდენჯერ აურიეს სისხლი, რომ სრულიად უტვინო და მოუქნელ გოლიათად აქციეს. ინსტინქტმაც კი ვერ უკარნახა, დასაღუპავად რომ მიჰყავდათ. კუდის ქიცინით გაჰყვა პატრონს იქით, სადაც წინა ღამეს მის მიერვე დაგლეჯილ ცხვარს უკვე ეხვეოდა კაჭკაჭი და ყვავი. ვიღაც მინისტრის ნაჩუქარი სულელი ბუმბერაზი ქაქუცამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე საკუთარ ნამოქმედარს დააკლა ვიღაც კანონიერი ქურდის ნაჩუქარი ვინჩესტერით...

თოფს უხმოდ გადასცემს თომას და, შევიდეთ, პური ვჭამოთო — მეუბნება. თომას სახეზე სინანული აწერია, მაგრამ ძაღლის — არა. ცხვარში უვარგისი ქოფაკი აქამდეც არავის ეხატებოდა გულზე, მუქთამჭამელი მხოლოდ სანადიროდ ჩამოსულ ქალაქელ არიფებს აღაფრთოვანებდა ზომითა და ვითომ კეთილშობილი იერით. სინამდვილეში ისეთი მოუქნელი იყო, ძუკნასავით ჩაცუცქული ფსამდა, რადგან უკანა ფეხს რომ წევდა, გვერდზე იქცეოდა — უვარგისი. თომა სხვა რამეზე წუხს — კოჭლი ცხვარი მისი შეცდომით დარჩა წუხელ გარეთ. კოჭლები და რეტიანები რომ ბაგაში შერეკა, მაშინ ვერ დაითვალა სწორად და ქაქუცაც აზარალა. წუხს და პირველად არ შემიმჩნევია, როგორი აღფრთოვანებით და ლამის სინაზით შესცქერის ქაქუცას ჭამას. ლამის პირში შეუძვრეს. თითქოს პატარა შვილის მადით გახარებული მშობელი იყოს — „დათვი მჭლე და შენ მსუქანი!“ ბატონის ცქერა კი მართლა ღირს. უზარმაზარი ხელებით იფშვნის პურს წვნიანში. დინჯად, აუჩქარებლად ჭამს, თითქოს ამაზე მნიშვნელოვანი საქმე არ არსებობდეს. ოხშივარადენილი ჯამი, წვნიანში საგულდაგულოდ ჩაფშვნილი პური და უცვლელი ბოლოკი — მისი თითქოს ერთადერთი ადამიანური სისუსტეც — იქვე უდევს მაგიდაზე. მის პირდაპირ კი სკამზე ჩამომჯდარა ერთგული თომა, ხმაურით ხვრეპს წვნიანს — პატარა და კუტი, მუდმივად ქაქუცას თვალებში მაცქერალი და სულ მისი გულისნადების და სურვილების გამოცნობაში მყოფი. ამ მთასავით კაცის ფიქრების გამოცნობა კი ძნელზე ძნელი უნდა იყოს. სურვილით კი, ოღონდ ბოლოკი ჰქონდეს სამყოფად და მე არ მინახავს სხვა მონატრებოდეს ან მონდომებოდეს რამე.

ისე ცივა, რომ ოხშივარიანი წვნიანი პირდაპირ თეფშში მიცივდება. გარეთ ისევ თოვს, თოვლმა დაღუპა მინისტრის ნაჩუქარი ნაგაზიც — მისი უზარმაზარი კვალი დაგლეჯილი ცხვრის გარშემო ყველგან გამოჩნდა. თოვს და გადაღებას თითქოს არ აპირებს. სამზარეულოში ნამდილი საყინულეა.

— ერთი ჭედილაც აკლია, თომა. ორი ცხვარი დაგრჩენია გარეთ. ხო არაფერი დაგილევია გუშინ, თუ დამიბერდი?

არა, არ ეჩხუბება. არც კი საყვედურობს. მე არ მინახავს, რომ ქაქუცას თომასთვის ოდესმე საყვედური ეთქვას, ან ხმა აეწიოს. მათი ურთიერთობა ერთი შეხედვით მოურავისა და ბატონისას გავს, მაგრამ მთლად ეგრეც არ არის საქმე...

თომა კიდევ უფრო წუხს და გავივლი, დავძებნიო — თოვაში იწევს — გადავაბრუნებ ყველაფერს, ეგ მარტოკენა შორს არ წავიდოდაო...

— თუ ისიც ძაღლმა არ გაგუდა, ან ნადირმა არ შეჭამა სადმე, — ქაქუცა ფანჯრიდან დათოვლილ გორებს ათვალიერებს, — ვერსად ვერ წახვალ. ხო გახსოვს დღეს რა დღეა? აქ მჭირდები.

მე მივდივარ. მეც ვიცი, რომ დღეს ის განსხვავებული, უცნაური დღეა. რომ სამზარეულოს უკან დაბმული მოზვერი ჰყავთ დასაკლავი, ქვაბით ხორცია მოსახარში, ღვინო ჩამოსასხმელი, სუფრა გასაწყობი. თავზესაყრელი საქმე, რომელსაც ორად ორი კაცი უნდა აუვიდეს. ზამთრის დღე კიდევ მოკლეა... მე მივდივარ, თუმცა არავის დაუვალებია წასვლა და არც არავის სჯერა, რომ რამის მპოვნელი ვარ. უნდა წავიდე, რადგან მოკლულმა ქოფაკმა და დასაკლავმა მოზვერმა გავლა და ცოტა ხნით იქაურობას გაცლა მომანდომა, თანაც ასეთ თოვლიან დღეებს არ უნდა შეჰყვე, უნდა ამოძრავდე, მუხლი გაშალო, გახურდე, რომ მერე სიცივიდან სახლში შემოსულს ცხონებად გეჩვენოს თომას პატარა ოთახში დანთებული ღუმელი...

„თოფი გაიყოლე!“ — ქაქუცა კუთხეში მიყუდებული ვინჩესტერისკენ გაიქნევს თავს, მაგრამ არ მინდა — აპარატის გარდა არაფერი მიმაქვს თან.

და თითქოს იმის დასტურად, რომ სიცოცხლე ჩემს გარშემო ყველგანაა და თან ძალიანაც ახლოს, ზედ ჩემ ფეხთან ჩნდება პაწაწინა შავი ხვრელი, იქიდან თოვლზე უხმო აფეთქებებივით იყრება მიწის ერთი ბეწო ბელტები, ერთხელ, მეორედ, მესამედ და ბოლოს ხვრელიდან თაგვი ყოფს თავს. ეტყობა, მეტისმეტად დიდი ვარ საიმისოდ, რომ თავისი ამოსახედიდან ცოცხალ და სახიფათო არსებად ამომიცნოს. ეგეც შენი კვებითი ჯაჭვის ყველაზე პირველი და ყველაზე უსუსური რგოლი. ვერ მხედავს და ვერ მგრძნობს, სანამ ხელს არ ავუქნევ და მერე კი ისევ ხვრელში უჩინარდება...

ცხვარს სულ შემთხვევით ვპოულობ, მაშინ როცა უკვე აღარც მახსოვს, რატომ

არჩილ ქიქოძე

ჩიტის და კაცის ამბავი

და შუადღისას ცხვარს ვპოულობ...

მანამდე რომელიღაც უსახელო სიმაღლეზე ვჩერდები სულის მოსათქმელად და სიგარეტის მოსაწევად. თოვლი მხოლოდ კოჭებამდეა. არც დადებს მეტს, ტანისამოსზე ზედვე მადნება სველი თოვლი. ჩალისფერი გადამხმარი ბალახი იყურება ამ სველი თოვლიდან. გათეთრებულ ტრამალებს ღარებად ამჩნევიათ ცხვრის ბინებზე და სანადიროებში მიმავალი სამანქანო გზები. თიხნარ ალესილებისთვის თითქოს პუდრი მიუყრიათო. ტყვიისფერი ცა ახლოს არის მობჯენილი ამ თეთრ-ჩალისფერ დედამიწას და წყალსაცავის სარკეც ტყვიისფრად მოჩანს. ნადირ-ფრინველის ჭაჭანი არ ისმის, გარინდულია ყველაფერი. ნაკვალევიც არაფრისა აჩნია თოვლს და მხოლოდ ხანდახან ღვიის ან ძეძვის ბუჩქიდან უხმოდ თუ წამოფრინდება ჩხართვი ან პატარა ნიბლია ჩიტი. დაბლა წყალსაცავზე ალბათ მეტი რაღაც ხდება. ესეთ ამინდში წყლის ფრინველი მოძრაობას იწყებს, ჩვეულებრივზე დაბლა დაფრინავს. იქ ახლა ალბათ იხვი, ჩვამა და ყანჩა ირევა. შეიძლება საიდანმე მოფრენილ ბატს ან სულაც გედების პატარა გუნდსაც გადააწყდე.

ღვიის ძირას ვიცუცქები და ისევ დაბლა ვიყურები. აქედან ქაქუცას მთელი სამფლობელო ხელის გულივით ჩანს. წყალსაცავი ციცაბო დამბით წყდება. სანადირო სახლიც მოჩანს და მის გარშემო ნახევარწრეზე განლაგებული კოტეჯებიც. დამბის გარდი-გარდმო ტრამალზე ცხვრის ბინებია მიმოფანტული. დამბის ქვევით სამოთხე იწყება. წყალსაცავიდან ისევ თავის ნებაზე გაშვებული იორი ფათალოიან, ჯაგიან ჭალაში მიედინება. ჭალის ტყე კანტი-კუნტი საკმლის ხეებით იწყება და მდინარესთან ახლოს ვერხვში და მუხაში გადადის. აქედან გარინდული და უსიცოცხლო ჩანს ჭალა, მაგრამ მე ხომ ვიცი... მე ხომ მინახავს... ეგ ტყე ღორით და ტურებითაა სავსე. ვიცი, რომ მთელი ეს თოვაში გარინდული გორები, უდაბნო, ჭალა და ტრამალი ყველაზე ველური ადგილია, რაც კი ამ ქვეყანაში მეგულება...

წამოვედი სახლიდან. სუფთა ბედია — სხვა არაფერი. უკანა გზაზე ძეძვის ბუჩქში უცნაურად გაჩერებულ ჭედილას ვაწყდები და იმის დანახვით გახარებული ერთბაშად ვბრმავდები. მისკენ გავრბივარ და ძალიან გვიან ვხედავ ადგილიდან მოწყვეტილ მელას. თოფი რომ მჭეროდა ხელში და რომ მდომოდა, მოკვლას მოვასწრებდი. ფოტო კი სხვაა, ჩხაკ-ჩხაკ-ჩხაკ-ჩხაკ-ჩხაკ — წამში ხუთ კადრად გაჩხაკუნდება ქენონი, მაგრამ ვერა, მაინც ვერა... მელა ჯერ თვალსაც არ არის ჩაფარებული და მე უკვე აპარატის მონიტორს დავცქერი. გადღაბნილი, ფოკუსში არმოხვედრილი სილუეტი და იმის ფეხიდან აყრილი თოვლი — სხვა არაფერი.

მატყლით ძეძვის ეკლებში ჩახლართულ ცხვარს კი სულ გათელილი აქვს გარშემო თოვლი, მიწა და ბალახი. დიდხანს უბრძოლია და თავი მაინც ვერ დაუძვრენია. იქაურობა სისხლითაა მოთხვრილი და უზარმაზარი დუმა სანახევროდ გამოჭმული აქვს. ეხლა კიდევ უფრო მწყინს, ის მელა რომ ვერ გადავიღე. როგორი მელა ყოფილა?! წუწკების წუწკი. მე რომ დავადექი, მაშინაც ჭამდა... ნეტა, რამდენი ხანი უტრიალა, სანამ ცოცხლად ჭამას გაუბედავდა. უკნიდან ჭამდა და ეს ამოდენა რეტიანი ჭედილაც უხმოდ იდგა – ამხელა რქების, დუმის და ყვერების პატრონი. რაღაცნაირია ცხვარი – ყასაბი რომ ყელს გადაუწევს, დანას გამოუსვამს და ეს მარტო ერთს გადაატრიალებს თვალებს...

გათავისუფლებული ნახევარდუმიანი ცხვარი მხრებზე მოგდებული მიმაქვს თავდაღმართში — უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე. ქურთუკი იმის მატყლით და სისხლით მეთხვრება. კხხ, კხხ, კხხ... ზევიდან, ტყვიისფერი ციდან ჩამოგვახველებს ყორანი. ამის სადილიც მე მიმყავს სახლში. ბედი მაქვსო, შენ უნდა თქვა, ცხვარო! ჯერ მელა მოგიღებდა უკნიდან ბოლოს და მერე ეს ამოგკორტნიდა თვალებს. ყვავების და კაჭკაჭების მერე ან იქნებ მანამდეც, ყორანი მოვიდოდა, ჯერ თვალებს დაგთხრიდა და მერე გემოსაც გაგისინჯავდა. ნეტა, რატო აკეთებენ ეგრე? იქნებ, მაგათაც თვალღია მიცვალებული აფრთხობთ.

საღამოსპირზე სახლში მითრეული ცხვრისთვის არავის ცალია, არც ჩემთვის... თომა და ქაქუცა სამზარეულოში ფუსფუსებენ. აქ თითქოს კიდევ უფრო ცივა, ვიდრე — გარეთ. სამზარეულოს და დიდ სასადილო ოთახს სულ მალე მორიდებით შემოლაგებული ათობით სხეულიც ვერ გაათბობს, პირიქით — მეცხვარეებს თითქოს მთელი დღე ველად ყოფნისას აკრეფილი სუსხი შემოაქვთ სახლში. ოთხი ბინიდან მოდენილ მწყემსებს სახეზე არაფერი აწერიათ გარდა მორიდების და მორჩილებისა. მეხუთე ბინაზე ქაქუცას ქართველები ყავს მწყემსებად, ოღონდ ისინი დღეს არ არიან დაპატიჟებულები. მათთვის არ დაუკლავს დილითვე მოზვერი — ახლა უკვე იმის თავს და ნაწლავებს ეხვევა ყინვისგან მობუზული კაჭკაკი და ყვავი... ეს აზერბაიჯანლების დღეა და, თუმცა მათი დიდი ნაწილი უკვე ბევრი წელია ქაქუცასთან მუშაობს, არა მგონია, რომელიმემ იცოდეს ან ხვდებოდეს, თებერვლის ამ დღეს რად უშლის ცხვრის და აქაურობის პატრონი სუფრას, რად უკლავს საკლავს, თავის ხელით რატომ უსხამს ღვინოს — თომასაც კი არ ანებებს... რატომ მოცდნენ და ამხელა გზა რატომ გამოიარეს — ზოგს დამბის იქითა მხრიდან რამდენიმე კილომეტრის გავლა მოუწია და უკანაც ფეხით უნდა გაბრუნდეს. დროც ისეთია, რო... დოლია გაქანებული. ზოგ ფარაში დღეში ასამდე ბატკანი იბადება, ეს თოვლი ცალკე... მაგრამ იცოდნენ, რომ უნდა მოსულიყვნენ და მოვიდნენ. მწყემსების დაბნეული და თითქმის ტრაგიკული სახეები, ოხშივარადენილი ხაშლამა და ცივი ღვინო, პირდაპირ კბილებზე რომ მირტყამს... მართლა ქელეხს გავს ეს ყველაფერი და არის კიდევაც ყოველწლიური ქელეხი, რომელსაც მე პირველად ვესწრები, ოღონდ თომასგან გამიგონია და ვიცი, რაც ხდება. ეს სინანულის დღეა, თუკი ამ კაცმა საერთოდ იცის, რა არის სინანული...

საკუთარ ცოდვებს ქაქუცა ისე ჩადის, როგორც კარგად დაგეგმილ საქმეს. როგორც დილით სტვენით და ფერებით გაიტყუა უზარმაზარი ბოთე ნაგაზი და

გაგრძელება მე-14 გვერდზე

ზუსტად ერთი წლისა და ერთი თვის წინ („ლიტერატურული გაზეთი“, 27 აპრილი-10 მაისი) მაჩაბლის 13-სა და მწერალთა სახლზე ვწერდით. აღვნიშნავდით, რომ ისტორია გრძელდება და ყველაფერ იმაზე მოგახსენებდით, რაც იმხანად იქ ხდებოდა. ალბათ, მწერალთა სახლის დირექტორი, „პრარაბი“ ნატაც გახსოვთ, სარემონტო სამუშაოებში რომ იყო ჩაბმული და ერთი სული ჰქონდა, შემოქმედებით საქმიანობაზე როდის გადაერთვებოდა და თბილისში ერთ-ერთი გამორჩეული სახლის კარს ყველა თაობის მწერლისთვის ფართოდ გააღებდა.

ბოლოს და ბოლოს, ეს დღეც დადგა. 1 აპრილს მწერალთა სახლი არაოფიციალურად გაიხსნა და მას შემდეგ ყოველთვიურ ღონისძიებათა კალენდარი უფრო და უფრო გამრავალფეროვნდა. იყო როგორც კლასიკური, ისე არაორდინარული საღამოებიც, ფოტოგამოფენები და საქველმოქმედო აქციები. იყვნენ სკოლის მოსწავლეებიც, აბიტურიენტებიც, სტუდენტებიც, ახალგაზრდებიც, საშუალო თუ უფროსი თაობის წარმომადგენლები. მწერალთა სახლი ორი თვის მანძილზე ყველა ლიტერატურული თუ კულტურული მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა. ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა პოეზიის ღამე, რომლითაც წიგნის მე-15 საერთაშორისო ფესტივალი დაიხურა. როგორც ჩანს, ყველა მოწყურებული იყო ასეთ სივრცეს, სადაც ადამიანებს მხოლოდ კულტურის სიყვარული აერთიანებთ.

მაჩაბლის 13-ს ვუახლოვდები. მწერალთა სახლის ზღურბლზე ვარ. მასიურ კარს ვაღებ და XX საუკუნის დასაწყისის ყველაზე გამორჩეულ სივრცეში ვყოფ თავს. დარბაზში შევდივარ. მაგიდაზე ალბომია გადაშლილი. ერმაკოვის ფოტოები. გაოცებული ვუყურებ — ზუსტად ისეთ გარემოში ვარ, როგორსაც სურათზე ვხედავ. ვდგავარ იქ, სადაც ერთ დროს ქართული კულტურის ნაღები საზოგადოება ერთმანეთს ხვდებოდა.

მწერალთა სახლის დირექტორთან, ნატა ლომოურთან ინტერვიუს ჩასაწერად ვერანდას ვირჩევ. ჩვენს წინ ბაღია. აქ საოცარი სიმშვიდეა. ჩიტების ჭიკჭიკის ფონზე ლაპარაკს ვიწყებთ. შარშანდელი საუბრის სტილს ვინარჩუნებთ. ასე უფრო საინტერესო და თვალნათელია, როგორ განვითარდა მოვლენები ბოლო ერთი წლის მანძილზე.

ისტორიიდან

ამ შემთხვევაში ახლო წარსულზე გესაუბრებით, რომელიც მწერალთა სახლს უკავშირდება. სარემონტო სამუშაოები პირველ სართულზე თითქმის დასრულდა და 1 აპრილიდან დღემდე ამ სახლმა უკვე მოასწრო ახალგაზრდებში ისეთივე პოპულარულ ადგილად ქცეულიყო, როგორი პოპულარობითაც ის XX საუკუნის დასაწყისში სარგებლობდა. საბჭოთა კავშირისეული მწერალთა კავშირის შენობისგან განსხვავებით აქ არავინ არაფერზე დავობს და აქ მისული ადამიანები მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭის დღესასწაულის მომსწრენი ხდებიან.

„პირველი ღონისძიება, რომელიც გავმართეთ, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მსოფლიო ლიტერატურის ასტომეულის თარგმანის პრეზენტაციას დაეთმო. ეს იყო არაჩვეულებრივი, აკადემიური საღამო. ამას მოყვა სხვადასხვა ტიპის საღამოები. გამორჩეული იყო პოეზიის ღამე, რომლითაც წიგნის ფესტივალი დაიხურა. ამ ღამემ ყველას დაგვანახა, რომ სწორედ ასეთი ღონისძიებისთვის უნდა იყოს ასეთი სივრცე. რამდენიმე ახალგაზრდა მწერალსა და მათ მკითხველებს ბაღში მოეყარათ თავი. ყველა ღაღად გრძნობდა თავს. გამოვყოფდი ნიკო გომელაურის ხსოვნის საღამოსაც. მისი გარდაცვალებიდან სამი წელიწადი გავიდა და მისი პოეზიის თაყვანისმცემლებმა სწორედ მწერალთა სახლში მოინდომეს შეკრება. ბავშვებით აივსო აქაურობა, სულ ახალგაზრდები იყვნენ და ვერანდაზე ნიკოს ლექსებს კითხულობდნენ. ამას გარდა, გვქონდა უფრო კლასიკური, გნებავთ აკადემიურ-სამეცნიერო სტილის საღამოებიც. ერთი ჯემალ ქარჩხაძის ხსოვნას, მეორე კი ოთარ ჭილაძის 80 წლისთავს მიეძღვნა. რამდენიმე წიგნის პრეზენტაციასაც ჩვენ ვუმასპინძლეთ. აქვე გაიხსნა თბილისის ფოტოგამოფენაც, რომლის ფარგლებშიც National Geographic-ის ორი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ფოტოგრაფის ლექციაც გაიმართა.

ჩემთვის დიდი სტიმულია, როცა საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერას ვგრძნობ. 2007 წლიდან მწერალთა სახლი არ ფუნცქიონირებდა, იყო ბევრი მითქმა-მოთქმა მის სტატუსზეც. მიხარია, რომ აქ ყველაფერი მწერლებისთვის, პოეტებისთვის, ლიტერატურის კრიტიკოსებისთვის, მთარგმნელებისთვის და კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის კეთდება. ბედნიერი ვარ, რომ ეს სახლი მწერლებისთვის არავის წაურთმევია, პირიქით, მათთვის ყველა პირობაა შექმნილი, რომ თავი ისე იგრძნონ, როგორც საკუთარ სახლში. კარჩაკეტილობა კი წარსულს ჩაბარდა“, — აღნიშნავს ნატა ლომოური.

დღეს

ივნისის ღონისძიებათა კალენდარი უკვე შევსებულია. ნატა ლომოური მოხარულია, რომ მწერალთა სახლი ცოცხალ და აქტიურ ადგილად გადაიქცა, რომელსაც ყველა თაობის მწერალი სტუმრობს. „უცნაურია, მაგრამ ახალგაზრდების უმრავლესობა ამ შენობაში პირველადაა. აქ სიამოვნებით მოყავთ ქართველი და უცხოელი სტუმრები. ვფიქრობ, ეს სახლი ჩვენი კულტურის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა. როცა აღნიშნავ, რომ 1905 წელს შენს ქვეყანაში ასეთი ტიპის, გემოვნების, არქიტექტურისა თუ დიზაინის სახლი გქონდა, ეს უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს“, — დასძენს ნატა.

თუ გსურთ, თქვენი შემოქმედებითი საღამო სწორედ მწერალთა სახლში გაიმართოს, პატარა ფორმალურ-ბიუროკრატიული ნაბიჯი უნდა გადადგათ. შეავსებთ განაცხადს, რომელსაც დირექტორი თანამშრომლებთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ერთად განიხილავს და ჩაგსვამთ კალენდარში იმ დღეს, როცა არაფერია დაგეგმილი. მეტი შეზღუდვა არ არსებობს, რადგან, როგორც არაერთგზის აღნიშნა ამ სახლის ადმინისტრაციის თითოეულმა წევრმა, მწერალთა სახლის კარი ყველასთვის ღიაა.

მწერალთა სახლი ლიტერატურული პერიოდიკითაც „გამდიდრდა“. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სურვილით მან ლიტერატურული კონკურსი გამოაცხადა. „კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენა ადვილი პროცესი არ აღმოჩნდა. იყო აზრთა სხვადასხვაობა, მსჯელობა. საბჭოს წევრების ხმები გაიყო და პატარა მარჟით გაიმარჯვა „ახალმა საუნჯემ“. ამას გარდა, ჩვენი დებულების თანახმად, უნდა გამოგვეცა ლიტერატურული გაზეთი და ჩვენთვის მართლაც სასიამოვნო და პრესტიჟული აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ მწერალთა სახლის „მფარველობაში“ ოთხწლიანი სტაჟის მქონე „ლიტერატურული გაზეთი“ აღმოჩნდა. ყველაზე მთავარი ჩვენს არჩევანში იყო ის, რომ ამ ხნის მანძილზე ამ გამოცემამ შეძლო დაემკვიდრებინა უმაღლესი ხარისხის სტანდარტი. გაზეთის ფურცლებზე არასდროს მინახავს მდარე ლიტერატურა. როგორც ჩანს, მკაცრი სარედაქციო პოლიტიკა გაქვთ. მოხარული ვარ, რომ მწერალთა სახლის გამოცემად სწორედ „ლიტერატურული გაზეთი“ იქცა. ლიტერატურული პერიოდიკის ამ სივრცესთან შერწყმა სულ სხვა სიცოცხლეს შეძენს ამ ადგილისთვის. ეს ერთ-ერთი ფორმა, ალბათ, ბევრ ადგილას, ბევრ ადამიანს, ბევრ ინსტიტუტს, ბევრ ორგანიზაციას, ბევრ ფონდს, ბევრ ბიზნესმენს, ბევრ ადამიანს, ბევრ ადამიანს, ბევრ ადამიან

სარგებელი უნდა მოეტანა. ყველაზე არაპოპულარულ აზრს გამოვთქვამ, მაგრამ სიმართლეს ვერსად გავექცევით, მწერალთა სახლი არ არის წითელი ჯვარი. თუმცა, შესაძლოა, აქ მოეწყოს საქველმოქმედო აქცია, როგორიც, სხვათა შორის, ამას წინათ პოეტ გიორგი ბუნდოვანის დასახმარებლად გაიმართა. ბევრი წიგნის გამოცემასაც გვთხოვს, მაგრამ ჩვენ ამ ფუნქციას ვერ შევასრულებთ. ღმერთმა ქნას, ისე გავძლიერდეთ, იმ ოდენობის საკუთარი შემოსავალი გვქონდეს, რომ ჰონორარების სახით ყველა მწერლის დახმარება შევძლოთ“, — ამბობს მწერალთა სახლის დირექტორი.

მწერალთა სახლში ყველა თანხმდება იმაზე, რომ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში უმთავრეს როლს თარგმანი ასრულებს. ამიტომაც სურთ, უცხოეთში კონტაქტების დამყარებაში შეუწყონ მწერლებს ხელი, მით უფრო, რომ სახელმწიფოს ძალისხმევაც სწორედ აქეთკენაა მიმართული. ამა თუ იმ ღონისძიებაზე გამომცემლების მიპატიჟების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მწერალი-გამომცემელი ერთმანეთს დააკავშირონ. მოკლედ, მწერალთა სახლში ყველას პრობლემა იციან და ყველას ტკივილი აწუხებთ. ყველაზე მნიშვნელოვანი რანდევუ კი უკვე შედგა — მომავალი და ძველი თაობა მწერალთა სახლის კედლებში ერთმანეთის გვერდით დადგა.

მაჩაბლის 13 რამდენიმე სკოლის მოსწავლეებმაც მოინახულეს. აღმოჩნდა, რომ მათ ბევრი არაფერი იციან ამ სივრცეზე, ცისფერყანწელებსა და იმ ფაქტზე, რომ სწორედ ამ ადგილს უკავშირდება პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა. XX საუკუნის 30-იანი წლების ავბედითმა ისტორიებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. „განათლების სამინისტროს დავუკავშირდით. გვსურს, რესურსცენტრებთან, სკოლებთან მემორანდუმი გავაფორმოთ, რათა ბავშვები არა მარტო ექსკურსიის ფარგლებში გვესტუმრონ, არამედ მათთვის ღია გაკვეთილებიც გაიმართოს. ასე გავაცოცხლებთ აქაურობას და მწერალთა სახლს სამოქალაქო განათლების ცენტრადაც ვაქცევთ. შესაძლოა, მათთვის სპეციალური სტუმრებიც კი მოვიწვიოთ, რომლებიც საინტერესოდ უამბობენ სკოლის მოსწავლეებს ამ ეპოქის ისტორიას“.

მწერალთა სახლის დაგეგმარება

მართალია, მწერალთა სახლი ხარაჩოებში აღარ არის მოქცეული, მაგრამ სარემონტო სამუშაოები იქ ისევ გრძელდება. ის გეგმები, რომლებზეც ნატა ლომოური შარშან გვესაუბრებოდა, ჯერ კიდევ განსახორციელებელია. ახლა უფრო მეტი ინტერესია, ბაღს პირვანდელი იერი დაუბრუნდეს, გაიხსნას კაფე, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, სასტუმრო. მეორე სართული დაიტვირთოს საოფისე საქმიანობით.

მწერალთა სახლი კულტურული ძეგლია და მისი რემონტი და რესტავრაცია არ არის მარტივი საქმე. ნატა ლომოური ამ ხნის მანძილზე ძალიან კარგად გაერკვია ამ სამუშაოების სპეციფიკაში და ბედნიერია იმით, რომ პროფესიონალთა მთელი ჯარი გვერდში ედგა. ხისა და ჭერის რესტავრატორებს, დიზაინერსა თუ სხვებს, ძალ-ღონე არ დაუშურებიათ მწერალთა სახლის პირვანდელი იერის აღსადგენად.

„რასაკვირველია, ჯერ კიდევ შორს ვართ იმ საბოლოო მიზნისკენ, რისკენაც მივისწრაფვით. იმედია, წლის განმავლობაში მწერალთა სახლს კიდევ შევმატებთ ბევრ რამეს. კულტურის სამინისტროსთან კონცეპტუალურად ყველაფერი შეთანხმებული გვაქვს, იგრძნობა მხარდაჭერა, მაგრამ მთავარია, საკმარისი ფინანსები მოვიძიოთ. ის, რაზეც შარშან ვლაპარაკობდით, ამ ხნის მანძილზე კიდევ უფრო დაიხვეწა. მუშაობის პროცესში ბევრი ისეთი დეტალი გამოიკვეთა, რომელმაც დაგვარწმუნა ჩვენს მიერ არჩეული გეზის მართებულობასა და აუცილებლობაში. ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ლიტერატურული სივრცის გამოჩენას, თურმე, მართლაც მოუთმენლად ელოდნენ“, — ამბობს ნატა ლომოური.

„თუ მოვახერხებთ, რომ ეროვნულ ფასეულობებსა და ტრადიციებს დავურთოთ დასავლური პრაქტიკა, გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნიკური სიახლეები და ვიზრუნოთ ყოველი ჩატარებული ღონისძიების მაღალ ხარისხზე, ვფიქრობ, საუკეთესო შედეგს მივიღებთ,“ — ამ სიტყვებს მწერალთა სახლის დირექტორი ჯერ კიდევ შარშან ამბობდა. აზრი არც ახლა შეუცვლია.

დაუვიწყარი და ამოუცნობი აურა

მწერალთა სახლის განსაკუთრებულ აურაზე ბევრს ულაპარაკია. ისიც უთქვამთ, რომ ვერ გაურკვევიათ, ეს აურა კარგია თუ ცუდი. ერთი რამ კი ფაქტია — 1 აპრილიდან დღემდე ამ სივრცეს სტუმარი არ აკლია. მოჯადოებული ახალგაზრდები, ქართველები თუ უცხოელები, რომლებიც ინტერესით ათვალიერებენ აღდგენილ დარბაზებს, ძველი თაობის წარმომადგენლები, რომლებსაც ალბათ XX საუკუნის მწერალთა კავშირის ყრილობებიდან გამოსული ამბები ახსენდებათ. პატარებს კი, რომლებმაც არც არაფერი იციან და არც არაფერი სმენიათ ამ შენობაზე, გული აქ რჩებათ. მაჩაბლის 13-ს განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა აქვს, რომლის შესწავლაც ჩვენი დროის ნიუტონსაც გაუჭირდებოდა. მწერალთა სახლის აურა მართლაც დაუვიწყარი და ამოუცნობია.

დაგოლოს

მაჩაბლის 13 უკვე ხდება ერთიანი მძლავრი კულტურული კერა. თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბნის ლამაზ ქუჩაზე მწერალთა სახლი გამორჩეული ადგილია, რომელსაც მნახველი არ აკლია. ყველას აქ უნდა საკუთარი წიგნის პრეზენტაცია, აქ სურს საკუთარი შემოქმედებითი ზეიმის მოწყობა. უკვე მოგახსენეთ, რომ ივნისის ღონისძიებათა ნუსხა შედგენილია. გთავაზობთ მწერალთა სახლის ლიტერატურულ აფიშას და გვჯერა, რომ მასმედიას კვლავ დააინტერესებს კულტურა, რადგან მხოლოდ სოციალური ქსელების ამარა ვერ დარჩება სივრცე, რომელზეც XX საუკუნის დასაწყისში გაზეთი „ივერია“ წერდა. ისტორია აუცილებლად განმეორდება, ოღონდ ამჯერად მწერალთა სახლის კედლებში აღარ იქნება მტრობა, ინტრიგა, დაპირისპირება, შუღლი... მაჩაბლის 13 თქვენ გელოდებათ.

თეა ყიფშიძე

ლიტერატურული აფიშა

მწერალთა სახლი

7 ივნისი
16.00.
ნონა კუპრეიშვილის წიგნის – „სიტყვის დეგუსტაცია“ – პრეზენტაცია (გამომცემლობა „საუნჯე“)
18.00.
შოთა იათაშვილის შემოქმედებითი საღამო

8 ივნისი
15.00.
კრისტოფერ კოპოლას შეხვედრა სტუდენტებთან
ფესტივალის – „ხელმისაწვდომი ჰოლივუდი“ – ფარგლებში
(თემა – სულხან საბა ორბელიანი და მისი „სიბრნე-სიცრუისა“)

10 ივნისი
18.00
ციკლიდან „საუბრები ლიტერატურაზე“
ლევან გიგინეიშვილი
(„პროვინციის დაბადება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“)

11 ივნისი
18.00
ცირა ყურაშვილის წიგნის პრეზენტაცია (გამომცემლობა „საუნჯე“)

13 ივნისი
18.00
ციკლიდან „მთარგმნელები მწერალთა სახლში“
ბელა შავლაშვილი

14 ივნისი
18.00
ციკლიდან „ლიტერატურული თანაცხოვრება“
რეზი გეთიაშვილი და ლელა სამნიაშვილი

16 ივნისი
გიორგი გაბაიძის შემოქმედებითი საღამო
(მწერალთა კავშირი)

17 ივნისი
18.00
ციკლიდან „საუბრები ლიტერატურაზე“
გიგა ზედანია

18 ივნისი
18.00
ბექა ქურხულის შემოქმედებითი საღამო

19 ივნისი
ჯარჯი ფხოველის „უდაბნოს წიგნის“ პრეზენტაცია
(გამომცემლობა „საუნჯე“)

20 ივნისი
ციკლიდან „მთარგმნელები მწერალთა სახლში“
ჟორჟ ეკზაშვილი

დასაწყისი პირველ გვერდზე

— რა დაბღვერილი დამხვდი, გეწყინა ჩემი დანახვა? — შემეკითხა ნიკო.

ავუხსენი საქმის ვითარება.

— კბილი სად არი?

—აი, მანდ დევს, მსხლის გვერდით.

სათვალე გაიკეთა, მრავლისმნახველი თვალით დააცქერდა.

— ჰო, ბავშვისაა, — დამეთანხმა, — მწნილი და კარტოფილი რო ჩამომითვალე, შე კაი კაცო, მსხალი რატო არ ახსენე? რატო არ შეუნახე ბავშვს?— დამტუქსა ხითხითით.

— ერთი ცალის შენახვა სად გაგონილა?— ვუპასუხე, — შეჭამდა, მეორე მოუნდებოდა, საიდან მომეტანა? კიდევ კარგი, არ შევუნახე და კბილების ჩამტვრევას გადავარჩინე, გასკდებოდა ტირილით.

— კაცმა რომ თქვას, ლოღიკურად მსჯელობ, — სერიოზულობა დაიბრუნა ნიკომ, — ახლა შენი დაზიანებული ორგანო მაჩვენე!

დავაკრიჭე კბილები და ისევ სიცილი წასკდა:

— ეგ რა ბზარია, მასეთი ბზარები ყველა კბილზე მაქვს, სამარცხვინოც კია, შენი ხნის კაცს ბზარები არ ჰქონდეს!

— სტომატოლოგიურში გამომყევი, თუ გაწყობს. ხვალ უფრო დამეზარება.

— გეტყობა, არ იცი, რამდენი ღირს კბილის გარემონტება. სტუმრებსაც ნუ დაივიწყებ, შენთან მოდიან, ჩემთან კი არა! — თავის დაძვრენა სცადა ნიკომ.

— ნაცნობი მყავს, დამაცდის, — წავუხდინე გუნება. წამოჩანჩალდა ფეხების ფლატუნით, ბუზღუნით, მგონი, ისევ იმ უკბილო ბავშვს აგინებდა. რა ქნას, უყვარს ბილწსიტყვაობა.

* * *

რომ დაეშვება ქარი მახათას მთიდან, ჩაუქროლებს ეკლესიას, ჩამოათავებს ბექობს, აკრეფილზე დაეტაკება პირველსავე კორპუსს და მის ეზოში მოაწყობს პატარა ქარბორბალას, სწორედ ამ კორპუსში ვცხოვრობ, ნულოვან სართულზე, ლიფტიორებისთვის განკუთვნილ 35 კვ.მ ფართობში, ქალბატონ ქეთევან პეტრეს ასულთან, ანუ დედასთან ერთად. არსებობს კიდევ ერთი, შედარებით ახალგაზრდა ქალბატონი, სახელად ნუცა, რომელიც რამდენიმე წლის წინ 9-10 თვით დაიკარგა, მერე მოულოდნელად გამოჩნდა ციცქნა, მტირალა არსებასთან ერთად და „გაიცანი, ეს მაცაცოა, ჩვენი შვილიო“, მითხრა. და ამ ნაჩქარევი აღსარების შემდეგ ვასკვნი, რომ რამდენიც არ უნდა ვიტრაბახო ჩემი მარტოობით, ვერასოდეს ვიქნები ჭეშმარიტად მარტო, რადგან მრავალგზის შეზღუდული ვარ დედით, მაცაცოთი და მაცაცოს დედით, ძმაბიჭებზე, ძმაკაცებზე და სხვა შინაურ თუ გარეულ ცხოველებზე აღარაფერს ვამბობ. და რა გამოდის? ვიღაც-ვიღაცები მიწევენ ექსპლუატაციას?

— უმუშევარი კაცი შეიძლება, ტრეფიკინგის მსხვერპლი იყოს? — ვეკითხები ნიკოს.

— რა უცბად იცი ხოლმე ყურების ჩამოყრა, რა გჭირს! — მპასუხობს, — აი, ამ ორ შანდალში ეგრეევე მოგცემენ 30 ლარს, დედაშენის ტელევიზორის დაშლაც შეიძლება. თუ გინდა, ეხლავე დავშლი, მაინც ტყუილად იკავებს ადგილს, ვარგისი ნაწილები წავიღოთ და ჩავაბაროთ. დავშალო?

— ვის რად უნდა ეგ ნაგავი? ეკრანია გატეხილი, — ვეუბნები, მაგრამ გადაწყვეტილებას არ ცვლის:

— მიდი, მომიტანე რაც რამე ხელსაწყოები გაქვს, დავშლი და მერე ვილაპარაკოთ, — ქურთუკს იხდის, სამუშაოდ ემზადება, — ასეთი ჩხირკედელაობით გამოვკვებე ოჯახი მთელი სამი წლის განმავლობაში. რო ვფიქრობდი, უკვე ყველაფერი გავყიდე-მეთქი, გავიხედ-გამოვიხედავდი და რაღაცას ვპოულობდი.

„ოჯახის ხრამობაც“ ჩვეულებისამებრ ახსენა:

— ოჯახი ხრამია, ძმაო. ჰო, რა გაცინებს, ეგრეა! ამის მერე ავიდეთ და ანტენას კაბელი მოვხსნათ, მაინც არ ხმარობ გარე ანტენას, რად გინდა? ცოტა მეცა მაქვს მოგროვილი, დავამატებ და შეიძლება ორ კილომდე სპილენძს მოვუყაროთ თავი.

ნიკოს 33 წელია ვიცნობ. სტუდენტობისას კოლა ერქვა. ჰო, ყველას ასე ეცნობოდა, კოლა მქვიაო, მერე ცოლი რო შეირთო, ცოლმა გამოუცხადა, ეს ცხენის სახელი დაივიწყე და ნიკა დაირქვიო, მაგრამ „ნიკოს“ ვერ გასცდნენ, ასეა თუ ისე, „კოლას“ „ნიკო“ სჯობია. თანაც იმ პერიოდში გამოვიდა სიგალის ნიკო და ახლადშეუღლებულები მთლად დაიხატნენ. ეხლა სამი შვილიშვილის პაპაა და 120 კგ-ს იწონის.

მოკლედ, ათიოდე წუთში მორჩა ნიკო დედაჩემისეულ ტელევიზორთან ჩხიკინს, მერე აძვრა ცხრასართულიანის სახურავზე, ძველ ანტენას მოხსნა კაბელი, კოხტად დაახვია და სკოჩით შეკრა.

— ფული არა მაქვსო, გაიძახი და ამხელა ქონებას ტყუილად ანიავებ. ფულია, აბა, რა არი? — კაბელს მაჩეჩებს ხელში, — სარდაფშიც გიყრია ქვეყნის ჯართი. ან ის მილები რად გინდა? აი, პავლიკა რო მოვა, ვუთხრათ და თვითონ დაჭრის, თვითონ ჩააბარებს, ჩვენ მარტო ბენზინი ჩავუსხათ და ვაქეიფოთ. როგორი აზრია?

— არ მითხრა, პავლიკა დაგიპატიჟეო, — ხელისგულით ოდნავ ვეხები მხარზე, მაგრამ ლამის სახურავიდან მოადინოს ბრაგვანი, — ნაცნობი ქალი მოდის სტუმრად პატარა ბავშვთან ერთად და შენ უბნის ბომჟებს ეპატიჟები ჩემთან შეუთანხმებლად?

— როგორც გამოვედი სადარბაზოდან, ეგრეევე შემეფეთა, — უკან დგამს ნაბიჯს, უსაფრთხო ადგილისკენ ინაცვლებს, — საით გაგიწევიაო, ტყუილის მოფიქრება ვერ მოვასწარი.

— დიდი უნამუსო ხარ.

— ეჰ, მე რაღა გამომასწორებს! — ამბობს დარდიანად, —მაგრამ, თუ კარგად დავფიქრდებით, პავლიკა შეიძლება გამოგვადგეს კიდეც. მანქანა იყიდა, თავისი მანქანით წაიღებს შენს ხარახურას და ჩააბარებს, მეტი რა გინდა?

— რა მანქანა, რა სახსრებით? გადამრევს ეს ხალხი!

— მინგრეულ-მონგრეული ოპელი, მაგრამ, რაც მთავარია, დადის. სხვათაშორის, ზალიკოს ნაჩუქარი კომპიუტერის გაყიდვაც შეგიძლია, ინტერნეტი მაინც არა გაქვს და რად გინდა?

ნიკომ ვერაფრით დაივიწყა ნათესავისგან ნაჩუქარი კომპიუტერი, წარამარა მიხსენებს ხოლმე, ვერ მოისვენებს სანამ ამასაც ნაწილ-ნაწილ არ გამაყიდვინებს.

— ხანდახან ტექსტებს ვაწყობ, — ვამბობ მორცხვად, — თუმცა, ნაწილების მოხსნა პრობლემა არ არი, ორი ოპერატიული აქვს, ორი — ვინჩესტერი, არც ვიდეო ბარათი მჭირდება, ინტეგრირებულითაც გავალ იოლას.

— დიდება შენდა, ღმერთო, მაგარი პურ-მარილი გამოგვივა! — აფორიაქდა ნიკო, — პავლიკას ტელეფონით ვეტყვი, რაც უნდა გააკეთოს, ჩვენ კი უკვე შეგვიძლია ჩვენი ავლადიდების ჩაბარება. რით დავიწყოთ, კომპიუტერის ნაწილებით?

* * *

კომპიუტერების მაღაზიისთვის ყველაზე გვიან ვიცლით. მანამდე, ნავთლუღის „ბარახოლკაზე“ ტელევიზორის ნარჩენებში ცამეტ ლარს გვაძლევენ, ორ ცალ შანდალში — ოცდახუთს, ანტენის კაბელს კი არ ვაბარებთ, რადგან ჯერ თურმე გამოწვა სდომებია და მაგის დრო არა გვაქვს.

შევდივართ მაღაზიაში. ერთი ახალგაზრდა ქალბატონი სალაროსთან ზის, მეორე — დაცვის ბიჭს ებაასება, მესამე კი, ყველაზე დაბღვერილი და ყველაზე ტანადი, ჩვენსკენ დგამს ორიოდე ნაბიჯს.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — გვეკითხება მკაცრი გამომეტყველებისათვის შეუფერებლად ნაზი ხმით.

— კომპიუტერის ნაწილებს არ ჩაიბარებთ? ოპერატიულს DDR 3-ზე, SATA ვინჩესტერს და GT 640 ვიდეობარათს? ყველაფერი იდეალურ მდგომარეობაშია.

— არა, მეორად დეტალებს არ ვიბარებთ, — ამბობს კვლავ ნაზად და მკაცრად.

ალბათ, სადო-მაზოა, ვასკვნი ჩემთვის და ამ დროს მესმის ნიკოს აღტაცებული შეძახილი:

— აუ, რა მუსიკალური ცენტრია!

— ბატონო, ხომ გითხარით, არ ვიბარებთ ნახმარ დეტალებს. სხვა რა გინდათ?

— შევხედავ მუსიკალურ ცენტრს, არ შეიძლება? — ოდნავ იბნევა ნიკო.

— შეხედვა და დათვალიერება მუზეუმში, — უხსნის მკაცრად მომზირალი ქალბატონი, — აქ მაღაზიაა.

— ნუთუ? —გაოცებისგან პირს აღებს ნიკო, —ნუთუ მაღაზიაში მოვხვდი? ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა! — ცოტაც და გინებაზე გადავა.

— ყიდვა გვინდა, ქალბატონო, —ახლა მე ვეჩრები მათ საუბარში, —ყიდვას ვაპირებთ.

— თქვენ არა ჰგავხართ ცხრაასლარიანი ცენტრის მყიდველებს, — გაჭირვებით იღიმება მკაცრი ქალბატონი, — მიბრძანდით, გთხოვთ!

მართალია, ეს ქალი, ჩვენ არა ვართ ამ სიაფანდი ჩინური ცენტრის მყიდველები. წინა საუკუნეში, სტუდენტობის დროს შეძენილი ოთხმოცდაათვატიანი გამაძლიერებელი მაქვს მიერთებული სამსუნგის DVD-ზე და ბოლომდე თუ ავუწიე, ჩვენი ცხრა სართულიანი კორპუსი შეიძლება ბლოკებად დაიშალოს. ვის რად უნდა ეს ოხერი ცენტრი!

ნიკო უკვე გასასვლელისკენ მიძუნძულებს და შენხელა შვილიშვილი მყავსო, გაიძახის. ასე იცის ხოლმე, აურ-დაურევს აბსოლუტურად უწყინარ სიტუაციას და სახელდახელოდ ითესება.

დამცინავი ღიმილით გვაცილებენ.

— მე მაგის ასე და ისე!.. — იგინება სამშვიდობოზე გასული ნიკო, — იმიტომაც არ ჰყავთ კლიენტურა, ასეთი ქოფაკი რო უბიათ შესასვლელში. რა გვჭირს მაგ ახმახის დასაწუნებელი, დავიჯერო, არასერიოზულ ხალხს ვგავართ?

— ლოთებს ვგავართ, — რატომღაც, ნიკოზე ვარ გულმოსული, — მუსიკალური ცენტრის უნახავივით იქცეოდი. თანაც, უფულო კაცს უფულობა ყოველთვის ეტყობა.

— ჰოდა, მაგ ნაბოზვრის ჯიბრზე, დავაგუგუნოთ „ბლექ საბათი“, გავკარი მაგ ცენტრის ცენტრებს!

* * *

კარს ვაღებ და ვხედავ მოსულან: წინ ნუცა დგას, გვერდს პავლიკა უმშვენებს, პავლიკას კი, ჩემდა გასაკვირად, კისერზე მაცაცო აზის.

— ამ წუთს შევხვდით, — მიხსნის ნუცა, — კართან შევეფეთეთ ერთმანეთს.

— ჰო, აქ შევხვდით, — ეთანხმება პავლიკა და ბავშვს ფრთხილად სვამს იატაკზე.

— მაცაცო, როგორა ხარ?

ბავშვი დედისკენ აპარებს მზერას, მერე უსიტყვოდ მორბის და ხელებს დიდი თავგამოდებით მხვევს. ვიცი, მისი საქციელი დედა-შვილისგან წინასწარ შემუშავებული მანევრია, მაგრამ მაინც მსიამოვნებს ციცქნა სხეულის ცბიერი მოხუტება.

— ძეხვი, შებოლილი თევზი და ყველი ვიყიდე, — მეუბნება პავლიკა და სანოვაგეს მაგიდაზე აწყობს, — საბავშვო ბაღიდან ლობიო და ჩახოხბილიც წამოვიღე, თუ კიდევ რამეა საჭირო, გავალ, არ მეზარება.

— მაშინ, პირდაპირ სუფრას მივუსხდეთ, — ნიკო მაგიდასთან გვეპატიჟება, — ბარკლები უკვე მოხარშულია, ნაყინი და კრემიანი ფუნთუშაცა გვაქვს მაცაცოსთვის, მეტი რა გვინდა ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში!

— ფუნთუშა ვარკეთილის მეტროსთან იყიდეთ? — საქმიანად კითხულობს პავლიკა.

— ჰო, იქ ვიყიდეთ, მერე რა? — ვატყობ, რომ ნუცას საზოგადოებაში, კაცები რაღაც სხვანაირად მობილიზებულები გახდნენ და ძალაუნებურად მეც ვიძაბები. რა ღვეზელი აუტყდათ, არ მესმის.

— როცა ბევრს ყიდულობ, კრემიანს უკრემოსაც მოაყოლებენ ხოლმე.

— ეგ როგორ? — პავლიკას სიტყვები სასაცილოდ ეჩვენება ნუცას.

— როცა ოთხ ცალს ყიდულობ, ორს კრემიანს გაძლევენ, ორს კი — ცომიანს. ნახევარს ნახევარზე, კრემის ეკონომიას აკეთებენ.

— პირადად შეამოწმე? — ვეკითხები.

— დიახ, ბატონო. შევამოწმე და გადავამოწმე კიდეც! — მპასუხობს გულმოსული.

— რა უნამუსოები არიან! — ნუცა ნიკოს გვერდით იკავებს ადგილს, — როგორ ატყუებენ საწყალ ხალხს!

— ეს ძია პატრულია? — გულმოსული პავლიკათი ინტერესდება მაცაცო და ჩვენი სიცილით განაწყენებული ოთახში უაზროდ იწყებს სირბილს, ხან კომპიუტერს ეხეთქება, ხან — ტელევიზორს.

— ჩემი ტანსაცმელი მოეწონა, — ჭრელაჭრელა სამოსს იქებს პავლიკა, — ამერიკელი რეინჯერების ფორმაა. აშკარად ნიჭიერი ბავშვი ყოფილა, ამდენი ხანია ამ ფორმით დავდივარ და მხოლოდ მან მიაქცია ყურადღება, ჩემი ძმაკაცები არც დაინტერესებულან. აი, ეს ბათინკებიც ამერიკულია, — ახლა თავის ძირგავარდნილ ბათინკებს გვჩრის თვალებში, — მეათე წელია მაქვს და არი ახალივით.

მე ისევ ბავშვს გავყურებ, მეშინია თავს რამე არ აუტეხოს, კი არ დადის — დაფრინავს, ხან მარჯვნიდან ჩამიწუილებს, ხან — მარცხნიდან.

— მაცაცო, მოდი ჩემთან, — გავძახი დათაფლული ხმით,— მოდი, რაღაც უნდა გითხრა.

მაცაცო ყოყმანობს, დედისგან ელის კარნახს, მაგრამ დედამისი ნიკოს ებაასება და მისთვის ვერ იცლის, ამიტომ იძულებულია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება:

— კი, აბა! — მპასუხობს და ფანჯარაზე ჩამოფარებულ ფარდაზე მიძვრება.

— ბავშვს მიხედე, — ვეუბნები ნუცას, — რამე არ იტკინოს.

— ეგ სულ ასეა. ყურადღებას თუ მიაქცევ, უარესს იზამს, — მაფრთხილებს ნუცა.

— წეღან ლამის ტაქსს შეუვარდა, — ამბობს პავლიკა, — თვალები დავხუჭე, ისე შემეშინდა. ტაქსი შენი ეზოდან გადიოდა, ბავშვი სადარბაზოსკენ მირბოდა. მანქანას რო გაურბინა, ალბათ მაშინ შეამჩნია მძღოლმა. მაგარი შიში ვჭამე.

— ასეთია, სულ უკან დევნა უნდა, — ხმის ამოღებას არ მაცლის ნუცა, — არც მე ვყოფილვარ ამისთანა და არც ჩემი ძმა, ალბათ მამამისს ჰგავს.

— შენ შარზე ხო არა ხარ! — თვალებს ვუბრიალებ, — რით მგავს, მონგრეული ცხვირით თუ წვერ-ულვაშით? ჩაიხედე სარკეში, ზუსტად შენი ასლია. ერთი შემოგვხედეთ, ძმურად, — ვეუბნები კაცებს, — ვის ჰგავს ეს ბავშვი?

— ორივეს, — დიპლომატიურად მპასუხობს ნიკო.

— დედამისს, — ამბობს პავლიკა.

პავლიკა მართალია, მაგრამ მაინც მიჩნდება მისი მიბერტყვის სურვილი. თანაც სულ გაიძახის, კარატეში ვვარჯიშობდიო. ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა გაირკვეს, ვინ სად ვარჯიშობდა?

— ბლანჟე არსად დაგეკარგოს, — ვეუბნები. ბლანჟე აქვს დაყენებული, — ეგ

ფორმა კი ისეა ამერიკული, როგორც ცხონებული ბებიაჩემის ჩიხტა-კოპი.

— გეფიცები, ამერიკულია, — ფიცს იშველიებს პავლიკა, — სერბიიდან გამომიგზავნა ჩემმა გოგომ, იქ არი გათხოვილი.

— ჰო, ზუსტად სერბიიდან, რახამც შენ იტყვი, —ვხითხითებ.

— სერბიის დაბომბვამდე გამომიგზავნა, ძველი ამბავია, —თავისას არ იშლის პავლიკა და მეც ვაგრძელებ იდიოტურ ხითხითს.

— ჰო, სერბიაში ცხოვრობს ამისი გოგო, — კვერს უკრავს ნიკო, — რაღაც კონკურსში გაიმარჯვა და ქმართან ერთად წავიდა სამუშაოდ, მენეჯერია.

— ყოჩაღ! — ვეუბნები პავლიკას, — მე არც ვიცოდი, შვილი თუ გყავდა.

— სკოლაც ფრიადებზე დაამთავრა და უმაღლესიც, —აგრძელებს ნიკო, —გარეგნობითაც, უბანში, ყველა გოგოს სჯობდა.

პავლიკა ლამის გასკდეს კმაყოფილებისგან.

— ქმარი ქართველია? — კითხულობს ნუცა.

— დიახ, — პასუხობს პავლიკა, — მეგრელია, ისიც მენეჯერია.

— მაცაცო, მოდი ჩემთან, — გავძახი მაცაცოს. ოცლარიანი მაქვს გადანახული მისთვის და მინდა, ვაჩუქო, — მოდი, რაღაცას გეტყვი და გააგრძელე შენი თამაში.

— რა თამაში? — ბავშვი გაკვირვებული მიყურებს, მერე დედამისზე აჩერებს მზერას, — თამაშიო. სულაც არ ვთამაშობ, ვვარჯიშობ, ეს რა თამაშია? თამაში და ვარჯიში ვერ გაგირჩევია?

— ნუ წაიგრძელე ენა, თორე, თუ მოვედი შენამდე, ცოცხალი ვერ გადამირჩები! — ემუქრება ნუცა.

— კი, აბა! — პასუხობს მაცაცო და მთელი ძალით ქაჩავს ფარდას, ცალ ფეხს კედელზე აბჯენს, სულ მალე კარნიზს თავზე დაიმხობს.

— ფარდებზე ძრომიალი უყვარს, — მეჩურჩულება ნუცა, — ჩამოგლიჯა და ჩამოხია, რაც სახლში ფარდები გვქონდა.

— ექვსის გახდა, არა?

— აღარ გახსოვს? — იცინის, — ორი თვის წინ შეუსრულდა ექვსი.

— წლები ამერია, დღე როგორ არ მახსოვს, მივულოცე კიდეც.

— ჰო, მესიჯი მივიღეთ.

— მაცაცო, მოდი ჩემთან, საქმე მაქვს, ტყუილად კი არ გეძახი, — საქმიანი კაცის ნიღაბს ამაოდ ვირგებ, ბავშვს აზრადაც არ მოსდის ჩემთან მოსვლა, ფარდასთან ჭიდაობა აინტერესებს.

— მაცაცო, მოეთრიე, მამა რო გეძახის! — გასძახის ნუცა და უმალვე ყრის ფარ-ხმალს,— არა, რა, ჯიუტი ვირია, ვერაფერს შეაგნებინებ.

— კარნიზი თუ ჩამოვარდა, გააბრტყელებს ლავაშივით, — ვამბობ სხვათაშორის, — მძიმე კარნიზია და კარგად ვერ მივამაგრე.

— მოდი, გენაცვალე, ჩემთან, — ახლა პავლიკა ეპატიჟება მაცაცოს და ისიც, რაღა თქმა უნდა, ხალისით მიკუნტრუშებს მისკენ. პავლიკა კოცნის დორბლიანი ტუჩებით, გაკრიალებულ ლოყაზე იწმენდს თევზის სუნით აქოთებულ ბლანჟეს და აკისკისებულ ბავშვს წეღანდელივით კისერზე ისვამს:

— ერთხელაც ვადღეგრძელოთ, ამას შემოვევლე, — გვთავაზობს ფეხზე წამომდგარი, — უკეთესს ვის ვადღეგრძელებთ?

— ამინ, — ნიკოც დგება.

— პავლე, ჩამოსვი ბავშვი, — ვეუბნები.

არ მისმენს. ისევ ფეხზე მდგარი ჯიბიდან იღებს დიდ ვერცხლისფერ დანას, ვაშლის გათლას იწყებს და რაღაც კურიოზულს ჰყვება თავისი „პედაგოგიური“ მოღვაწეობიდან. საბავშვო ბაღში მუშაობს ცოლთან ერთად. ეს დარაჯია, ცოლი — დამლაგებელი. თავის დროზე, კრედიტი ვერ გაისტუმრეს და სახლი ბანკმა ჩამოართვა. მას შემდეგ საბავშვო ბაღში ცხოვრობენ. სამაგიეროდ, საბავშვო ბაღს აღარც ზეინკალი სჭირდება, არც დურგალი და მშენებელი, პავლიკას ყველაფერი ეხერხება.

— ბავშვი ჩამოსვი-მეთქი! — ვუმეორებ და დაბღვერილი ათავისუფლებს ბავშვს. არ მოსწონს ვაჟბატონს ჩემი ტონი.

— ასე, რა! გული შემინუხდა! — ეუბნება მაცაცო და კვლავ ამოჩემებული ფარდისკენ გარბის.

ყველას გვეცინება. მართლაც სასაცილო გოგოა: მოუსვენარი, ჯიუტი, უზრდელი და გონებაგახსნილი.

— პატარაა, არა? — მაცაცო თვალში მეპატარავება.

— ეგ როგორ? — იცინის ნუცა, — პატარაა, აბა, დიდია?

— თანატოლებს ვგულისხმობ, ვერ უნდა მიხვდე?

— აა, მეორე, თუ მესამეა სიმაღლეში, — ღიმილით ამბობს, — მაცაცო, მერამდენე ხარ სიმაღლეში?

— არ ვიცი, —ამბობს მაცაცო, — ხან მეორე ვარ, ხან მესამე. დათო თუ აცდენს, მეორე ვარ.

— გაკვეთილების შემდეგ სიმაღლის მიხედვით ჩაამწკრივებენ ხოლმე, დათო მაგისი კლასელია.

— როგორ ცხოვრობთ, რას აცმევ, რას აჭმევ? — ესეც დედამისის პენსიაზეა, ხანდახან ძმა უგზავნის ინგლისურიდან სათარგმნ ტექსტებს, თარგმნის, აწყობს კომპიუტერზე და ასე შოულობს თვეში ასიოდე ლარს.

— ვცხოვრობთ, არ ვაშიმშილებთ, — იცინის, — ძმაც გვეხმარება. ბურახი უყვარს და დედაჩემი უკეთებს ხოლმე ხორბლისგან, გემრიელიც არი და ვიტამინებით სავსეც.

— რა საშინელებას ეწევით, რა სუნი დაგიყენებიათ? — მესმის დედაჩემის განრისხებული ხმა და მისი მკაცრი სილუეტიც გვიახლოვდება. საერთოდ, მოძრაობს ჩუმად და აჩრდილისებურად, ზოგჯერ მოულოდნელად რომ დამადგება კომპიუტერთან ჩაფიქრებულს, ლამის შიშისგან გული გამისკდეს, — ფანჯარა მაინც გამოაღეთ, აქ როგორ სუნთქავთ, ლაყუჩები გაქვთ? — ყურადღებას არ აქცევს ფეხზე თავაზიანად წამომდგარი კაცების მოკითხვა-მისალმებას და ძონძების მაღაზიაში შეძენილი შალის ფრიალით მიემართება ფანჯრის გამოსაღებად. ორიოდე ნაბიჯზე ამჩნევს პატარა, სასაცილო არსებას, რომელიც მაიმუნივით ჩაბღაუჭებია ფარდას და ადგილზე შემდება. პატარა მაიმუნი არ იბნევა, თავპირისმტვრევით ეჯახება, ეწებება კალთაზე და ცბიერი ღიმილით შესციცინებს სახეში. რაც მართალია მართალია: მაცაცო მაგრად ჰყავს დაგეშილი ნუცას.

— ვისი გოგონა ხარ, გენაცვალე? — ეკითხება გაოცებული დედაჩემი.

— ნუცას გოგონაა, — ვეუბნები სასწრაფოდ, არ მინდა, რამე არაორდინალური დაახეთქოს, არადა სავსებით მოსალოდნელია, გულზე არასოდეს ეხატებოდა ნუცა.

— ჩემი გოგონა კი არა, შენი შვილია, — მისწორებს ნუცა, — გამარჯობა, ქალბატონო ქეთევან.

—უი, ნუცა ვერ შეგამჩნიე, შენც აქა ხარ? — წელში ზვიადად იხრება დედაჩემი, მაცაცოს კოცნის და ისევ თავის ოთახში უჩინარდება, — აღარ მოწიოთ, ვერა ვარ კარგად, — გამოგვძახის შორიდან.

— წნევა აწუხებს, — ვამბობ.

— ვიცი, — იცინის ნუცა.

— ვისაც მოწევა უნდება, აივანზე მოწიოს, — ამბობს ნიკო, — შევაწუხეთ ქალი.

— საერთოდ აღარ მოვწევ, — პავლიკა სავსე საფერფლეს იღებს, — სად გადავყარო?

სამზარეულოზე ვუთითებ:

— სანაგვეს ნახავ წყლის ნიჟარასთან.

— ცუდია, როცა არ ეწევი და გაბოლებენ, — პავლიკას საფერფლე გააქვს.

— მოწევა არაფერ შუაშია, — ვამბობ, — სიტყვა პლანზე გადაგვიკრა. ივარაუდა, რომ დავბოლდით და დაგვტუქსა.

— ეგრევე მივხვდი, — ხითხითებს ნიკო, — შვილიშვილებს ვფიცავარ, ეგრევე ეგ ვიფიქრე.

— დაგაყენათ ქალბატონმა ქეთევანმა ოთახის კუთხეში ნახევარ საუკუნეს მიღწეული კაცები? — იცინის ნუცა. სერიოზული მატერიალური პრობლემების მიუხედავად, ნუცა ყოველთვის მზად არის გულიანი სიცილისთვის. არ სვამს, არ ეწევა (ხანდახან, ნახევარი ბოთლი ლუდი და ერთი ღერი სიგარეტი რა სახსენებელია!), თავს უფრთხილდება და ალბათ იმიტომაც მუდამ კარგ გუნებაზეა.

— იცი, როგორ ატერორებს ხალხს? — ვეუბნები, — გამყიდველებს, მძღოლებს, ძველ ბიჭებს... აბა, ერთი შეეპასუხოს ვინმე, შიშის ზარს სცემს ყველას.

— მერე, ვერც მასეთმა თავზარდამცემმა ქალბატონმა გიშოვა სამსახური? — ირონიულად შემომღიმის ნუცა, — თუ, მაინცდამაინც, მაგარ თანამდებობას ელოდები?

— მეხუმრები? — მაღიზიანებს მისი კითხვა, — ბევრი რამე ვცადე, მანქანის გაქირავებით დაწყებული და ბინის ათასჯერ გაყიდვით დამთავრებული, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ბიზნესის დასაწყებ ფულს ვერ მოვუყარე თავი. არ მითხრა ეხლა, კრედიტი აიღეო.

— არა, მაგდენი მესმის, — სერიოზულდება ნუცა, — ჩემს ძმასაც უნდოდა, მაგრამ უარი აჯახეს, ჩვეულებრივ ხალხს არ აძლევენ კრედიტს. ბინას თუ ჩადებ, შეიძლება რამე გამოვიდეს, თუმცა ძალიან სარისკოა ეგ ამბავი.

მე და ნიკო ვხითხითებთ, პავლიკა არყისგან ამღვრეული თვალებით იბღვირება:

— სწორედ მასე დავკარგე ბინა, — ამბობს, — ხუთოთახიანი ბინა ჩამომართვეს 13000 დოლარის სანაცვლოდ და კიდე ვალი დამადეს, პროცენტის პროცენტებს მედავებოდნენ.

— პროცენტის პროცენტი კარგად ვერ გავიგე, მაგრამ ბინის ჩადება რო არ ღირს, ვიცი, — ეუბნება ნუცა.

ვუყურებ მის გაბრწყინებულ სახეს და უცნაური ეჭვი მეუფლება: თვალების დახატვა, სამკაულები, კაბით სიარული არ უყვარს, გათხოვების სურვილიც, როგორც მახსოვს, არ გამოუმჟღავნებია.

— ნუცა, ლესბოსელი ხარ? — ვამბობ მხოლოდ მის გასაგონად.

— სამწუხაროდ, არა. სოლოლაკელი ვარ, — იღიმება დარდიანი სახით, — ქალებს ვერ ვიტან. საიდან მოგდის ასეთი აზრები?

— წავიდეთ, — ისმის მაცაცოს ჭირვეული ხმა, — მომბეზრდა აქ.

— „სამწუხაროდ“ რატო? — ვაგრძელებ.

— უფრო იოლი იქნებოდა ცხოვრება, — მპასუხობს და „დედა, რას დამგვანებია ბავშვიო“, ამატებს ნაყინის ნარჩენებითა და ჭუჭყიანი ხელებით მოთხუპნული მაცაცოს სახის დანახვაზე, — როგორ მოასწრო ამ ბავშვმა ასე უცებ თავს ლაფის დასხმა?

— წავიდეეთ, —ტირილს ურევს ხმაში მაცაცო და დედამისს მკვახე სილას სთავაზობს, — ადექი!

— მეტკინა, როგორ იქცევი! — უწყრება ნუცა და მერე მე მებოდიშება, — მინდოდა, ცოტა ხნით კიდევ დავრჩენილიყავი, მაგრამ ეს თუ ატყდა, აღარ გაჩერდება. აი, უკვე კარს აწვალებს, გესმის? — კი-მეთქი, თავს ვუქიცინებ. შემოსასვლელიდან მართლაც დიდი რახარუხი ისმის, — ისე, ხანდახან შენც რო გამოგვიარო, არ იქნება ურიგო. ბოლობოლო, ხომ უნდა ნახო, სად ვცხოვრობთ?

ნუცას სახლში არასოდეს ვყოფილვარ. ხელს ვუწვდი, ღიმილით მართმევს და მიდის.

— გააცილე, ბიჭო, —ნუცას გასაგონად მეუბნება ნიკო.

ენა ჩაიგდე-მეთქი, ვანიშნებ.

— აი, ეხლანდელი ქალები, — ამბობს პავლიკა, — ისე წავიდა, თავისი თეფშიც კი არ გაიტანა სამზარეულოში.

— მორჩი, რა! — ეუბნება ნიკო.

— რა, მართალს არ ვამბობ? — თავისას არ იშლის პავლიკა, — ქალი ცოტა სხვანაირად უნდა იქცეოდეს. ეს ვინღაა, ვის გავახსენდი? — ჭრელა-ჭრელა ჯიბიდან ქურდულად ამღერებულ მობილურს აძრობს და ასმაგად დაბოხებული ხმით ჩაჰბღუის, — დიახხ... დიახხ... არა, თითქმის არა, ძალიან ცოტა... ჰო... ჰო-მეთქი, ნახევარ საათში მანდ ვიქნები...

— სარას ელაპარაკება, თავის სომეხ ცოლს, — ჩურჩულით მიხსნის ნიკო, — გვრიტებივით ეღუღუნებიან ხოლმე ერთმანეთს.

მივხვდი-მეთქი, თავს ვუქნევ.

— ესეც ასე, — პავლიკა ამთავრებს ცოლთან ბჟუტურს, მობილურს ინახავს, იღებს საფულეს და ფულის თვლას იწყებს. ითვლის ერთხელ, მეორედ, მესამედ..., — ათი ლარი მაკლია, — ამბობს მცირე პაუზის შემდეგ, — თქვენ ამახიეთ, ბიჭო? აზრზე მოდით!

— დათვერი? — ვეკითხები.

— ჩემთვის ათი ლარი დიდი ფულია, ძმაო! — თითებს ფარჩხავს, თვალებს ქაჩავს, — 60 ლარი უნდა მქონდეს და 50 მაქვს. სად გაქრა ჩემი 10 ლარი?

— მე რა ვიცი! — ძნელი ასატანია მისი შეუვალი ტონი, — სირზე მკიდია შენი ათი ლარი!

— პავლიკ, რაღაცას ურევ, — ეუბნება ნიკო, — ჯიბეში ნახე, ქვეყნის ჯიბეები გაქვს, მანდ ჩაიდებდი სადმე, ტყუილად გაცვია რეინჯერების ფორმა?

— მეკაიფებით კიდეც? — ლამის დაგვეტაკოს, — ათ ლარს თქვენ მახევთ და კიდე მე ამოვიტრიალო ჯიბეები?

— ნახე, ძმაო, შენი რაღა მიდის, — სიტუაციის განმუხტვას ვცდილობ, — ძნელია საკუთარ ჯიბეში ხელის ჩაყოფა?

— საფულეში ჩავიდე მთელი ფული, ათ ლარს ცალკე რად ჩავიდებდი? დებილი ვარ? საფულე კი, აი, აქ მედო, — მაგიდას ურტყამს თითს, — ზუსტად ამ ადგილზე. ცოტა ხანი ჩემს საფულეს ის ბავშვიც ათამაშებდა, ფარდასთანაც მიიტანა, დედამისსაც აჩვენა, მაგრამ არა მგონია...

„ლიტერატურული გაზეთის“ ანკეტა

ივანე ამირხანაშვილი

— რას ნიშნავს თქვენთვის მაჩაბლის 13?

— მოვალეობას.

ჩემთვის მაჩაბლის 13 წარმოსახვაში უფრო არსებობს, ვიდრე რეალობაში. ქუჩა — როგორც გზა. უსასრულო, სიზმრისეული. ინტერიერიდან ბევრი არაფერი მახსენდება. უფრო ექსტერიერიდან — ბაღი, ქუჩა.

ნოდარ დუმბაძე, ფერმკრთალი, მაგრამ მოცინარი, სასახლის წინ, შესასვლელთან. მიდის, მანქანის კარს უღებენ; გურამ ასათიანი, დინჯი, სევდიანი, მკაცრი პროფილით, რაღაცნაირად ჰამლეტ გონაშვილს რომ ჰგავს; ოთარ ჩხეიძე, ლადო მრელაშვილი, სხვადასხვა დროს, ლომის ფაფრებით, ზურგსუკან ხელებშემოწყობილნი; გოდერძი ჩოხელი, გაბრაზებული, აწითლებული. ბაღის ვერანდაზე; გრიგოლ აბაშიძე, წელში მოხრილი, შემცივნული.

ერთხელ გრიგოლ აბაშიძე მოვიდა, ხელკავით განზე გამიყვანა და განდობილის გულითადობით მითხრა, ის დიქტოფონი გავასაღე და მეორის გაყიდვაში უნდა დამეხმაროო. სხვაში შევეშალე. თვითონვე მიხვდა. ბოდიში მომიხადა. ახლაც მეწურება გული. ამ ნიჭიერი მწერლის, კულტურული და კეთილშობილი ადამიანის ბედი რაღაც ხმისჩამწერის გაყიდვაზე ეკიდა. იყო სიცივე, სიბნელე, უიმედობა. დღეს ეს ყველაფერი გარეთ აღარ არის, მაგრამ შიგნით, სულში, არაფერი შეცვლილა.

ბატონი გრიგოლი. ერთ დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. პატივცემული, მორჭმული, დაფასებული. პიერ რონსარისა და შანდორ პეტეფის ბრწყინვალედ გადმომქართულებელი. მასთან ერთად დაპატარავებულიყო მწერალთა სასახლეც და კავშირის იდეაც.

მინდოდა დავხმარებოდი. არ შემეძლო. დამრჩა ვალი, მოუხდელი, გადაუხდელი.

მოვალეობა იყო მთავარი, რასაც მაჩაბლის 13-ში მივყავდი. ასე იყო სტუდენტობისას, „ლიტერატურულ საქართველოში“ მუშაობისას, მერეც, ახლაც. მავალებდა ჩემი არჩევანი, ჩემი პროფესია, სამსახური, ურთიერთობები, ნაცნობ-მეგობრობა, სინდისი, ზნე და წესი ჩვენი ცხოვრებისა.

ერთგვარად ეს იძულებაც არის. შინაგანი ხმა მაიძულებს, რომ პატივი მივაგო ადგილს, სადაც წინაპართა სული ჯერ კიდევ ბორგავს. იქ ცუდი იმდენი მომხდარა, რამდენიც კარგი. ის ავ-კარგი, მინდა-არ მინდა, ახლა ჩემშია, ჩემი სატარებელია და მევე უნდა ვატარო.

ეს არის მოვალეობა, სხვა კი არაფერი.

— როგორ წარმოგიდგენიათ მწერალთა სახლის მომავალი?

— არ ვიცი. ცუდი ფუტუროლოგი ვარ. ვარაუდით ვიტყვი: მწერალთა სახლის მომავალი იქნება ზუსტად ისეთი, როგორსაც იმსახურებს მწერალთა საზოგადოება.

მაინც როგორი? იქნება დავა, კამათი, ბრძოლა, აურზაური. კარგა ხანს გაგრძელდება ეს დავიდარაბა. წყალნი წავლენ და წამოვლენ. სახლი დარჩება.

დღეს თუ არა, ხვალ მაინც განხორციელდება ის იდეა, რომელიც კლუბურ სისტემას გულისხმობს: ასოციაციათა და გაერთიანებათა სრული პარიტეტი, ყველა თაობის წარმომადგენლობითა და თანაბარი უფლებებით.

ისე, სიტყვით ყველა თანახმაა სისტემის შეცვლაზე, მაგრამ საქმით ჯერ არაფერი გამოდის.

თავმჯდომარე არავის სურს, მაგრამ თავმჯდომარეობა ყველას უნდა.

დრო ყველაფერს დაალაგებს.

ამბის სიუჟეტურ ლოგიკას აქეთ მივყავართ. როგორც ჩანს, იქნება არა კავშირის სახლი, არამედ მწერალთა სახლი. დავით კლდიაშვილისა არ იყოს, სწორედ დროც არის და საჭიროებაც მოითხოვს.

ზურაბ სამადაშვილი

სოციალური საკითხები

დასასრული

ამას უკვე ვეღარ ვითმენ: ვიღებ პავლიკას სკამიდან და კედელზე ვახეთქებ, მერე რამდენჯერმე ვურტყამ და ნელ-ნელა იატაკისკენ ეშვება. დედაჩემის წიკვინსა და ნიკოს ბლუკუნს ყურადღებას არ ვაქცევ.

— ექვსი წლის ბავშვს ქურდობას როგორ ტენი, შე ბოზო! — ვყვირი.

მაგიდას ვაყირავებ, ჩემს სიმწრით შეძენილ მობილურს იატაკზე ვანარცხებ, კიდევ რას ვაკეთებ და გავიძახი, ღმერთმა უწყის, მოკლედ, ყმაწვილურად ვიგიჟიანებ თავს, ამასობაში ნიკოს პავლიკა გაყავს.

— ამ ხნის კაცი ასე როგორ იქცევი? — მეუბნება ცოცხით შეიარაღებული დედაჩემი და ოთახის მილაგებას იწყებს. ის უცნაურად ენერგიული და გახალისებული მეჩვენება, თითქოს გაართო მომხდარმა არეულობამ, — მამაშენზე კარგი ჩხუბი არავინ იცოდა, მაგრამ პავლიკასნაირ კაცს თავს როგორ გაუყადრებდა, ხელს როგორ დაარტყამდა? ლამის მოკალი ეგ საცოდავი, ასე შეიძლება? პატარა ბიჭი ხარ, რაღა დროს შენი კუნთაობაა?

— რა კუნთაობა, ერთი-ორჯერ დავარტყი, — გადაყირავებულ მაგიდას ვასწორებ, — ეგ იყო და ეგ.

— სისულელეა, რა ერთხელ? ხმაურზე რო გამოვედი, უკვე ნაცემი გყავდა, მერე წამოაყენე იატაკზე ჩაკეცილი, თავი დაარტყი და იქით გადააგდე, — ოთახის კუთხისკენ მითითებს, — ახლა მე და ნიკომ წამოვაყენეთ... ეგ ხო ნამდვილი ლოქოა, თვითონაც ძლივს იდგა ფეხზე. ნიკო აი, ამ დივანზე მიაგდე და ისეთი სილა გააწანი საცოდავ პავლიკას, ახლა მეორე მხარეს მოადინა ბრაგვანი. ამის შემდეგ, როგორც იქნა, თავი მიანებე და ჭურჭლის მსხვრევა-მტვრევაზე გადახვედი, მგონი, მობილურსაც გამოუყვანე წირვა. არაფერი გეყურებოდა, სარკესავით თვალებს აბრიალებდი. იმ საცოდავს სისხლი მოვწმინდე ცხვირიდან და შუბლიდან. ისე შემეცოდა, ისე!.. სისხლს რო ვწმენდდი, იდგა პატარა ბავშვივით, მხრებჩამოყრილი, თავჩაქინდრული, ნიკომ წვალებ-წვალებით გაიყვანა. მე რო არ მეთქვა, პავლიკა გააცილე-მეთქი, წასვლას არც აპირებდა.

— მოვა ისევ, — ვპირდები, — რახან დავალება მიგიცია, მოვა და ანგარიშს ჩაგაბარებს, მასეთი ტიპია.

— მოვა, აბა, რას იზამს, სასმელ-საჭმელი ეგულება და რატომ არ უნდა მოვიდეს? რად გინდოდათ ამდენი არაყი? 5 ბოთლი დავითვალე. ხინკალი ახსენა მაგ ღორმუცელამ რამოდენიმეჯერ. კიდევ კარგი, არ უსმენდი, თორე შენი ამბავი რო ვიცი, გაიქცეოდი და მოურბენინებდი. ნერვები მეშლება, როგორ დადიხარ ამ აფერისტის ჭკუაზე? ამდენი მილები დაჭერით, კომპიუტერი და ტელევიზორი გამოშიგნეთ და მთელი ფული მაგას შეაჭამე, ჭკუა არა გაქვს ამხელა კაცს? თუმცა, ყოველთვის ასე არ არი? ის ქალი გამოჩნდება თუ არა, რაღაცა ცუდი უეჭველად ხდება.

— კარგი რა, იმ ქალს მაინც შეეშვი!

— მე შეშვებული ვარ, თვითონ არ გვეშვება, — ირონიულად იღიმება, — რას მოეთრევა ხოლმე, მეტი საქმე არა აქვს? არ ვიცი დნმ-ის ანალიზი სად და ვისთან გააკეთეთ, მაგრამ მაგ ბავშვს შენი არაფერი სცხია, ჩვენს მოდგმასთან არაფერი აქვს საერთო. ისე კი სასიამოვნო ბავშვია, ცუდს ვერაფერს ვიტყვი და ეტყობა, კარგადაც უვლიან.

* * *

დილით აუტანელი სიცივე მაღვიძებს. ვიცვამ და სამარშრუტო ტაქსების გაჩერებისკენ მივიჩქარი. ზოგჯერ, როცა სიცივე გაუსაძლისი ხდება, ვირჩევ ყველაზე გრძელ რეისს, ვიხდი ოთხმოც თეთრს აქედან, ოთხმოცს იქიდან და ამ ფასად გათბობა ლამის საღამომდე მყოფნის. დედაჩემი კი ცივ დღეებს, ძირითადად, ორმაგი საბნის ქვეშ ატარებს და უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში ასე ვებრძვით კლიმატურ კატაკლიზმებს.

ვუახლოვდები გაჩერებას და ვხედავ, ნიკო დაყუდებულა. რატომღაც არ გვიკვირს ერთანეთის დანახვა.

— სპილენძი გამოვწვი, — მეუბნება, — ბარახოლკაზე მიმაქვს ჩასაბარებლად.

— ყოჩაღ, — ვეუბნები, — შენი ამბავი რო ვიცი, პავლიკასაც მშვიდობით დააბინავებდი.

— უჰ, რაც მაგან მაწვალა! — სახეზე მაბოლებს აქოთებულ სიგარეტს, — ძლივს მივათრიე საბავშვო ბაღამდე და ჩავაბარე ქალბატონ სარას. რა ამტანი ყოფილა, ძმაო, რა ცემას გაუძლო, ნაღდად გაოცებული ვარ. ისევ ვაპირებდი შენთან ამოსვლას, მაგრამ ფიზიკურად ვერ შევძელი. სიმთვრალეში, ხომ იცი, მარჯვენა ფეხი მიშეშდება ხოლმე.

— რა ათი ლარი აუტყდა მაგ გამოსირებულს? — მხრებს ვიჩეჩავ, — რა მოელანდა?

— ბომჟია, რა მოეთხოვება! — ნიკო ვიღაც უცნობი კაცისკენ ტრიალდება და ასანთი გექნებაო, ანიშნებს, უკიდებს ჩამქრალ სიგარეტს და ბოლს ისევ ჩემსკენ უშვებს.

— იქით გააბოლე! — ვეუბნები.

— უკაცრავად, — ყასიდად მებოდიშება, — 60 ლარი მომეცითო, ამიტყდა. აზრზე ხარ? მე დავჭერი ჯართი, მე წავიღე და მე ჩავაბარეო, რა ფულიც ავიღეთ, იმის ნახევარი მეკუთვნისო, ჩვენს ხარჯზე მოინდომა გამდიდრება. რა, 60 ლარი მიმეცა? ავდექი და 50 მივეცი.

ვქაჩავ, ვანჯღრევ.

— შე ნაბიჭვარო! — ვეუბნები, — ტყუილად მაცემინე ის საცოდავი? შეპირდი და გადააგდე?

— აბა, 60 ლარი მიმეცა? — ნიკო წინააღმდეგობის გაწევას არც ფიქრობს, მომჩერებია გაოცებული და შეშინებული, — დღეს აღარ გვინდა დალევა? მაგდენი ფული რაში მიმეცა?

— არ უნდა დაპირებულიყავი, გესმის? — ხალხის ყურადღებას ვიქცევთ, ხელს ვუშვებ, — სადაური მათემატიკაა, ამიხსენი! სამნი ვიყავით? ხარჯს ზევით 120 ლარი დარჩა? იდეალურ ვარიანტში 120 გაყავი სამზე, რამდენია?

— აუ, რა დებილი ვარ! — ამბობს, — ორმოცზე მეტი არ ეკუთვნოდა.

— ორმოცი ლარი იდეალურ შემთხვევაში, თუ მთლიან წილში ჩავსვამდით, შენ კი სამოცს დაპირდი, — გული მეუბნება, ისევ ვტაცო ხელი და ამ პატიოსანი საზოგადოების თვალწინ გავიგდო ფეხქვეშ, — საფულედან ამოაცალე ის ავადსახსენებელი 10 ლარი?

— არა. გეუბნები, თავიდანვე 50 მივეცი, ხუთი ცალი ათლარიანი, ეგრევე ჩაიდო, არ დაითვალა. რო დაეთვალა, ვეტყოდი, მეტი არ გეკუთვნის-მეთქი.

მე, როგორც რიგით ქრისტიანს, გრაალის ბარძიმზე მაქვს ჩემებური, ცოტა ბუნდოვანი წარმოდგენა. ვიცი, რომ არტეფაქტია, უკვდავებისა და უსაზღვრო ძალაუფლების მომნიჭებელი, მაგრამ ყოველდღიურ ურთიერთობებში მოთმინების ფიალას მაინც ვერ შეედრება. ეგ დალოცვილი რომ არ გვშველოდეს, რას ემგვანებოდა ცხოვრება? რა დააოკებდა ამდენ გადარეულს? სწორედ მოთმინების ფიალაა ჭეშმარიტი გრაალი, ადამიანური ურთიერთობების გამაწონასწორებელი და სიცოცხლის გადამრჩენი, ივსება ეს დალოცვილი წვეთწვეთობით, ივსება და ორ-სამ წელიწადში ერთხელ გადმოიღვრება ხოლმე. აი, სწორედ ასე მოხდა გუშინ, დაცარიელდა ჩემი მოთმინების ფიალა. სამაგიეროდ, ეხლა თავს ვგრძნობ კარგად, იმდენად კარგად, რომ უფულობასაც მშვენივრად ავიტანე, იდიოტურ კანონებსაც გავუძლებ და წარამარა წაგებულ ბრძოლებსაც უფრო ფილოსოფიურად გავაანალიზებ. ნიკოზე გაბრაზება ხომ საერთოდ სისულელეა, თან მეცოდება კიდეც: ჯერ კიდევ ახსოვს კარგი ცხოვრების გემო, მაგრამ იძულებულია, ნავთლუღის ბარახოლკაზე აღამ-ათენოს.

— კარგი, წავიდეთ, ჩავაბაროთ ეგ სპილენძი, — ვეუბნები, — შენ მართლა აღარაფერი გეშველება.

მტვერი

„დაწერე სისხლით!“ –
მეუბნება დიდი ფრიდრიხი...

რა ვქნა,
ძალიან მერიდება ქართულ სიტყვაში
შხამგარეული სისხლის შერევა!

თანაც მჯერა: ეს სიტყვები
რომ სამოთხის მტვერი არის, ცისგადაღმური,
იმ გზების მტვერი აურევნელი,
სადაც უკვდავი აჩრდილები დააბიჯებენ!
იმ გზისპირებზე რომ ყვავილობს წმინდა ხეები;
იმ ყვავილების მტვერი არის ცისგადაღმური...

მტვერს ჟამიჟამ შეერევა წმინდა ცრემლები:
ამ საღებავით პოეტები ლექსებს ხატავენ!

აღარ ვიცი, მე ფრიდრიხის
დიად სახელს რა უნდა ვუთხრა!
მჯერა, არ ჩამთვლის მოღალატედ,
სისხლით რომ არ ვწერ!

თავადაც ხომ ნასამოთხარ
მტვერს ყნოსავდა თავგამოდებით
მაშინ,
როცა ზარატუსტრას ჰიმნებს ხატავდა!

სიკვდილის ელეგია

თითქოს თვალწინ გიდგას ჩრდილი სუიციდის:
მაღალ ციდან გეშხეფება ნამი მწარე...
ზვირთების ფეხისხმა მოისმის სუეციდან.
ხომ არ მოგბეზრდა სიცოცხლე ნამიწარი!

გაკვირვებს მწყრალი სიკვდილის გემოვნება:
თავს გადგას სისხლნასვამი, გაძვალული...
წლები მიდიან სატვირთო გემებივით:
გართმევენ სიხარულს, ნაღველს გაძალებენ.

მოდი შეურიგდი: სიკვდილს ეთომარე,
გული მოულბე, თვალები აუხილე.
ეგებ გააჩეროს ხელი კეთროვანი,
კიდეც დამოძღვრე, კიდეც აუხირდი!

მაგრამ არ იცის წყეულმა შენი ენა,
ჩაგივლის ცივცივად: უცხო ქალწულივით...
თუ რამ აწყენინე: აღმოთქვი, შეინანე!
შეიყვარე და გაჰყევი აწურვილი!

გერქვა სიტყვა და...

ვერ ვიტყვი, კიდევ რამეს რომ ველი...
აქ მოსვლა ღირდა ერთი წამისთვის:
როცა შავეთის მზის ჩამქოლველი
სამოთხის ცრემლი გულზე წამისვი...

გერქვა სიტყვა და გერქვა გზაწვრილი...
მე ბედნიერი დღემდე ვარ ამით,
რომ გიგრძენ ღმერთის დარდის ნაწილი,
რომ გამინათე გულის წკვარამი!

ჯარჯი ფხოველი

დღეშავი

იდგა დღეშავი: მწუხრი ციერი.
ფიქრობდი, ამ მთებს ვეღარ გადვივლი...
დახანჯრე, მაგრამ ვერ გააქციე:
ის დღე გაგრძელდა წელიწადივით...

და სულს მოედო თითქოს კეთრივით:
იმ დღის კვალდაკვალ სიტყვებს გეშავდი...
დაგავიწყდება შენ დღეკეთილი,
როცა თენდება გულში დღეშავი!

ნასესხები დრო

დედამიწამ დრო ისესხა
რძიან გზაზე გაფანტული ვარსკვლავებიდან...

მომჭირნედ ხარჯავს
დროს ნასესხებ ვალუტასავით:
ცოტას იმეტებს ჩვენთვის, ძველო ჯიგიტებო,
სულ ცოტაოდენს!

უფრო მეტს, ალბათ, დაზოგავს და:
ხომ ცხადი არის,
მას, მართლაც, დიდი დრო სჭირდება
ხელგაშლილი ცხოვრებისათვის:
ზოგს მთვარეს მისცემს,
ზოგს ღრუბლებს მისცემს,
ზოგს – ხელოვნურ თანამგზავრებს:
რომ გაშლილან უკიდეო თვალსაწიერზე...

სულაც არ არის დედამიწა
ხელაღებით მხარჯველი ვინმე:
ცოტას იმეტებს ჩვენთვის, ძველო ჯიგიტებო,
სულ ცოტაოდენს:
მხოლოდ იმდენს,
წამისოფელს რომ ეყოფა
მარტო ერთი ამოსუნთქვისთვის!

გენდი

შაშვების ბენდი ისევ მოფრინდა:
თოვლით დაბარდნილ ქლიავზე დასხდნენ...

ოთხნი დარჩენილან...
ხმას არ იღებენ.
ნაწყენი მზერით შემომყურებენ...

შიათ...
საკენკი ხომ თოვლმა დაფარა!

ცოტაც მაცალეთ, ძვირფასებო,
ნუ გაფრინდებით!..

პურის ნარჩენები, ლიმონის ნაჭრები,
ხილფაფა, ხორბალი...
ყველაფერი თოვლის სუფრაზე...

ხმა დაიწმინდეთ, ძვირფასებო,
საცა არის, გაზაფხულის მზე ამოვა
თომათ გორზე და:
გაიხსენეთ მზის უკვდავი საგალობელი!

იმ ქალის თმებში

რომ მიყვარდა, იმ ქალის თმებში
აირია ჩემი სიტყვები,
ჩემი ლექსები,
ჩემი ხმები,
ჩემი თითები...
აირია ჩემი ძველი აუტიზმი, აუტანელი...
ჩემი გულიც,
ჩემი წარსულიც,
ძველისძველი სიღატაკე, თანამდევნელი...

აირია იმ ქალის თმებში...
და თან წაიღო მაშინ, როცა შორს გაემგზავრა...

სიღარიბე მაინც რატომ არ დამიტოვა? –
ვეკითხები ხსოვნის კედელს,
მაგრამ ყრუ არის:
ის თვალს მარიდებს
და ზურგს მაქცევს
და არ მპასუხობს!

შენი დილა

ღმერთო,
ამ დილით კვლავ გათენდა
გული ჩემი: ღამენასვამი...

შაშვების ბენდმა ხმა დაიწმინდა...

ცის დაფაზე ღრუბლის ნაგლეჯით
ვარსკვლავები
უხილავის ხელმა წაშალა...

შენს ნაღვლიან, ფერმიხდილ სურათს
დილაბნელში
რაღაცის თქმა სწადია თითქოს...

ეს მდინარეც
დილას თითქოს არაქაურ სიტყვებით ავსებს
და თითქოს შენზე მესაუბრება...

ეპილოგი

შენს მზეს შავეთის შავი წრე უვლის:
აქ სამსჯავროზე არ მოგელიან...
მწირო, იწამე სასნაული ბედისწერული:
დიდი დარდი რომ გამოგელია!

აქ ვეღარ ივლი დარდის გარეშე:
გმარხავს უდაბნო ჯავრით ატანილს!
რა გაიგონე ცის მუქარაში:
თავს რომ დაგეცა ყორნის ყრანტალი!

რაც იყო, იყო: ვეღარ იდარდებ.
აქ ყოფნა იქცა შენთვის ციხედო...
მზის კვალს მისდიე ლეთეს ხიდამდე
ისე, რომ უკან არ მოიხედო!



დასაწყისი მე-7 გვერდზე

არჩილ ქიქოძე

ჩიტის და კაცის ამბავი

მერე ვინჩესტერიდან ტყვია დაახალა, ესევე ჰყავს საკუთარ მარანში გაშლილ სუფრასთან ჩახოცილი ორი სახელოვანი ყაჩაღი. იმათ ამბებს დღემდე ჰყვებიან და „ცხონებულებად“ მოიხსენიებენ, უფრო ჩვევის გამო, თორემ ისინი არავის უყვარდა. ცოდვები იმდენი და, შეიძლება, მეტიც ჰქონდათ, რამდენიც მათი ხელობის და დროების სახელიან ქალაქელებს, ოღონდ თბილისელი ყაჩაღებისგან განსხვავებით არ გააჩნდათ სტილი და სულ არ ანაღვლებდათ რეპუტაცია. უფრო მეტიც, რეპუტაცია რა იყო, ამბადაც არ გაეგონათ და ეს მათ კიდევ უფრო სახიფათოებს ხდიდა. არეულობამდე სულ პატარა ბიჭები იყვნენ — ჩვეულებრივი გლეხის შვილები და კაცის კვლაში უცაბედად დაკაცდნენ. კიდევ კარგად მღეროდნენ... ამას ყველა აღნიშნავდა. მათ სოფელში ყოფილა ბიჭების სიმღერის გუნდი, რომელსაც სათავეში ედგა ერთი ახირებული, სიკვდილისგან დავიწყებული მოხუცი ლოტბარი, რომელსაც ახსოვდა რამდენიმე სრულიად უნიკალური ხალხური სიმღერა, მათ შორის მხოლოდ იმ სოფლისთვის დამახასიათებელი მრავალჟამიერი. არ უნდა დაიკარგოსო! — ჯიუტად გაიძახოდა და თვითონ უშვილძიროდ დარჩენილმა მეზობელი ბიჭების გუნდი შემოიკრიბა. იმათში კიდევ ეს ორი ყველაზე ნიჭიერი ყოფილა. ხმები ჰქონიათ სულ მთლად გასაოცარი. მერე და მერე შეარქვეს კიდეც მომღერალი ყაჩაღები. კლავდნენ და მღეროდნენ, ძარცვავდნენ და მღეროდნენ. ერთი მესამე ხმა — ბანი აკლდათ და ავტომატის კაკანი იყო იმათი ბანი. სულ სიმღერ-სიმღერით ჩამოუარეს და ხარკი დაადეს ყველა მეღვინეს და მევახშეს და ბოლოს ფულების ასახევად ქაქუცასაც მოადგნენ. არავის ინდობდნენ, არავის ენდობოდნენ და მარანში მათთვის გაშლილ სუფრასთანაც მუხლებზე ეწყოთ ავტომატები. მაინც მოტყუვდნენ, მაინც მოდუნდნენ... იმათზე მისაცემ ფულზე მეტი საქმის გაკეთება დაჯდა, მაგრამ ეგ იყო და ეგ — აზრად აღარავის მოსვლია ქაქუცას შეწუხება — სახიფათო კაცის სახელი დაიგდო. ყაჩაღებს სულ თავებში და გულებში ჰქონდათ ტყვიები მოხვედრილი. სანამ მეზობლებს დაუძახებდა, მასპინძელმა ერთ-ერთის მაკაროვიდან ტყვია ცაციას ხელისგულში გაიტარა, იმავე იარაღიდან ერთი-ორი მარნის კედელსაც დაახალა და ეგ იყო — დაიხატა სურათი... ყაჩაღობა და იძულებით თავდაცვა...

მომღერალი ყაჩაღების დასაფლავებაზე მოხუცი ლოტბარი თურმე მარტოდმარტო, ცალკე იდგა სასაფლაოზე ამოსულ უზარმაზარ ცაცხვის ხეს მიყუდებული და გულამოთქმით ტიროდა, ვინ იცის, იმ ხეზე უფრო ბებერი. ცაცხვი ხო მალე იზრდება...

საკუთარ სახლში შეტყუებული ორი ცოცხალი ადამიანის დამხოცავი ახლა ჩემს თვალწინ თავის მწყემსებს უმასპინძლდება. იმათ კიდევ წლიდან წლამდე ამ დღეს ისეთი გაოგნებული გამომეტყველებები აქვთ, როგორიც ალბათ ხორნაბუჯში გამომწყვდეულ ყველის ვაჭრებს ჰქონდათ. ერთადერთი ყველაზე შორეული ბინის სარქალ ცალთვალა ახმედას არ აქვს განწირული და ბედისწერას მინდობილი სახე. თბილისში ჩემი კომპიუტერი მისი პორტრეტებითაა სავსე და მაინც, არცერთი არ არის სრულყოფილი. ამ ადამიანს თავის ერთადერთი თვალით თითქოს მეტი აქვს ნანახი, ვიდრე ყველა დანარჩენს, რომლებსაც ვერაფრით გაუგიათ, გაქანებული დოლის დროს რად უწევთ ბინების და ცოლ-შვილის მიტოვება და ამსიშორე გზაზე ფეხით წამოსვლა იმისთვის, რომ იმ კაცის მიძღვნილ ღვინოს და ხაშლამას დაეძალონ, ვის მიმართაც არაფერს გრძნობენ შიშისა და რიდის გარდა. ის კი არ იციან, რომ დიდი ხნის წინ ამ დღეს ხორნაბუჯის დილეგში ყინვისგან სულამოხდილი თავის თანამოძმის სახსენებელ სუფრას უზიან. შავი მოზვერი საკუთარი შვილის სიბრიყვით დაღუპულ კაცის სახსენებლად დაუკლავს ქაქუცას და ამიტომაც ვერ ნახავთ აქ ქართველ მწყემსებს. ამ დღეს ქაქუცა მხოლოდ ურჯულოთათვის შლის სუფრას...

— კი მაგრამ, ეს ხომ უბრალოდ ცინიზმია!

სიგარეტს რომ ვქაჩავ, გაღვივებული თამბაქო ოდნავ აჩენს ჩემი ინგლისელის თხელ პროფილს. კიდევ ჩაბნელებული ნაკრძალის გადაღმა დიდი ჩრდილის ქედის სილუეტს ვარჩევ.

— ცინიზმი მუდამ თან ახლავს ძალაუფლებას, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც ვერ დაგეთანხმებით. მგონი, ის კაცი ცინიზმისთვის მეტისმეტად მარტივი ადამიანი იყო, ოღონდ ამას ნაკლად სულაც არ ვუთვლი.

— შენ მას ისევ წარსულში მოიხსენიებ...

— და მაქვს კიდეც საამისო მიზეზი... ცინიზმი არა... ეს უფრო სიამაყეა. ქრისტიანობა ამას ამპარტავნობას უწოდებს და, მგონი, მძიმე ცოდვადაც მიიჩნევს. ამ კაცს მე მხოლოდ რამდენიმე წელი ვიცნობდი, მას მერე გავიცანი, რაც რაჯებამ – ჩემმა კომპანიონმა — მოიფიქრა, რომ ჩიტების ცქერით ფულის გაკეთება შეგვეძლო. სწორედ მაშინ დავიწყეთ გაზაფხულობით მის მამულში ტურისტების ტარება. ზამთრობით თავის კოტეჯებში ის მონადირეებს იღებდა, გაზაფხულობით ჩვენ ჩავდიოდით. ოღონდ მე პრივატულად ზამთარში და შემოდგომაზეც დავიწყე იქ სიარული. არაფერში ვუშლიდი ხელს და მიტანდა. მე მას რამდენიმე წელი ვაკვირდებოდი. მგონი, თავის სიამაყით იქამდე მივიდა, რომ თავად მოიგონა რაღაც ახალი რელიგიის მსგავსი, რომლის ერთადერთი ქურუმი და მიმდევარიც თვითონ იყო. მას სხვა რიტუალებიც ჰქონდა... ადრე ალბათ ამას არ იზამდა, ამისთვის ვერ მოიცლიდა, მაგრამ ბოლოს საკუთარი თავი გამოკეტა თავის საბრძანებელში. იქაურობას ზაფხულობითაც კი არ ტოვებდა, როცა ცხვარი უკვე მთაში იყო, ხოლო გავარვარებულ, ტაფადქცეულ ქვაბულში თომას გარდა ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. ყველაფერი გაყიდა, დაიტოვა ცხვარი, რომელიც ზაფხულობით მთაში მიდიოდა, ზამთარში კი ბრუნდებოდა და მრავლდებოდა და თევზი, რომელიც წყალსაცავში ჰყავდა გაშვებული და რომლის დასაჭერად ხანდახან რაიონიდან იძახებდა მეთევზეებს. კოტეჯებსაც ამუშავებდა სასტუმროდ და რაღაც შემოსავალი მონადირეებისგან და ჩვენი ჩაყვანილი თქვენნაირი ჩიტების მოყვარული ტურისტებისგანაც ჰქონდა. ესე იგი, მთელი მისი შემოსავლი მის წყალში ცურავდა, მის მიწაზე დადიოდა და ფრინავდა კიდეც. სახლზე საბოლოოდ აიცრუა გული — შვილების გამო...

— მეფის გარდა კიდევ ჰყავდა შვილები?

— ესეთი კაცი ეგეთ შვილებს არ იმსახურებს, — ჩურჩულით მეუბნება თომა. მაშინ ღმერთი გამიწყრა და შუა ზაფხულში ჩამოვედი ამ ჭალებში. მთელი დღე რომ მდინარეში მჯდარიყავი, მაინც ვერ გრილდებოდი, იორი თითქოს დუღდა, უთვალავი კოღო, სრულიად წაშლილი ჰორიზონტი და გახურებული თუნუქის სახურავი, რომლის ქვეშ ღამითაც არ იყო შვება. გარეთ კიბის საფეხურზე ვზივართ, გვერდით თომა ჭრიალებს საქანაო სავარძელზე — ფუფუნების ერთადერთ ნივთზე, რაც კი აბადია და როგორ ღელავს ხოლმე, თუკი ზამთარში ვინმე სანადიროდ ჩამოსულ დეპუტატს ან გაზაფხულზე ვინმე გადამთიელ ჩიტზე მოთვალთვალეს თავის სავარძელში მოქანავეს ნახავს. თვითონ საინტერესო სანახავია — დიდ სავარძელში დაკარგული პატარა კაცი, იატაკს ფეხებით რომ ვერ სწვდება და იქიდან ჩამოსახტომად სავარძლის მთელი ძალით გადაქანება უწევს...

ნეტავ, როგორ შვილებს იმსახურებს ქაქუცა? ნიავი ოდნავაც არ იძვრის. თომა იქით იხედება, სადაც სიბნელეში ბატონის შუბლის ფანარი ბჟუტავს. წყლის ცისტერნას მიერთებული შლანგით ქაქუცა ატმებს რწყავს. დღისით, პაპანაქებაში რომ მიუშვას წყალი, მოითენთება და ჩაიხუთება ნერგები. არც ღამით მორწყვა უშველის. ეგ ატმები თომას ახირებაა, რომელიც ულაპარაკოდ აუსრულა ქაქუცამ, თუმცა იცოდა ამ აყალო თიხნარზე ატმებს გახარება არ ეწერა.

„ჩქარა, თომა, ბარი მომიტანე! გველია აქა“, — სიბნელიდან იძახის ქაქუცა და მე მიწევს ბარის წაღება, რადგან იორზე გატარებული წლების მიუხედავად თომა ეგრეც ვერ დაეჩვია გველების მეზობლობას. სახელსაც არ ამბობს მაგათს და მარტო „უხსენებელს“ ეძახის. ქაქუცა თითქოს არც აიქნევს ბარს და მაინც ერთი მოკლე დარტმით შუაზე ჭრის შლანგზე მსხვილ სხეულს, რომელიც წამის წინ ირკალებოდა და საშიშად შიშინებდა.

— ერთი ვაჟი კიდევ ჰყავდა — უმცროსი. გონებასუსტი, ფაქტობრივად, იდიოტი. მეფეს მე რამდენჯერმე შევხვედრივარ იორზე. მამისგან მალულად კოტეჯების უკან პლანს ეწეოდა ხოლმე. იმ მეორეს კი ქაქუცა არც კი აჩენდა. ცხვენოდა ასეთი შვილები. მეორეზე ამბობენ, რომ ნორმალური ყოფილა და მერე გაგიჟებულა. თავის დროზე ქაქუცას არ დაუკლია მისთვის ექიმები, მაგრამ ვერაფერი უშველეს. მე ის არასოდეს მინახავს. ამბობენ, რომ პატარა ბავშვის გონება აქვს და პირდაბანილი და მოვლილი მხოლოდ დედის და მისთვის მიჩენილი მომვლელის წყალობით არის, მაგრამ ხანდახან ახერხებს და სახლიდან გარბის. შორს არ მიდის, იქვე სოფელში დაეხეტება და ყველასაგან სიგარეტს თხოულობს. თან ყველას ერთსა და იმავეს ეუბნება: „ხო იცი, ვისი ბიჭიც ვარ?!“ მაგით თითქოს თავს იზღვევს გარეთ გაპარული, მისთვის უცხო სამყაროში აღმოჩენილი. ის ახსოვს, რომ ვიღაც მაგარის შვილია. მისთვის ზურგის შემქცევი მამა მაინც ეიმედება...

— ეს ტრაგიკული ამბავია.

— ქაქუცასნაირი კაცისთვის ორმაგად ტრაგიკული. ამ ქვეყაში შვილებისთვის ცხოვრობენ, ყოველ შემთხვევაში, თვითონ სჯერათ, რომ ასეა. დოვლათს მათთვის აგროვებენ. აქ, მაგალითად, არავის მოუვა აზრად, თავის ქონება რომელიმე, ვთქვათ, ცხოველთა დამცველ ორგანიზაციას უანდერძოს...

— ეს საბჭოთა მენტალობის გადმონაშთებია. ეგ დროც მოვა...

— შეიძლება. ოღონდ მანამდე ქაქუცა იორზე თავის მამულში გამოიკეტა. ის უფრო დიდი გაქანების კაცი იყო და ეს უნაყოფო მიწა, ჭალები და ავშანმოდებული ველები მისთვის ხაფანგად იქცა. თანაც სრულიად მესაკუთრული დამოკიდებულება ჰქონდა იქაურობის მიმართ. ჩემნაირ, მისთვის უწყინარ ფოტოაპარატიან თბილისელს თუ აიტანდა ცოტა ხნით და ამ დროს ორი მხრიდან შემოუტიეს. ამპარტავნობა სწორედ მაშინ შეეყარა, როცა იორზე ქრისტიანობა მივიდა და კიდევ ჯარი. პირველი ჯარი იყო...

— გიურზა, გიურზა, ფალანგა ვარ. როგორ გესმის ჩემი?

გიურზა როგორც ყოველთვის ადგილზეა და ყველაფერი ესმის.

— გიურზა, გიურზა, მეხუთე კვადრატში უნდა შესვლა. დამიდასტურე, როგორ გაიგე? ისევ ის თეთრი ლენდროვერია, გუშინ რომ იყო. გუშინწინაც. დამიდასტურე, გავატარო?

უდაბნოსფერი ფორმა, ცალ ხელში მსუბუქად დაჭერილი ავტომატი, მჭიდებით გატენილი ჟილეტი და საკუთარი მნიშვნელობის სრული შეგრძნება. გუშინდელი გლეხის შვილი და ეხლა უკვე კომანდოსი, თუ კიდევ რაღაცა. სრული სერიოზულობა. ღიმილი, სიმსუბუქე და მამა-პაპური გლეხური ეშმაკობა სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს, დარჩა მხოლოდ სიბრიყვემდე მისული მოვალეობის გრძნობა და უდაბნოს შხამიანი სახელები...

ერთ შემოდგომაზეც სასაზღვრო პოსტი გადმოტანილი დამხვდა და სამხედროების და ქაქუცას ურთიერთობა უკვე სამუდამოდ გაფუჭებული. ადრე ზევით, ბორცვებში აზერბაიჯანის საზღვრიდან ორ კილომეტრში იდგნენ. მაგრამ იმ ზაფხულს ეტყობა მობეზრდათ პაპანაქებაში გავარვარებულ ვაგონში ყოფნა და ივრისკენ დაიწიეს. ორკილომეტრიანი სასაზღვრო ზონა ხუთკილომეტრიანი გახდა. აქ თევზაობით მაინც ირთობდნენ თავს და ხანდახან წყალშიც წვებოდნენ. ჩამოვიდნენ და აღარასდროს წავიდნენ. ცალთვალა ახმედას ბინა, რომლის გარშემოც ყველაზე მეტი დურაჯი ბუდობდა და მშრალი ხევი, რომლის აყალოიანი კედლები სულ ყაპყაპების და კვირიონების საბუდარებითაა დახვრეტილი, სადაც ხეტიალსაც არაფერი სჯობია, რადგან ყოველ მოსახვევში ან კაკაბი წამოგიფრინდება, ან კურდღელი გაგისხლტება ანდა გიურზას შიშინი ჰაერში გაგაშეშებინებს გადასადგმელად აწეულ ფეხს, ეს ყველაფერი სასაზღვრო ზონაში მოექცა და მეხუთე კვადრატი დაერქვა. კიდევ იმ ხევში მე ლელიანის კატის სოროც მეგულება...

სამხედროები პირდაპირ დამბის მეორე მხარეს დადგნენ და ყოველ გაშვებაზე გვაწვალებენ მეც, ჩვენს ტურისტებსაც, ქაქუცასაც კი. ეხლა ცალთვალა ახმედას პორტრეტის გადასაღებადაც აქედან შორს შტაბში აღებული ნებართვა მჭირდება და კიდევ ყოველ ჯერზე უდაბნოსფერ ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცებთან ლაპარაკი, რომელიც ვერაფრით ვისწავლე. მგონი, მეც ჩემი მგონია აქაურობა და ყოველ ჯერზე ვფხუკიანობ. ან არადა, არ უნდა იყოს ძნელი — მანქანიდან გადმოსვლა და შინაურულად „ბიჭებს გაუმარჯოს!“, სულაც რაიონის მაღაზიიდან ორლიტრიანი ლუდის წამოღება, ამ მოსაწყენ ადგილას ბიჭებმა პირი რომ გაისველონ, მაგრამ არ გამომდის. ვერც ამათ ვიტან და ვერც სხვებს, ვინც აქაურობას მეხუთე კვადრატი დაარქვა და ესენი ჩააყენა...

— გიურზა, ვერ გავიგე, გავატარო თუ არა! ნებართვა აქვს. გავატარო?

— შენა, და რამე სხვა რო დაირქვათ, მაგალითად მაჩვი და თხუნელა, არ მოსულა?

ფალანგა რაციას ეშვება და ყურადღებით მაკვირდება. მეც თვალს ვუსწორებ. ოოო, როგორ არ მიყვარს ფორმიანი რომ მჭამს თვალებით.

— ვითომ რატომ? – კი, გუშინდელი გლეხის შვილია. ეს ოფიციალური ტონი რომ არ ჰქონდეს ფარად აფარებული, სულ ოდნავ ბუნებრივად რომ ლაპარაკობდეს, კილოზე მივხვდებოდი, სადაურია. იქნებ, რაიონიც კი გამომეცნო.

— უკეთესი იქნებოდა...

მე ერთი რამე მჭირს. რეაქცია მიგვიანდება. ხშირად მომდის ეგრე... საფრთხის და ფათერაკისაც გვიან შემეშინდება ხოლმე, ზოგჯერ ისე გვიან, რომ უკვე ჩავლილია ყველაფერი. ეგრე ჯეელობაში ერთი-ორჯერ ისე დამიგვიანდა შეშინება, რომ ლამის უშიშარი კაცის სახელი დავიგდე.

— სამყარო გახდება უკეთესი, ჯარისკაცებმა ყველგან მაჩვები, ზღარბები და თხუნელები რომ დაირქვან...

არადა, არ შეიძლება. სამშობლოს დამცველთან ხუმრობა არ შეიძლება. არც — სამშობლოსთან. პრინციპში ორივე სახიფათოა.

— ფალანგა, გაუშვი გაიაროს. კითხე, სად მიდის და როდის მობრუნდება...

ეგ შემოდგომაზე იყო. მაისში ტურისტებთან ერთად საგანგებო ნებართვით ხელში მეხუთე კვადრატში შესულებს იქ აღარცერთი დურაჯი აღარ გვხვდება და, თუმცა ახმედას ბინა ცარიელია და ცხვარი უკვე მთაში იყო წასული, უკითხავადაც ვიცი, რაც მოხდა — იქაურობა თოფის გასროლილი გილზებით არის მოფენილი... ქაქუცა უარობს: ვერ გაბედავდნენო, მაგრამ ორივემ ვიცით, მეხუთე კვადრატზე კონტროლი საბოლოოდ რომ აქვს დაკარგული. სამხედროებს მისი არ ეშინიათ და სასაზღვრო ზონაში იმას სჩადიან, რაც უნდათ. დურაჯი კიდევ ბეჩავია, აქამდეც როგორ მოიტანა თავი, ეგეც მიკვირს...

ყი-ყიყიი-ყიიყიიი! რამდენიმე ფრინველი მაინც კივის ივრის ჭალაში და ამიერიდან მეხუთე კვადრატის ნაცვლად დამბა ხდება იმათი სათვალთვალო წერტილი. წლიდან წლამდე გაზაფხულობით იქ შლიან ჩვენი უცხოელები ტელესკოპდამაგრებულ სამფეხებს და როგორც წესი, ერთი-ორ დურაჯს ყოველთვის ვპოულობთ. შორს (ოღონდ „სვაროვსკისთვის“ მანძილი არაფერია) ყველაზე მაღალ ვერხვზე კოშკივით აშენებული თეთრკუდა არწივის ბუდეა, იქვე ახლოს ბექობის არწივები ბუდობენ.

— არწივის ორი სახეობა... ასე გვერდი გვერდ... — უკვირთ უცხოელებს, — ეს მართლა უნიკალური ადგილია.

— უუუფს! Was ist das?! — ქმრის ტელესკოპში გერმანელი ლუდის მხარშავის ცოლმა რაღაცას ისეთს მიაგნო, რომ ერთკვირიანი ტურის მანძილზე პირველად გამხიარულდა. ქალი რაღაცას უხსნის დანარჩენებს და ყველა მისი ნაჩვენები მიმართულებით ასწორებს ტელესკოპებს.

დედიშობილა ქაქუცა იორშია ჩაწოლილი და განწმენდის რიტუალს ატარებს. ნაპირზე დალაგებულ ტანისამოსთან თომა უცდის. ესე შორიდან ათამდე ტელესკოპში გამოჩენილი საიდუმლო რიტუალი სულ მთლად კომიკური ჩანს. მე ვიცი, რაც ხდება, ოღონდ შვაბებს და ტიტველი ქაქუცათი აღფრთოვანებულ იმათ ცოლებს არაფერს ვეტყვი. ერთ ზამთარს ღორზე სანადიროდ ჩამოსულმა მთვრალმა დეპუტატმა ქაქუცას მდინარე იორდანე ანახა. ტელეფონით გადაღებულ ვიდეოში დეპუტატი თავის ფრაქციის წევრებთან ერთად წმინდა მდინარეში იყო შესული. ოღონდ ქაქუცას მათზე არ დარჩენია თვალი. ქაქუცა ბითური პარლამენტარების მიღმა იყურებოდა. იორდანე და იმის ჭალა იორს მიამსგავსა და მერე სახელების მსგავსებაზე დაიწყო ფიქრი. მეც გამიზიარა ვარაუდი, რომელიც ვარაუდიც არ იყო. უბრალოდ, გადაწყვიტა, რომ ესე იყო, რომ წმინდა მდინარეს, უფრო სწორად მის ნაწილს ფლობდა. ამას თვითონ მიყვებოდა, რაღაცნაირად ბავშვივით ანთებული... მანამდე არაფერი მსგავსი ჩემთვის არ ეამბნა, გული ერთხელაც არ გადაეშალა, მისი ხუშტურების და უცნაური რიტუალებს აზრს თომასგან ვიგებდი და მივხვდი, ბერდებოდა. „თანაც, იმათ არაფერი იციან, აზრზეც არ არიან!“ — და დამბის საპირისპირო მხარეს შორეული მაკრატელას ქედის ციცაბოებზე პატარა წერტილებად გამოჩენილ გამოქვაბულებისკენ და იმათ ძირში მშენებარე მონასტერისკენ იშვერდა ხელს...

— წვერებიანი კასი მოიდნენ... — დამფრთხალი აზერბაიჯანელი მწყემსებისგან ქაქუცამ ეგრე შეიტყო ბერების გამოჩენის ამბავი.

საუკუნეების მერე მეუდაბნოე ბერები ისევ დაუბრუნდნენ ქვიშაქვაში ნაკვეთ სენაკებს, ოღონდ იქიდან ჯერ სხვები იყვნენ გასაძევებლები. ფასკუნჯების წყვილს ახალი საბუდარის ძებნა მოუწია, იმათი მართვე კი ერთმა მორჩილმა წაუყვანა თავის მშობლებს. გაიზრდება და ინადირებსო. თეთრ არწივად მონათლული ფასკუნჯი თურმე ახლაც იმ სახლში ცხოვრობს, ოღონდ ნადირობის სწავლის სურვილი არაფერში ეტყობა, სამაგიეროდ, მადას არ უჩივის და ყველაფერს სვრის. ტყუილად კი არ ეძახიან გერმანელები Schmutzgeier-ს — ბინძურ სვავს. წარმომიდგენია, ბერებს იმათ საბუდარში რა დახვდებოდათ — ძვლების და გამოჭმული კუს ბაკნების გროვა და კიდევ სუნი, აუტანელი სუნი...

„ვერ გაძლებენ. ზამთარი თუ გაატანეს, ზაფხულის სიცხე მოუღებთ ბოლოს“ — ქაქუცამ თავიდანვე ვერ აიტანა თავის სამფლობელოს და დანარჩენი სამყაროს საზღვარზე დასახლებული წვერებიანი კაცები, რომელთაც ჯერ არც კი იმჩნევდა, მერე და მერე სხვის დასანახად ვითომ არც კი ახსოვდა მათი არსებობა, მაგრამ თავის პიკაპით ხშირად მიდიოდა იმ ადგილამდე, საიდანაც გამოქვაბულები კარგად ჩანდა და დურბინდში მათ ძირში წამოწყებულ მშენებლობას, მოფუსფუსე ადამიანებს, რაიონელი და ქალაქელი ბობოლების გამოგზავნილი მასალით დატვირთულ მანქანებს ათვალიერებდა.

ასე დურბინდმომარჯვებული, პიკაპს მიყუდებული ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი კაცი, მანქანაში განუყრელი და მუდამ გატენილი მოკლე შავი ვინჩესტერით ტრამალის პატრულს გავდა, ოღონდ ჩამორჩა... თვითონაც გრძნობდა, რომ იმ წლების მანძილზე, რაც საკუთარ ბუნაგში გაატარა, რაღაცას ჩამორჩა. ვითომ ისევ მთელი დუნიის ავან-ჩავანი იცოდა და ამ ერთი ბეწო საქართველოში ვისაც რამის ტრაკი ჰქონდა, ყველას იცნობდა, ყველა მასთან ჩამოდიოდა სანადიროდ — რადგან ესეთი სანადირო ადგილი მართლა მეორე არ იყო. მარტო კაცმა იმდენი მოახერხა, რომ მის უკითხავად არავინ გაივლიდა თოფით ჭალაში, არავინ დაუვლიდა მის კუთვნილ ალესილებს და სხვაგან მართლა არსად იყო ამდენი ღორი და კაკაბი. თბილისელ ბობოლებს უყვარდათ აქ ნადირობა და მას მრავალი წლის მანძილზე სტუმრობდნენ. ჩამოდიოდნენ ჯერ ბიზნესმენები და ქურდები და მერე იგივე ბიზნესმენები მაღალჩინოსან პოლიციელებთან ერთად. ოღონდ, ქაქუცას სტუმრები ახლა ჯერ მონასტერში შეივლიდნენ, მოილოცავდნენ და მერეღა მიაკითხავდნენ ივრის ჭალას... მარტო ქალაქელები არ იყვნენ ეგრე. ფულის მოყვარული და ბოსტანასავით გაუმაძღარი რაიონის ყოფილი პარტიული მდივნები, მისნაირი და მასზე უარესი მტაცებლები, ვისგანაც თავის დროზე ქრთამით მოიპოვა ყველაფერი ის, რაც ძალით ვერ მიიტაცა, ახლა დიდ ჯვრებს ატარებდნენ და ვითომ მარტო ღვთის წყალობას იყვნენ მინდობილები. როგორ ხარ? ღვთის წყალობით... ოჯახობა ხო გყავს კარგად? არიან, ღვთის წყალობით... ცემენტის ქარხანას ისევ ამუშავებ? ეხლა გაჩერებულები ვართ, მაგრამ ღვთის წყალობით იქნება რაღაც... თვითონ მონასტერში ერთხელაც არ ყოფილა. იქ მისვლას სიამაყე უშლიდა ხელს და არც არაფერში სჭირდებოდა... თავის სამყოფი ყველაფერი ჰქონდა. მის მერე ეს ყველაფერი მაინც ოხრად დარჩებოდა — ესეც კარგად იცოდა. და სანამ ცოცხალი იყო კიდევ, თავად იყო წმინდა მდინარის სეხნიის და ორეულის მფლობელი...

მონასტერმა ცხვარი არა და საქონელი კი გაიჩინა და ერთ დღესაც იმათმა მწყემსებმა ქაქუცას თათრები გამორეკეს მისივე კუთვნილი საძოვრიდან — კურთხევა არა გაქვთო! გაცოფებულმა ადგილიდან მოწყვიტა პიკაპი და სულ მტვერი ადინა შარას, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა მაკრატელას ქედს, მით უფრო ანელებდა სვლას და ბოლო მიჯნას აღარც გადავიდა. საღამოვდებოდა და თავის სათვალთვალო ალაგიდან დაინახა, მონასტრის საქონელი როგორ შედიოდა ახლადაშენებულ გომურში. დაღამებამდე მანქანაში იჯდა. უკვე ბნელში დაქოქა და სახლისკენ უქნა პირი. რაღაცა გამოტოვა, რაღაცას ჩამორჩა... მისი მამული სულ უფრო ემსგავსებოდა ხაფანგს, აქეთ ფორმიანის ნებართვა იყო საჭირო და იქით — წვერებიანი კაცის კურთხევა...

თითო-ოროლად მისმა ქართველმა მწყემსებმაც კი იქ დაიწყეს ლოცვებზე სიარული და მერე თომას ეუბნებოდნენ: მონასტრის საქონელს მგელიც კი არ ეკარებაო...

— შენ ხშირად ახსენებ მის მამულს, საძოვრებს, წყალსაცავს, მდინარეს, ტყეს... მგონი, ეს უზარმაზარი ტერიტორია უნდა იყოს. ეს ყველაფერი მას ნაყიდი ჰქონდა? — სიბნელეში მეჩვენება, რომ ინგლისელი ამთქნარებს.

— ნაყიდი არა, იჯარით ჰქონდა აღებული. რამდენადაც მე ვიცი, პრივატიზებული მხოლოდ სანადირო სახლი და კოტეჯები ჰქონდა. ეგ სახლი ოდესღაც აიშენა საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელმა ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ, რომელიც ნადირობის დიდი ტრფიალი ყოფილა. იქ თურმე ხშირად დადიოდა...

— ეს რომელი? ცოლი ძვირფასი ქვების, სამკაულების და ქურქების შემგროვებელი რომ ყავდა?

— ამის შესახებ მე არაფერი ვიცი...

— სამაგიეროდ მე ვიცი, მაგ დროს უკვე საბჭოთა კავშირის მიმართულება მებარა და საბჭოთა რესპუბლიკების ლიდერების და მათი ოჯახების ქონებაზე სტატიაც მაქვს დაწერილი...

— კი მაგრამ, მჟავანაძის ცოლი რა შუაშია, მე ქმარი ვახსენე, რომელსაც ნადირობა უყვარდა... გავაგრძელო?

— ჰქმენი სიკეთე.

— მჟავანაძე ხშირად სტუმრობდა ივრის ჭალებს, რის გამოც მისი მმართველობის დროს სანადირო სახლს სანიმუშო მდგომარეობაში ინახავდნენ. აი, მისი მემკვიდრე კი არ იყო ნადირობისკენ მიდრეკილი ადამიანი. ალბათ, უფრო სხვა რამეები ართობდა, თუკი საერთოდ ჰქონდა რამე ჰობი ან სისუსტე. მისი მმართველობის ხანაში სახლი სახელმწიფო ბალანსზე რჩებოდა და ადგილობრივ ნომენკლატურას იქ ქალები დაყავდა იმიტომ, რომ იქაურობა ძალიან შორს არის ყველაფრისგან... რანაირი ორგიაც არ უნდა მოაწყო, ვერც ცოლი შეიტყობს და ვერც — სხვა, უფრო ზემდგომი ნომენკლატურა. ლეგენდა ამბობს, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში მამასთან ერთად ცხვარში წასულ ქაქუცას უნახავს ივრის ჭალასთან მდგარი მოწყობილი სახლი და გულში ჩარჩენია. შეიძლება, არც იყოს მართალი.

მერე ოთხმოციანი წლების ბოლოს იქ წყალსაცავის მშენებლობა წამოიწყეს და სახლის გარშემო მუშებისთვის კოტეჯები ჩადგეს. ორს საირიგაციო მიზნებისთვის აგუბებდნენ. ეს კომუნისტების ერთ-ერთი უკანასკნელი დიდი პროექტი იყო და დააგუბეს კიდეც მდინარე, ოღონდ საირიგაციო გაყვანილობებზე რომ მიდგა საქმე, საბჭოთა კავშირიც დამთავრდა, ფულიც... სულ სხვანარი დრო მოვიდა — ახდენილი ოცნებების დრო და ქაქუცამაც გულში ჩარჩენილი სახლის და მშენებელთა მიპარტახებული კოტეჯების პრივატიზება მოახდინა. მალევე მოაწყო მინიმალური, მაგრამ იქაურობისთვის საკმარისი კომფორტით და სანადირო მეურნეობა დაარეგისტრირა. მაგ დროისთვის გარშემო ყველაფერი — საძოვრები, გორები, წყალსაცავი და ჭალა ოთხმოცდაცხრამეტწლიანი იჯარით ჰქონდა აღებული. ეს, ფაქტობრივად, სამუდამო მფლობელობას ნიშნავდა. ჩემი გამოთვლით მაშინ ორმოც წელს მიტანებული უნდა ყოფილიყო და ამას პლიუს კიდევ ოთხმოცდაცხრამეტი... ბევრი გამოდის. ვიცი, ეს უბრალო დამთხვევაა, რომ ჩვენი კანონმდებლობა ოთხმოცდაცხრამეტწლიან იჯარას ითვალისწინებს, ოღონდ ქართველებისთვის რიცხვი ცხრა უსასრულობის აღმნიშვნელია. მაგალითად, ჩვენი ვამბობთ ცხრათვალა მზე, ცხრაკლიტული, ცხრა მთას იქით... აქ კიდევ მთლად ორი ცხრიანი, ესე იგი, სამარადისოდ, უსასრულოზე უსასრულო დროით დაეპატრონა იქაურობას...

— კარგია შენი სმენა, მაგრამ მგონი, ძილის დროა შენთვისაც და ჩემნაირი მოხუცი მოგზაურისთვისაც...

ჩემს გვერდით სკამი ჭრიალებს, ინთება ფანარი და ჰალოგენის შუქი ვერანდის ხის იატაკის და მოაჯირის გარდა ვერაფერს სტაცებს სიბნელეს. ვერანდის იქით კუნაპეტი ღამეა.

— სხვათა შორის, წმინდა მდინარე არასოდეს ყოფილა მის მფლობელობაში. ის მხოლოდ მის მიწაზე ჩამოდიოდა. საქართველოს კანონმდებლობით მდინარის იჯარით აღება შეუძლებელია...

— საუზმე, როგორც ყოველთვის, დილის რვაზე?

— როგორც ყოველთვის...

— ღამე მშვიდობის.

— ღამე მშვიდობის, სერ.

მარტო ვრჩები სიბნელეში და ჯერ არ ვიცი, რომ წინ უძილო ღამე მელის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ავტორის ფოტოები

ფრანსისკო უმბრალი

ანეკდოტები

რასაკვირველია, აქ არაფერს ვიტყვი პოლიტიკურ ანეკდოტებზე, ამ ბოლო დროს პრესაში რომ გამოჩნდა ჩვენი არცთუ განებივრებული მკითხველის გულის მოსაფხანად, მხედველობაში მაქვს ზეპირი იუმორის ტრადიცია, ეგებ უგერგილოც, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა და ლამის ყველას პირზე აკერია. ძველისძველ ანეკდოტებზე მოგახსენებთ – თუთიყუშებზე, მღვდლებზე, რქებდადგმულ ქმრებზე, მონაზვნებსა და ენაბრგვილებზე; ასეთი ანეკდოტები კიდეც შემორჩა და დღესაც დიდ გასავალშია, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჩვენი ეროვნული წარმოსახვის უნიათობა შეგვახსენოს, მითუმეტეს, თავყრილობების დროს სათქმელ-სალაპარაკო როცა შემოგველევა, მაშინ წამოყოფს ხოლმე თავს.

ანეკდოტი ზოგჯერ ერთგვარი ყავარჯნის მაგივრობასაც გვიწევს, როცა ჩვენი წარმოსახვა, შემოქმედებითი აღმაფრენის ეს სუროგატი წაიფორხილებს ხოლმე. ჩვენ ანეკდოტებს უსიამო სუნი დაჰკრავს, სიბრიყვის, მოძველებულ-გაცვეთილისა, ისეთი, გადამთიელი თუთიყუში რომ წამოაყრანტალებს დილაადრიან; ჩვენ კი აღარც გვეცინება, რადგან მთელი ცხოვრება ამის მეტი არაფერი გვსმენია, ზეპირადაც ვიცით და ვერც რასმე სასაცილოს ვხედავთ. ანეკდოტის სოციოლოგიური კვლევა რომ ჩაგვეტარებინა, მთავარი თემისა თუ პრობლემის გამოჩხრეკაც არ გაგვიჭირდებოდა, ასე რომ აწვალებს ჩვენ კოლექტიურ ცნობიერებას; აი, მაშინ კი გამომზეურდებოდა სექსი და რელიგია რომ ყოფილა მთავარი; ამასთან ისიც დიდი მიამიტობა იქნებოდა, თუ ანტიკლერიკალური ანეკდოტების მოძალებას ანტიეკლესიურობის ნიშნად მივიჩნევდით; მაგრამ საქმე სულ პირიქითაა; ეს უფრო გადმობრუნებული კლერიკალიზმია, რწმენაში ორჭოფობის მანიშნებელი, ოდითგანვე რომ მოსდგამს ესპანელს, ისედაც საფიქრებელ-საფარდებელი არ გამოელევა და თავისი მრევლის მიღმა არც იყურება; ხოლო ჩვენი ტრადიციული კლერიკალური, თუნდაც ანტიკლერიკალური (თავად განსაჯეთ) ანეკდოტები, უდიერი და უგემოვნო, არა მარტო მოქალაქეობრივ უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს, არამედ იმის სამწუხარო მაჩვენებელიცაა, რომ ესპანელმა ვერა და ვერ შესძლო თავისი სულიერი ცხოვრების სიღრმისეული სიძნელეების გააზრება. კერძო საუბრებში, როცა კი მღვდლებზე შეთხზული ანეკდოტები გამოერევა, ამას უხამსი ხუმრობებიც მოჰყვება ხოლმე. ვერ ვიტყვით, თითქოს ჩვენი ხალხი წარმოსახვის, ფანტაზიის უნარს მოკლებულია, არადა, ამ ანონიმური ზეპირი შემოქმედების ავტორები აშკარად ჩვეულებრივი ანონიმების ავტორებს უფრო ემსგავსებიან. ესეც არ იყოს, კიდევ ერთი ფორმაც ვიცით – „პლაგიატი პირიქით“, რაც იმას კი არ გულისხმობს, რომ სხვისი შეთხზული მიითვისოს, არამედ პირიქით საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი სხვას მიაწეროს თუ გადააბრალოს. ეტყობა, ამიტომაცაა, რომ ესპანური ანეკდოტების უმეტესობის ავტორებად ასახელებენ ხოლმე ხან კუვუდოს, ხან ვალიე-ინკლანს, ან დონ ხასინტო ბენავენტეს, ეუხენიო ო'ორსს და სელასაც კი. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ არცერთი ანეკდოტი, რასაც აბრალებენ, არცერთ მათგანს არ ეკუთვნის, მაგრამ ესპანელებმა რატომღაც გადაწყვიტეს ამ საეჭვო შინაარსის, ზეპირი შემოქმედების ავტორობა მაინცდამაინც ამ მწერლებისთვის დაებრალებინათ. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ამისთანა უნიჭო ანეკდოტების ნამდვილ ავტორებს რცხვენიათ თავიანთი ფანტაზიის ასეთი ნაყოფისა, ანდა სულაც შედეგისა ეშინიათ. ესეც არ იყოს, ეტყობა იმასაც ვარაუდობენ, რომ თუკი საკუთარ ქმნილებას ცნობილ ავტორებს მიაწერენ, ამით საკუთარი შემოქმედების პოპულარობასაც უზრუნველყოფენ.

ინგლისური ანეკდოტების უმეტესობას ან ბერნარდ შოუს აკუთვნებენ ან ოსკარ უაილდს, ფრანგულებს – ვოლტერს, მით უმეტეს ანტიკლერიკალურს. ამ მწერლებს მართლაც რომ შეექმნათ ის ანეკდოტები, რასაც აბრალებენ, მაშინ სხვას ვეღარაფერს დაწერდნენ თავიანთ სიცოცხლეში. აბა, როგორ შესძლებდა კევედო დაეწერა თავისი უმშვენიერესი ნაწარმოებები, ანდა ვალე-ინკლანი როდისღა მოასწრებდა თავისი პიესებისა და რომანების შეთხზვას, თუნდაც ბენავენტე და შოუ როგორ მოასწრებდნენ თეატრისთვის პიესების შექმნას, თუნდაც უაილდი ყველა ჟანრის ნაწარმოებების შეთხზვას, ანდა ვოლტერი – „კანდიდისა“, რომელი ერთი დავასახელოთ, თუნდაც დღეში თითო ანეკდოტი მოეგონებინათ, ამდენს როგორ შესძლებდნენ? მაგრამ რაღაც მზაკვრული მაინც უნდა იყოს ნაგულისხმევი იმ „მიწერა-დაბრალებაში“, თანაც სახელოვან, ცნობილ მწერლებს რომ არჩევენ, ალბათ მარტო იმაზე არ ფიქრობენ, რომ ისინი დააკნინონ, მათი ესთეტური თუ ადამიანური ღირსებები შელახონ, არადა უნებურად ასეც გამოდის.

ასე და ამგვარად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ალბათ ანეკდოტები არც არავის შეუთხზავს და არც არავის ეკუთვნის, თავისთავად დაბადებულან და ეგაა, თუმცა ზოგჯერ ისეთი მახვილგონივრული, დახვეწილი, კრიტიკული ანდა სულაც პოეტური სულით გამსჭვალული ანეკდოტებიც გამოერევა ხოლმე, რომ გვენანება კიდეც მათი ავტორები რომ არ ვიცით ვინაა, რათა დამსახურებული პატივი მივაგოთ, ჩვენი მადლიერება გამოვხატოთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ანეკდოტების უმეტესობა უგემოვნო, უაზრო და უხამსია, ასეთ შემთხვევაში გასაგებია, რატომაც არ უნდა მის ავტორს გამოჩენა; ეს კი იმას ჰგავს, კაცი ფანჯრიდან ჭუჭყიან წყალს რომ გადაასხამს და თან გამვლელებს გადასძახებს „ფრთხილადო!“ სახეს კი არ გამოაჩენს, არ დაენახვება. ამ ბოლო ხანებში ჩვენში საკმაოდ ბლომად გამოჩნდა პოლიტიკური ანეკდოტები; ამ თავისებური ზეპირსიტყვიერების ჟანრის ასეთ აყვავებას სხვა მიზეზიც ახლავს; ეს ჟანრი მაშინ იფურჩქნება ხოლმე, როცა და სადაც ოფიციალურად აქვს საზოგადოებას გამოწერილი დუმილი; ასე რომ პოლიტიკური ანეკდოტი ერთგვარად თავისუფლად ამოსუნთქვას თუ ჯავრის ამოყრას უფრო ემსგავსება დიდი ხნის დუმილის შემდეგ. ასეთი ანეკდოტები თუნდაც იმაში გვეხმარება, რომ კარგად გავიგოთ და დავინახოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარი მამოძრავებელი ზამბარები, თუმცა ზოგჯერ პირიქითაც ხდება; ის ანეკდოტები, რომელთაც სამართლიანად დაიმსახურეს „მდარე გემოვნების მუზეუმში“ გამომზეურება, ისეთივე უხამსი, უგემოვნო, გამოუსადეგარი ნარეცხი წყალივითაა, მით უმეტეს, როცა მათ ცნობილ, ღირსეულ პიროვნებებს, საპატივცემულო ადამიანებს მიაწერენ, მაინც დავიწყებისთვისაა განწირული; არადა ანეკდოტი შეიძლება ხალხისთვის ჯავრის ამოყრის, კრიტიკის გზაც გახდეს, საკუთარი აზრი და გრძნობა გამოხატოს. მაგრამ ანეკდოტი ანეკდოტისთვის, უხამსობა უხამსობისთვის, ნასესხები წარმოსახვა თუ ფანტაზია მაინც ვერ იბოგინებს, ხოლო ესპანელი თავისი კულტურული დონის ამაღლებაზე თუ იხსენებს, „ყავარჯნებიც“ აღარ დასჭირდება. საბედნიეროდ იმის იმედიც გვაქვს და საფუძველიც, რომ ასეთი ანეკდოტები სიდედრებზე, რქიან ქმრებსა თუ მოლაყბე თუთიყუშებზე თანდათან კლებულობს, უკვე კაფეებსა და თავყრილობებზეც იშვიათად ისმის ამისთანა უწმაწური ანეკდოტი და ჭორი, რადგან ჩვენ ხალხს მაინც შემორჩა სიტყვის გრძნობა, მდიდარი წარმოსახვა, ენის პატივისცემა, ჯერ ისევ ცოცხლობს ტრადიცია, მამა-პაპათგან რომ მოსდგამთ და თავადაც უნდა გადასცენ შთამომავლობას, კევედოსა და იტის პროტოპრესვიტერისგან ნაანდერძევი თუ ზეპირი გადმოცემების გზით აქამდე რომ მოაღწია. ორი ბავარიული ლუდის მხარშავებისა კიდევ შეიძლება გავიგოთ, რომელთა ცხოვრებაში არაფერი ხდება და მარტო ოტოსა და ფრიცის ანეკდოტების მეტი გასართობი არაფერი აქვთ, მაგრამ ამას ესპანელებს ვერ გააგებინებ. ახლა, როცა ჩვენ წრეში ვინმე ისეთი გამოერევა, რომელსაც ერთი სული აქვს, სანამ ასეთ უწმაწურ ანეკდოტს ან ჭორს მოგიყვება, მაშინვე უნდა ადგე და გაეცალო; ახლა მღვდლების, სიდედრებისა თუ სექსის ამბები აღარავის აფიქრებს და აღარც მსმენელი ჰყავს, ამიტომ ასეთი ვინმე მაინც თუ გამოერევა, მას იმის უფლებაც აღარ ექნება, ჩვენ გვერდით იჯდეს და ჩვენთან ერთად ყავა სვას. მადლობა ღმერთს, ის ძველი, უხამსი ანეკდოტები გზას უთმობენ ახალ, სხარტ, კრიტიკულ, შემეცნებით და მახვილგონივრულ პოლიტიკურ ანეკდოტებს. ესპანელი კი რაც უფრო მეტ წიგნს წაიკითხავს, ცოდნის წყაროს დაეწაფება, მით უფრო იშვიათად მოგვიყვება ამისთანა უგერგილო ანეკდოტებს.

თარგმნა მერი ტიტვინიძემ

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com